

# მასწავლებლების მიერ ბავშვთა და ქალთა მიმართ ძალადობის შეტყობინება



ქცევა, დამოკიდებულებები და ნორმები

წინამდებარე გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა არ გამოხატავდეს გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ან მისი რომელიმე წევრი ორგანიზაციის, ასევე დანიის მთავრობის მოსაზრებებს.

გამოცემა მოამზადა კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრმა (CRRC საქართველო) გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „მასწავლებლების პოზიცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის მიმართ საქართველოში.“ კვლევა ჩატარდა დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით.

© გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) 2019

ISBN 978-9941-8-1823-3

# მასწავლებლების მიერ ბავშვთა და ქალთა მიმართ ძალადობის შეტყობინება



**გაეროს ქალთა ორგანიზაცია  
(UN WOMEN)**

თბილისი, საქართველო, 2019



**MINISTRY OF FOREIGN AFFAIRS  
OF DENMARK**



# სარჩევი

<b>ლიაბრამები</b> .....	<b>5</b>
<b>თავი 1. შეჯამება და რეკომენდაციები</b> .....	<b>6</b>
1.1. შეჯამება.....	6
1.2. რეკომენდაციები.....	7
1.2.1. სუბიექტებს შორის კოორდინაციის გაზრდა.....	7
1.2.2. საკომუნიკაციო კამპანია სკოლებისთვის.....	7
1.2.3. სკოლის დირექტორებთან მუშაობა.....	9
1.2.4. მასწავლებლების ტრენინგი.....	10
1.2.5. პრევენცია.....	11
1.2.6. შეტყობინებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.....	12
1.2.7. მომსახურების გაფართოება, გაუმჯობესება და მათ შესახებ ცნობიერების გაზრდა.....	14
1.2.8. ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესება.....	14
<b>თავი 2. შესავალი</b> .....	<b>16</b>
<b>თავი 3. მიმოხილვა</b> .....	<b>18</b>
3.1. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში.....	18
3.2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის რეფერირების მექანიზმები.....	19
3.3. ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების ნახალისების გზები ქცევით მიდგომებზე დაყრდნობით.....	20
<b>თავი 4. მეთოდოლოგია</b> .....	<b>24</b>
4.1. მონაცემების შეგროვება გამოკითხვის ფარგლებში.....	24
4.2. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.....	26
4.3. შეზღუდვები.....	27
4.4. თვისებრივი მონაცემების შეგროვება და ანალიზი.....	27
<b>თავი 5. მიზნები</b> .....	<b>30</b>
5.1. მასწავლებლების რეგისტრირებული შეტყობინებები.....	30
5.2. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შეტყობინების შესახებ.....	31
5.3. ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების ბარიერები და თვითუფექტურობა.....	34
5.4. სოციალური ნორმები, ქალთა მიმართ დამოკიდებულებები და მათი კავშირი შეტყობინებასთან.....	42
5.5. სოციალური ნორმები და ოჯახში ძალადობის შეტყობინების ბარიერები.....	45
5.6. მეუღლეს შორის ძალადობისადმი და ოჯახში ძალადობის შეტყობინებისადმი დამოკიდებულება.....	45
5.7. ბავშვთა დასჯის მიმართ არსებული დამოკიდებულებები და კავშირი ოჯახში ძალადობის შეტყობინებასთან.....	47
5.8. ცნობიერების დონე.....	49
5.9. ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ნიშნების შესახებ ცნობიერების დონე.....	51
5.10. ცნობიერების დონე არსებული პოლიტიკის შესახებ.....	54
5.11. სოციალური ნორმირება და ინფორმაციის გავლენა შეტყობინებაზე.....	57
5.12. რომელ ზემოქმედებას აქვს ეფექტი და რომელ ჯგუფებზე?.....	59
<b>თავი 6. დასკვნები და რეკომენდაციები</b> .....	<b>61</b>
6.1. სხვადასხვა სუბიექტს შორის კოორდინაციის გაზრდა.....	61
6.2. საკომუნიკაციო კამპანია სკოლებისთვის.....	61
6.3. სკოლის დირექტორებთან მუშაობა.....	63
6.4. მასწავლებლების ტრენინგი.....	64
6.5. პრევენცია.....	66
6.6. შეტყობინებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა.....	67
6.7. მომსახურების გაფართოება, გაუმჯობესება და მათ შესახებ ცნობიერების გაზრდა.....	70
6.8. ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესება.....	71
<b>ბიბლიოგრაფია</b> .....	<b>72</b>

# დიაგრამები

დიაგრამა 1. თვისებრივი მონაცემების შეგროვება .....	28
დიაგრამა 2. ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინება სკოლებში და შეტყობინების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით.....	30
დიაგრამა 3. ოჯახში ძალადობის შესახებ გაკეთებული შეტყობინების რაოდენობა ყოველ 1000 მასწავლებელზე რეგიონის მიხედვით.....	31
დიაგრამა 4. სხვადასხვა ჯგუფის მიერ ოჯახში ძალადობის შეტყობინების და შეუტყობინებლობის ალბათობა.....	32
დიაგრამა 5. შეუტყობინებლობის ალბათობაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტები.....	33
დიაგრამა 6. ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინების მზაობაზე ზღვრული ეფექტი სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით.....	33
დიაგრამა 7. ოჯახში ძალადობის შეტყობინების მზაობა სხვადასხვა ჯგუფში.....	34
დიაგრამა 8. ინტერვენციის გაცხადებული ბარიერები.....	35
დიაგრამა 9. შეტყობინების აღქმული ბარიერები სხვადასხვა ჯგუფში.....	36
დიაგრამა 10. თვითეფექტურობა შეტყობინებასთან მიმართებით.....	40
დიაგრამა 11. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი თვითეფექტურობაზე შეტყობინებასთან დაკავშირებით.....	41
დიაგრამა 12. ოჯახში ძალადობის შეტყობინების განხორციელების ალბათობა თვითეფექტურობის მიხედვით.....	41
დიაგრამა 13. სექსუალურ ძალადობასთან და ოჯახში ქალის როლთან დაკავშირებით არსებული სოციალური ნორმები.....	43
დიაგრამა 14. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი ქალის როლისა და სექსუალური ძალადობის მიმართ არსებულ დამოკიდებულებებზე.....	44
დიაგრამა 15. თვითეფექტურობის კავშირი შეტყობინების შედეგებთან.....	44
დიაგრამა 16. ქმრის მიერ ცოლის ცემის დასაშვებობის შემთხვევები.....	46
დიაგრამა 17. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი ქმრის მიერ ცოლის ცემისადმი ხალხის დამოკიდებულებაზე.....	47
დიაგრამა 18. ტრენინგებით დაინტერესების ალბათობა ქმრის მიერ ცოლის ცემის დასაშვებობის ინდექსის ქულის მიხედვით.....	47
დიაგრამა 19. შეხედულებები ბავშვების დასჯისადმი.....	47
დიაგრამა 20. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი ბავშვების დასჯის დასაშვებობაზე.....	48
დიაგრამა 21. საექვო ძალადობის შეუტყობინებლობის ალბათობა დასჯის დასაშვებობის სკალაზე.....	49
დიაგრამა 22. ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმების შესახებ ცნობიერების დონე.....	50
დიაგრამა 23. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმაზე.....	51
დიაგრამა 24. ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინების მზაობა ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმების შესახებ ცნობიერების დონის მიხედვით.....	51
დიაგრამა 25. ბავშვის მიმართ ძალადობის ნიშნების შესახებ ცნობიერების დონე.....	52
დიაგრამა 26. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი მასწავლებლების მიერ ბავშვებზე ძალადობის ფორმების შესახებ ცნობიერების დონეზე.....	53
დიაგრამა 27. ბავშვის მიმართ ძალადობის შეტყობინებისადმი მზაობა ძალადობის ფორმების შესახებ ცნობიერების დონის მიხედვით.....	53
დიაგრამა 28. ძალადობის მსხვერპლებისათვის შეთავაზებული მომსახურებების შესახებ ცნობიერების დონე.....	54
დიაგრამა 29. შეტყობინების ბარიერები ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ ცნობიერების დონის მიხედვით.....	55
დიაგრამა 30. მასწავლებლების მიერ კანონმდებლობის ცოდნა.....	55
დიაგრამა 31. მასწავლებლების მზადყოფნა ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინებისადმი კანონმდებლობის შესახებ ცნობიერების დონის მიხედვით.....	56
დიაგრამა 32. შეტყობინების ინდექსისადმი დამოკიდებულება ექსპერიმენტული ჯგუფების მიხედვით.....	58
დიაგრამა 33. შედეგები ექსპერიმენტული ჯგუფების მიხედვით.....	59
დიაგრამა 34. ზემოქმედებების ზღვრული ეფექტები მასწავლებლების შეხედულებაზე შეტყობინებასთან დაკავშირებით დამრიგებელი მასწავლებლის სტატუსის მიხედვით.....	59
დიაგრამა 35. მასწავლებლების ტრენინგებით დაინტერესების ალბათობა ექსპერიმენტული ჯგუფებისა და სკოლის გარემოს მიხედვით.....	60
დიაგრამა 36. ზემოქმედებების ეფექტები განცხადების ხელმონერაზე ქალებსა და კაცებში.....	60

# თავი 1. შეჯამება და რეკომენდაციები

## 1.1. შეჯამება

2016 და 2017 წლებში საქართველოს პარლამენტმა ოჯახში ძალადობის შესახებ კანონში ცვლილებები შეიტანა, რომლის მიხედვითაც სკოლის მასწავლებლებს ძალადობის სავარაუდო შემთხვევების შეტყობინება დაევალიათ. საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიხედვით, ამის შემდეგ ოჯახში ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინება გახშირდა. შეტყობინებების რაოდენობის ზრდის მიუხედავად, მონაცემები აჩვენებს, რომ ბევრ სკოლას არასოდეს შეუტყობინებია ძალადობის შემთხვევა, რაც იმის მანიშნებელია, რომ შეტყობინება სათანადო რაოდენობით არ ხორციელდება. ეს მნიშვნელოვანია, რადგანაც მასწავლებლები საჯარო სუბიექტები არიან, რომლებიც ყველაზე ახლოს მუშაობენ ბავშვებთან. ამ კუთხით ისინი შეიძლება კლასიფიცირდნენ, როგორც შემსწრეები - ადამიანები, რომლებიც ესწრებიან მოვლენას, ან სხვა გზით არიან ინფორმაციის მიმღებები ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ, პირდაპირი მონაწილეობის გარეშე. კვლევები მიუთითებს, რომ რაც უფრო მეტი შემსწრე ჰყავს შემთხვევას, მით ნაკლებია შესაძლებლობა, რომ რომელიმე მათგანი რამეს მოიმოქმედებს (დარლერი და ლატანი, 1968). შესაბამისად, ერთი მხრივ, მოსწავლეებთან მათი მჭიდრო კავშირების გათვალისწინებით, მასწავლებლები, პოტენციურად, მნიშვნელოვანი სუბიექტები არიან ოჯახში ძალადობის შეთხვევების იდენტიფიცირების კუთხით. თუმცა, მეორე მხრივ, ისინი შეიძლება, იყვნენ შემსწრის ეფექტის გავლენის ქვეშ, რაც მათი მხრიდან შეტყობინების გაკეთებას აფერხებს. შემსწრის ეფექტის შერბილებაზე მიმართული ქცევითი მიდგომების გამოყენება შეიძლება, ეფექტური აღმოჩნდეს მასწავლებლების მხრიდან ძალადობის შეტყობინების ნასახალისებლად.

ამ მიზნიდან გამომდინარე და იმის გასარკვევად, თუ როგორ ნავახალისოთ მასწავლებლები, რომ ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ შესაბამის ორგანოებს აცნობონ, 2019 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით და CRRC-საქართველოსთან თანამშრომლობით, საქართველოში ჩაატარა კვლევა: „ქცევითი მიზნები, რომლებიც მასწავლებლებისთვის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ჩარევის/შეტყობინების წინააღმდეგ ნარმოადგენს.“

კვლევის მიზანია, გამოავლინოს, თუ როგორ ნავახალისოთ მასწავლებლები, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევები შესაბამის ორგანოებს შეატყობინონ. ნარმოდგენილი ანალიზი შემდეგ საკვლევ კითხვებს ეხება:

- როგორია მასწავლებლებს შორის გავრცელებული სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან დაკავშირებით?
- რა იციან და რა არ იციან მასწავლებლებმა შეტყობინებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ?
- რა იციან და რა არ იციან მასწავლებლებმა ბავშვის მიმართ ძალადობისა და მისი ნიშნების შესახებ?
- როგორია მასწავლებლებს შორის გავრცელებული სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით?
- რა განსხვავებებია მასწავლებელთა სხვადასხვა სოციალურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და პროფესიულ ჯგუფს შორის ზემოთ ჩამოთვლილ ცვლადებთან მიმართებაში?
- ზემოთ ნახსენები ცვლადებიდან უკავშირდება თუ არა რომელიმე ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინების უფრო მეტ ან ნაკლებ სურვილს?
- შესაძლებელია თუ არა შეტყობინების ნახალისება ისეთი ქცევითი მიდგომების გამოყენების შედეგად, როგორებიცაა სოციალური ნორმირება და ინფორმაციის მიწოდება?

აღნიშული კვლევა იყენებს შერეულ მეთოდოლოგიას, რომელიც მოიცავს გამოკითხვას, გამოკითხვა-ექსპერიმენტს, ექსპერტებთან ინტერვიუებსა და ფოკუსჯგუფებს. კვლევა სტრუქტურირებულ ლოგიკას მიყვება: იგი ლიტერატურის მიმოხილვით დაიწყო და ანალიზის წინასწარი გეგმის შემუშავებით გაგრძელდა. ანალიზის შემდგომ კვლევის ავტორებმა წინასწარი შედეგები წარუდგინეს ინტერდისციპლინურ სამუშაო ჯგუფს, რომლის შემადგენლობაშიც დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი შედიოდა, როგორც მთავრობის, ასევე სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები. ამ შეხვედრაზე განიხილეს კვლევის მიგნებები და მოხდა მათი ვალიდაცია.

კვლევა ქცევითი მეცნიერების ჩარჩოს ეყრდნობა და სწორედ ამ ჭრილიდან ანალიზებს საკვლევი კითხვებს. უფრო კონკრეტულად, იგი ეფუძნება შემსწრის მიერ შეტყობინების სამნაწილიან მოდელს, რომელიც მოიცავს: ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული პოლიტიკის ცოდნას, ოჯახში ძალადობის ნიშნების ცოდნას, ოჯახში ძალადობასა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებულ სოციალურ ნორმებს და დამოკიდებულებებს. იმის დასადგენად, ნახალისებდა თუ არა შეტყობინებას ინფორმაციის მიწოდება ან სოციალური ნორმირება, ორგანიზაციამ სამკომპონენტო ექსპერიმენტი ჩაატარა. ექსპერიმენტები მეცნიერების ოქროს სტანდარტად მიიჩნევა და შესაძლებლობას გვაძლევს, ვიკვლიოთ მიზეზი და შედეგი ისევე, როგორც სამედიცინო ექსპერიმენტი იკვლევს ახალი წამლების ეფექტურობას. ექსპერიმენტი სხვადასხვა, საშუალოდ ერთმანეთის მსგავს ჯგუფებში ჩატარდა ინტერვენციის რანდომიზების გზით, რაც, თავის მხრივ, ჯგუფების ერთმანეთთან მსგავსებას უზრუნველყოფს.

ანგარიშში მოყვანილ მონაცემებსა და ანალიზს რიგ დასკვნებამდე და რეკომენდაციებამდე მიყვავართ. მათი დაყოფა შესაძლებელია რვა კატეგორიად: სხვადასხვა სუბიექტს შორის კოორდინაციის გაზრდა, საკომუნიკაციო კამპანია სკოლებისთვის, სკოლის დირექტორებთან მუშაობა, ტრენინგები მასწავლებლებისთვის, პრევენცია, შეტყობინების ხელშემწყობი გარემოს შექმნა, მომსახურებების გაუმჯობესება, გაფართოება და მათ შესახებ ცნობიერების ამაღლება, ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესება. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი მიგნებების მოკლე შეჯამება, ხოლო დეტალური ანალიზი მოცემულია ამავე დოკუმენტის დასკვნებისა და რეკომენდაციების ნაწილში.

## 1.2. რეკომენდაციები

### 1.2.1. სუბიექტებს შორის კოორდინაციის გაზრდა

#### რეკომენდაციები

1.1. განათლების სამინისტრომ შექმნას უწყებათშორისი ორგანო, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების გაუმჯობესებაზე, სისტემატიზაციასა და მონიტორინგზე იმუშავებს.

1.2. რესურსცენტრები გამოიყენონ კოორდინაციისთვის სამინისტროსა და სკოლებს შორის ამ თემებთან დაკავშირებით.

კვლევა აჩვენებს, რომ შეტყობინების ხელისშემშლელი ბარიერები განათლების სამინისტროს მანდატს მიღმაც არსებობს, რაც სხვადასხვა უწყებას შორის კოორდინაციას მოითხოვს. თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ ამ თემის გარშემო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის საქმიანობა ხშირად ფრაგმენტულია და სახეზეა სუბიექტებს შორის კომუნიკაციისა და კოორდინაციის ნაკლებობა. ამის შედეგად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს რეგულარულ და ინტეგრირებულ მომსახურებებზე ხელი არ მიუწვდებათ. მაგალითად, ზოგჯერ ფსიქოლოგები ბავშვებთან მუშაობას იწყებენ მანამ, ვიდრე სოციალური მუშაკები დაიწყებენ მუშაობას ოჯახებთან, რაც წარმატებულ შემთხვევებს აფერხებს. ამის მსგავსად, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები და მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგები ერთმანეთის კომპეტენციებს სრულად არ იცნობენ. შესაბამისად, რეკომენდებულია:

### 1.1. განათლების სამინისტრომ შექმნას უწყებათშორისი ორგანო, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების გაუმჯობესებაზე, სისტემატიზაციასა და მონიტორინგზე იმუშავებს.

პოლიტიკის წარმატებით განხორციელებისათვის აუცილებელია სკოლებსა და ეროვნული დონის სხვა სუბიექტებს შორის კოორდინაციის გაძლიერება. რესურსცენტრები სკოლებისა და სამინისტროს მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია. ისინი შესაბამის პოზიციაში არიან იმისთვის, რომ სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს შეტყობინების კუთხით დაეხმარონ. შესაბამისად, რეკომენდებულია:

### 1.2. რესურსცენტრები გამოიყენონ კოორდინაციისთვის სამინისტროსა და სკოლებს შორის ამ თემებთან დაკავშირებით.

### 1.2.2. საკომუნიკაციო კამპანია სკოლებისთვის

#### რეკომენდაციები

2.1. განათლების სამინისტრომ სისტემატურად განაცხადოს, რომ ის მხარს უჭერს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას; ეს უნდა მოხდეს მაღალი თანამდებობის პირების მეშვეობით, რომლებიც ამ თემის მნიშვნელობის შესახებ საჯარო გამოსვლებში ისაუბრებენ და, რესურსცენტრების მეშვეობით, მასწავლებლებსაც იმავე გზავნილს მიაწვდიან.

2.2. რესურსცენტრები გამოიყენონ ოჯახში ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. ამისთვის საჭიროა, რესურსცენტრებს შეუქმნან შესაბამისი პირობები, რათა მათ შეძლონ მასწავლებლებისა და დირექტორების მხარდაჭერა შეტყობინების კუთხით.

2.3. შეტყობინების ნახალისების მიზნით მასწავლებლებისადმი მიმართული საკომუნიკაციო კამპანია სოციალური ნორმირების გზავნილებს იყენებდეს.

2.4. ამ საკითხის გარშემო დაგეგმილი საკომუნიკაციო კამპანიები დაეფუძნოს მონაცემების ანალიზის შედეგად შემუშავებულ სტრატეგიებს, რომლებიც სამიზნე აუდიტორიებისთვის შესაფერის გზავნილებს გამოიყენებს.

2.5. ინტერნეტი გამოიყენონ საკომუნიკაციო კამპანიების გასატარებლად.

2.6. ფართო აუდიტორიას რეგულარულად მიენდოს ინფორმაცია შეტყობინების წარმატებული შედეგების შესახებ.

2.7. მასწავლებლებზე მიმართული გზავნილები შეტყობინების შესახებ კარგად წარმოაჩენდნენ ოჯახში ძალადობასთან ასოცირებულ დანაკარგებს.

პასუხისმგებელი ორგანოს შექმნის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ დირექტორებსა და მასწავლებლებს რეგულარულად მიაწოდოს შეტყობინების ნახალისებაზე მიმართული გზავნილები. ამ კუთხით განათლების სამინისტროს მუდმივმა აპელირებამ ოჯახში ძალადობის თემის მნიშვნელობაზე შეიძლება, წახალისოს მასწავლებლები, რომ შეტყობინება განახორციელონ. შესაბამისად, რეკომენდებულია:

**2.1. განათლების სამინისტრომ სისტემატურად განაცხადოს, რომ ის მხარს უჭერს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას; ეს უნდა მოხდეს მაღალი თანამდებობის პირების მეშვეობით, რომლებიც ამ თემის მნიშვნელობის შესახებ საჯარო გამოსვლებში ისაუბრებენ და, რესურსცენტრების მეშვეობით, მასწავლებლებსაც იმავე გზავნილს მიაწვდიან.**

სკოლებთან რესურსცენტრების მჭიდრო კავშირისა და მათი მაკოორდინირებელი ფუნქციის გათვალისწინებით, ისინი იდეალურ ინსტიტუტს წარმოადგენენ ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების მნიშვნელობის შესახებ დირექტორებთან და მასწავლებლებთან საკომუნიკაციოდ. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია, რომ:

**2.2. რესურსცენტრები გამოიყენონ ოჯახში ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. ამისთვის საჭიროა, რესურსცენტრებს შეუქმნან შესაბამისი პირობები, რათა მათ შეძლონ მასწავლებლებისა და დირექტორების მხარდაჭერა შეტყობინების კუთხით.**

კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ინფორმაციულ ზემოქმედებას მნიშვნელოვანი ეფექტი არ ჰქონდა, ერთი გამონაკლისის გარდა: ტრენინგით დაინტერესებული მასწავლებლები უფრო მეტად ამჟღავნებდნენ საკონტაქტო ინფორმაციის გაზიარების სურვილს პოტენციური ტრენინგისთვის, თუ ინფორმაციას სოციალური ნორმირების გზავნილი ახლდა თან. ამავდროულად, სოციალური ნორმირების გზავნილი, საშუალოდ, არ უკავშირდება რაიმე ტიპის უარყოფით შეხედულებებს შეტყობინებასთან მიმართებით. შესაბამისად, რეკომენდებულია:

**2.3. შეტყობინების ნახალისების მიზნით მასწავლებლებისადმი მიმართული საკომუნიკაციო კამპანია სოციალური ნორმირების გზავნილებს იყენებდეს.**

მიუხედავად სოციალური ნორმირების გზავნილის დიდი პოტენციალისა, მონაცემები აჩვენებს, რომ სხვადასხვა ზემოქმედებას განსხვავებული ეფექტი აქვს სხვადასხვა ჯგუფზე. მაგალითად, კაცები პასუხობდნენ ზემოქმედებას, რომელიც სამართლებრივ ინფორმაციას შეიცავდა, ქალები კი - არა. სკოლებში, რომლებშიც უკეთესი გარემო იყო, მასწავლებლები საინფორმაციო ზემოქმედების უმეტესობას სრულიად განსხვავებულად პასუხობდნენ იმ მასწავლებლებთან შედარებით, რომელთა სკოლებშიც შედარებით ცუდი გარემო იყო. ეს შედეგები მიუთითებს, რომ საჭიროა კომუნიკაციის სწორი დაგეგმვა; სადაც რესურსები ამის საშუალებას იძლევა, გზავნილები გამიზნული უნდა იყოს კონკრეტულ აუდიტორიაზე. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**2.4. ამ საკითხის გარშემო დაგეგმილი საკომუნიკაციო კამპანიები დაეფუძნოს მონაცემების ანალიზის შედეგად შემუშავებულ სტრატეგიებს, რომლებიც სამიზნე აუდიტორიებისთვის შესაფერის გზავნილებს გამოიყენებს.**

მონაცემები აჩვენებს, რომ მასწავლებლები, რომლებიც ინტერნეტს მოიხმარენ, უფრო მიდრეკილნი არიან შეტყობინებისკენ. მათ თვითეფექტურობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ და ნაკლებად არიდებენ თავს შეტყობინებას. შესაბამისად, ინტერ-



ნეტი შესაძლოა, შესაფერისი არხი იყოს ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების გასატარებლად იმ მასწავლებლებისათვის, რომლებიც უკვე მიდრეკილნი არიან შეტყობინებისადმი. ამ მიგნებების გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ:

## **2.5. ინტერნეტი გამოიყენონ საკომუნიკაციო კამპანიების გასატარებლად.**

როცა საქმე შეტყობინებას ეხება, ფოკუსგუფები აჩვენებს, რომ მასწავლებლები ხშირად შეტყობინების გაკეთების შესაძლო უარყოფით შედეგებზე ფიქრობენ. ამ კუთხით მნიშვნელოვანი ცნებაა დანაკარგის შიში, რაც გულისხმობს იმას, რომ ინდივიდებს დანაკარგის თავიდან არიდება ურჩევნიათ შესაძლო სარგებლის მიღებას. თუკი ისინი არ დარწმუნდებიან, რომ შეტყობინების დადებითი შედეგი გაცილებით დიდი იქნება, ვიდრე მისი უარყოფითი შედეგი, მასწავლებლები ქმედებისგან თავს შეიკავებენ. შესაბამისად, აუცილებელია, მასწავლებლებს სჯეროდეთ, რომ შეტყობინება ძალადობის მსხვერპლებს დაეხმარება. წარმატებული შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდება შეიძლება, ამის მიღწევის ერთ-ერთი გზა იყოს. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

## **2.6. ფართო აუდიტორიას რეგულარულად მიეწოდოს ინფორმაცია შეტყობინების წარმატებული შედეგების შესახებ.**

დანაკარგის შიშის იდეა შესაძლებელია, გამოიყენონ მასწავლებლების მხრიდან შეტყობინების გაკეთების წასახალისებლად. ეს შეიძლება, გაკეთდეს იმაზე ხაზგასმით, თუ რა გამოუსწორებელი დანაკარგი შეიძლება, ახლდეს თან ძალადობის შემთხვევის შეუტყობინებლობას. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

## **2.7. მასწავლებლებზე მიმართული გზავნილები შეტყობინების შესახებ კარგად წარმოაჩენდნენ ოჯახში ძალადობასთან ასოცირებულ დანაკარგებს.**

### **1.2.3. სკოლის დირექტორებთან მუშაობა**

#### **რეკომენდაციები**

3.1. ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების თემაზე ტრენინგების ძირითად სამიზნე ჯგუფს სკოლის დირექტორები წარმოადგენდნენ.

3.2. განათლების სამინისტრომ დააწესოს არაფინანსური ჯილდოები (მაგალითად, მაღალი თანამდებობის პირის შექება), რათა დირექტორებმა ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნან.

მონაცემები ცხადად აჩვენებს, რომ სკოლის გარემო მჭიდრო კავშირშია მთელ რიგ საკითხებთან. მასწავლებლები, რომლებიც, კვლევის მიხედვით, საუკეთესო გარემოს მქონე სკოლებში მუშაობენ, უფრო მეტად გამოთქვამდნენ ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისადმი მზაობას და შეტყობინებისადმი უფრო დადებითი დამოკიდებულება ჰქონდათ. განსხვავება კარგი და ცუდი გარემოს მქონე სკოლების მასწავლებლებში სტატისტიკურად მნიშვნელოვანი და არსებითად დიდია - სკოლის გარემოს გავლენა მასწავლებლის თვითფექტურობაზე შეტყობინებასთან დაკავშირებით 16-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე ტრენინგების ზეგავლენა. ზოგადად, სკოლის გარემო დამოკიდებულია ხელმძღვანელობაზე, მაგალითად, დირექტორზე. დირექტორების რაოდენობა მასწავლებლებისაზე ნაკლებია, შესაბამისად, კონკრეტულად მათზე მიმართული ღონისძიებები უფრო ნაკლებ ხარჯიანი იქნება, ვიდრე მთლიანად მასწავლებლებზე მიმართული ღონისძიებები. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

### **3.1. ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების თემაზე ტრენინგების ძირითად სამიზნე ჯგუფს სკოლის დირექტორები წარმოადგენდნენ.**

ტრენინგის გარდა, სხვა ღონისძიებების გამოყენებაც შეიძლება ეფექტურად. თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ დირექტორებს ეშინიათ იმ ზიანის, რასაც შეტყობინება სკოლის რეპუტაციას მიაყენებს. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ მანდატურებს არ ატყობინებენ. მასწავლებლების დამოკიდებულებების ცვლილებაზე მუშაობა სხვადასხვა, ძირითადად დაბალბიუჯეტის ჩარევის მეშვეობით შეიძლება. მაგალითად, იმ სკოლების დირექტორებს, რომლებსაც შეტყობინების მაღალი მაჩვენებელი აქვს, შესაძლოა, დაურეკოს მაღალი თანამდებობის პირმა და მაღლობა გადაუხადოს სკოლაში შეტყობინებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისთვის, ან წაახალისოს მასწავლებელი, რომლის სკოლასაც არასოდეს შეუტყობინებია ძალადობის შემთხვევები. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

### **3.2. განათლების სამინისტრომ დააწესოს არაფინანსური ჯილდოები (მაგალითად, მაღალი თანამდებობის პირის შექება), რათა დირექტორებმა ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნან.**

## 1.2.4. მასწავლებლების ტრენინგი

### რეკომენდაციები

4.1. განათლების სამინისტრომ შექმნას ტრენინგის მოდული, რომელიც ოჯახში ძალადობის ყველა რელევანტურ ასპექტს მოიცავს;

4.2. განათლების სამინისტრომ, შესაბამის სუბიექტებთან კოორდინაციის შედეგად (საჭიროების მიხედვით), უზრუნველყოს, რომ საქართველოში მასწავლებლებმა ტრენინგი სწორედ ამ მოდულის მიხედვით გაიარონ;

4.3. ჩატარდეს საპილოტე ტრენინგები და მოხდეს მათი შეფასება იმისთვის, რომ მათი გავლენა საფუძვლიანად გამოიკვლიონ.

4.4. მასწავლებლებს მიაწოდონ ელექტრონული და დაბეჭდილი მასალები, რომლებიც ნათლად და მარტივად აღწერს შეტყობინების სისტემას სკოლებში. ეს მასალები გახდეს ტრენინგის ნაწილი;

4.5. ტრენინგის ფარგლებში მასწავლებლებს მიაწოდონ შეტყობინების პროცესის სქემა, რომელიც პროცესის თითოეულ ეტაპს წარმოაჩენს და მოკლედ და მარტივად აღწერს მათ.

4.6. მასწავლებლებს მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რა ზიანი მოაქვს ბავშვებისთვის ძალადობის ყველა ფორმას;

4.7. ტრენინგების ფარგლებში განიმარტოს, თუ რა წარმოადგენს საფუძვლიან ეჭვს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, მასწავლებელმა შესაბამის ორგანოებს უნდა მიმართოს მიუხედავად პირდაპირი მტკიცებულების არარსებობისა. ამასთან, მასწავლებლებს უნდა განემარტოთ, რომ თუ ისინი წესების და რეგულაციების ფარგლებში იმოქმედებენ, არ დაისჯებიან იმის გამო, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ძალადობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

4.8. ტრენინგების დროს გამოიყენონ სიმულაციის მეთოდი, რათა დაეხმარონ მასწავლებლებს თვითეფექტურობის განვითარებაში.

რაც შეეხება მასწავლებლების ტრენინგს, სხვადასხვა ტიპის ტრენინგი ტარდება, თუმცა, კვლევა აჩვენებს, რომ არცერთი მათგანი არ არის ყოვლისმომცველი და ტრენინგების სისტემატური მონიტორინგი და შეფასებაც არ ხდება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**4.1. განათლების სამინისტრომ შექმნას ტრენინგის მოდული, რომელიც ოჯახში ძალადობის ყველა რელევანტურ ასპექტს მოიცავს;**

**4.2. განათლების სამინისტრომ, შესაბამის სუბიექტებთან კოორდინაციის შედეგად (საჭირო-**

**ების მიხედვით), უზრუნველყოს, რომ საქართველოში მასწავლებლებმა ტრენინგი სწორედ ამ მოდულის მიხედვით გაიარონ;**

**4.3. ჩატარდეს საპილოტე ტრენინგები და მოხდეს მათი შეფასება იმისთვის, რომ მათი გავლენა საფუძვლიანად გამოიკვლიონ.**

თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ მასწავლებლებს შეტყობინების ვალდებულების შესახებ ინფორმაცია აქვთ. თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ შეტყობინების გაკეთების მექანიზმი ესმით. ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების შემუშავებაში ყველა შესატყვისი ორგანო ჩართული არ იყო და გაურკვეველია, არსებობს თუ არა სკოლის გარემოზე მორგებული პროცედურები ამ კუთხით. სკოლებისთვის კონკრეტული პროცედურების შემუშავებისა და ცხადი და მარტივი ინსტრუქციების გაცემის შედეგად, სავარაუდოდ, გაიზრდება მიმართვიანობის პროცედურის გამოყენება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**4.4. მასწავლებლებს მიაწოდონ ელექტრონული და დაბეჭდილი მასალები, რომლებიც ნათლად და მარტივად აღწერს შეტყობინების სისტემას სკოლებში. ეს მასალები გახდეს ტრენინგის ნაწილი;**

**4.5. ტრენინგის ფარგლებში მასწავლებლებს მიაწოდონ შეტყობინების პროცესის სქემა, რომელიც პროცესის თითოეულ ეტაპს წარმოაჩენს და მოკლედ და მარტივად აღწერს მათ.**

მონაცემები და მათი ანალიზი, ზოგადად, აჩვენებს, რომ მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია ძალადობის სხვადასხვა ფორმისა და ნიშნის შესახებ. თუმცა, ისინი ფიქრობენ, რომ ძალადობის „ნაკლებად მძიმე“ ფორმების შესახებ შეტყობინება არ ღირს და მხოლოდ სექსუალური ძალადობა, ან განმეორებადი და „მძიმე“ ძალადობა წარმოადგენს შეტყობინებისთვის საკმარისად სერიოზულ მიზეზს. ამ მხრივ, რეკომენდებულია, რომ:

**4.6. მასწავლებლებს მიაწოდონ ინფორმაცია, თუ რა ზიანი მოაქვს ბავშვებისთვის ძალადობის ყველა ფორმას;**

კვლევა ასევე აჩვენებს, რომ მასწავლებლები ორჭოფობენ, მიმართონ თუ არა შესაბამის უწყებას მხოლოდ თავისი ეჭვის საფუძველზე, როდესაც ოჯახში ძალადობის მტკიცებულება არ აქვთ. ისინი შიშობენ, რომ შესაძლოა, უნებურად ცრუ ბრალდება წარადგინონ. ზოგი ფიქრობს იმ სამართლებრივ

შედეგებზე, რაც ოჯახში ძალადობის დაუდასტურებელი შემთხვევის შესახებ შეტყობინებას შეიძლება, მოყვეს. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**4.7. ტრენინგების ფარგლებში განიმარტოს, თუ რა წარმოადგენს საფუძვლიან ეჭვს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, მასწავლებელმა შესაბამის ორგანოებს უნდა მიმართოს მიუხედავად პირდაპირი მტკიცებულების არარსებობისა. ამასთან, მასწავლებლებს უნდა განემარტოთ, რომ თუ ისინი წესების და რეგულაციების ფარგლებში იმოქმედებენ, არ დაისჯებიან იმის გამო, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ძალადობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი.**

მონაცემები მიუთითებს, რომ მასწავლებლების თვითფექტურობა მტკიცედ და პოზიტიურად უკავშირდება შეტყობინების ქცევას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლების ტრენინგი ყურადღებას უნდა ამახვილებდეს არა მხოლოდ პროცედურების ცოდნაზე, არამედ მხარს უჭერდეს თვითფექტურობის განვითარებას ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან მიმართებით. რეკომენდებულია, რომ:

**4.8. ტრენინგების დროს გამოიყენონ სიმულაციის მეთოდი, რათა დაეხმარონ მასწავლებლებს თვითფექტურობის განვითარებაში.**

### 1.2.5. პრევენცია

#### რეკომენდაციები

5.1. განათლების სამინისტრომ შეიმუშავოს ძალადობის პრევენციის მოდულები და ის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სახელმძღვანელოებში შეიტანოს.

5.2. შესაბამისმა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მშობლებს შესთავაზონ ტრენინგი ბავშვის აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ სკოლებშივე ან მათ გარეთ.

5.3. უზრუნველყოს, რომ საუნივერსიტეტო პროგრამები, რომლებიც მომავალ მასწავლებლებს ამზადებს, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ თემებს მოიცავდეს;

5.4. ახალ მასწავლებლებთან და დირექტორებთან გასაუბრებისას შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვროს და დაემატოს შეკითხვები მათი დამოკიდებულებების შესახებ ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე.

5.5. ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე (და პრევენციაზე) მიმართული ღონისძიებები ფოკუსირდეს სოფლის ტიპის დასახლებებზე და რეგიონებზე, რომლებშიც ემიგრაციის მაჩვენებელი მაღალია.

პრევენცია, გარკვეულწილად, ამ კვლევის ფარგლებს სცდება. თუმცა, ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციები ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის, ზოგადად, გათვალისწინებული უნდა იყოს იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკის საბოლოო მიზანი ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა უნდა იყოს და არა მხოლოდ მასზე ეფექტური რეაგირება. ამ კუთხით, ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ოჯახში ძალადობის შესახებ საკმარის მასალას არ შეიცავს, რამაც შესაძლებელია, პრევენციას ხელი შეუწყოს. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**5.1. განათლების სამინისტრომ შეიმუშავოს ძალადობის პრევენციის მოდულები და ის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სახელმძღვანელოებში შეიტანოს.**

პრევენციასთან მიმართებით სამუშაო ჯგუფმა<sup>1</sup> აღნიშნა, რომ ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით პროგრესის მისაღწევად მშობლებს შემდგომი განათლება ესაჭიროებათ. სამუშაო ჯგუფის დაკვირვების შედეგად, რეკომენდებულია, რომ:

**5.2. შესაბამისმა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მშობლებს შესთავაზონ ტრენინგი ბავშვის აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ სკოლებშივე ან მათ გარეთ.**

სამუშაო ჯგუფმა ხაზი გაუსვა, რომ პრევენციისთვის ასევე მნიშვნელოვანია მასწავლებლების მომავალ თაობაზე ფოკუსირება. ამის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ განათლების სამინისტრომ:

**5.3. უზრუნველყოს, რომ საუნივერსიტეტო პროგრამები, რომლებიც მომავალ მასწავლებლებს ამზადებს, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ თემებს მოიცავდეს;**

**5.4. ახალ მასწავლებლებთან და დირექტორებთან გასაუბრებისას შერჩევის კრიტერიუმად განისაზღვროს და დაემატოს შეკითხვები მათი დამოკიდებულებების შესახებ ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე.**

პროექტის ფარგლებში შეგროვებული მონაცემები მიუთითებს, რომ სოფლებში მასწავლებლების მიერ განხორციელებული შეტყობინებების რაოდენობა უფრო ნაკლებია, ვიდრე ქალაქში და მიგრანტების ოჯახები უფრო მაღალი რისკის ქვეშ არიან. ამ მიგნებების გათვალისწინებით რეკომენდებულია:

<sup>1</sup> კვლევის ინტერდისციპლინური სამუშაო ჯგუფი, რომელიც ძირითადი დაინტერესებული მხარეებისგან შედგებოდა (როგორც სამთავრობო, ისე სხვა უწყებების წარმომადგენლებისგან), კვლევის საწყის ეტაპზე, კვლევის დიზაინის შემუშავებასა და განხილვაში იყო ჩართული.

**5.5. ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე (და პრევენციამზე) მიმართული ღონისძიებები ფოკუსირდეს სოფლის ტიპის დასახლებებზე და რეგიონებზე, რომლებშიც ემიგრაციის მაჩვენებელი მაღალია.**

**1.2.6. შეტყობინებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა**

**რეკომენდაციები**

6.1. უზრუნველყოს შემტყობინებლების კონფიდენციალობის დაცვა;

6.2. პოლიციელებს ქვეყნის მასშტაბით ჩაუტარდეთ უფრო მეტი და გაუმჯობესებული ტრენინგი ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მიმართულებით. ტრენინგები უნდა ფოკუსირდეს შედარებით „მსუბუქ“ ძალადობაზე რეაგირების მნიშვნელობაზე;

6.3. პოლიციელების დახმარება ოჯახში ძალადობის შემცველი შემთხვევებისას მათთვის სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების ჩართვის შესაძლებლობის მიცემის გზით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების გამოკითხვისას.

6.4. უფრო მეტი სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დაქირავება მომსახურების სააგენტოსა და მანდატურის სამსახურში; მათთვის სიღრმისეული ტრენინგის ჩატარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობის მიმართულებით.

6.5. შეძლებისდაგვარად შემცირდეს შეტყობინებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ტვირთი; შემტყობინებლებისთვის ხელმისაწვდომი იყოს მოქნილი გრაფიკი პოლიციაში გამოსაცხადებლად.

6.6. შეიქმნას ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მასწავლებლები კონსულტაციას გაივლიან და რჩევებს მიიღებენ ოჯახში ძალადობის ნიშნებისა და შეტყობინების შესახებ. ამ მიზნისთვის შესაძლებელია დღეს არსებული ცხელი ხაზის (116006) გამოყენება.

კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიგნებაა, რომ მასწავლებლები თავს იკავებენ შეტყობინებისგან, რადგან შიშობენ, რომ ეს უფრო მეტ ზიანს მოიტანს, ვიდრე სარგებელს. ეს შიში ინსტიტუტების ეფექტიანობის ნაკლები რწმენიდან მომდინარეობს. მასწავლებლების დაურწმუნებლობა იმაში, რომ ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე შესაბამისი ინსტიტუტები ეფექტურ რეაგირებას არ მოახდენენ, გამოკითხვაში მასწავლებლების მიერ დასახელებული

შეტყობინების სამი მთავარი ბარიერიდან ერთ-ერთია. ეს ფაქტორი თვისებრივი კვლევის შედეგებითაც დასტურდება, სადაც მასწავლებლებმა, მანდატურებმა და ექსპერტებმა გაიხსენეს შემთხვევები, როდესაც ოფიციალურმა რეაგირებამ ძალადობის მსხვერპლები იმაზე ცუდ მდგომარეობაში ჩააგდო, ვიდრე ისინი შეტყობინებამდე იყვნენ. ინსტიტუციური ეფექტურობასთან დაკავშირებული უარყოფითი აღქმის შედეგად, დაბალია ნდობა მიმართვიანობის სისტემის სხვადასხვა სუბიექტს შორის. მასწავლებლები არ ენდობიან მანდატურებს, პოლიციას და სოციალურ მუშაკებს. მანდატურები ფიქრობენ, რომ მასწავლებლები მათ ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციას უმაღავენ. ასევე, მანდატურებს უჭირთ პოლიციის მიყვანა სკოლაში და ფიქრობენ, რომ დირექტორები არ ახალისებენ მასწავლებლების მხრიდან შეტყობინებას. სოციალური მუშაკები არაეფექტურად აღიქმებიან. სუბიექტებს შორის უნდობლობა, სავარაუდოდ, შეტყობინებას აბრკოლებს.

შეტყობინებაზე რეაგირების საკითხი პრობლემურია არა მარტო მსხვერპლებისთვის, არამედ მასწავლებლებისთვისაც. სისტემა არ იცავს კონფიდენციალობას, რაც ნიშნავს, რომ ის, ვინც შეტყობინებას აკეთებს, საფრთხის წინაშე დგება. საფრთხის შიში, გამოკითხვის ფარგლებში, შეტყობინების სამ ყველაზე ხშირად დასახელებულ ბარიერს შორის აღმოჩნდა. კონფიდენციალობის გარდა, შეტყობინებას ასევე ხელს უშლის შეტყობინების თანმხლები ბიუროკრატია.

შეტყობინების წინააღმდეგ ასევე ის ეკონომიკური შედეგები, რაც შეტყობინების შედეგად დგება მსხვერპლისთვის, რომელიც ფინანსურად მოძალადეობს დამოკიდებული. მასწავლებლებმა იციან, თუ რა ეკონომიკურ დანაკარგთანაა დაკავშირებული მოძალადის დაპატიმრება და ხედავენ იმ სირთულეებს, რომლებსაც ეს დაპატიმრება მათ მოსწავლეებს უქმნის.

ზემოთ მოყვანილი მიგნებები ქვევითი მეცნიერების ჩარჩოში რომ მოვაქციოთ, შეიძლება, ითქვას, რომ ადამიანებს დანაკარგის შიში აქვთ. ეს ნიშნავს, რომ დანაკარგის თავიდან არიდების სურვილი პოზიტიური შედეგების მიღწევის სურვილზე უფრო დიდია. ეს პრინციპი ოჯახში ძალადობის შეტყობინებას რომ მივუსადაგოთ, შეტყობინების პოტენციური სარგებელი მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს პოტენციურ დანაკარგს.

აღნიშნულს მივყავართ კვლევის ძირითად მიგნებად:

**მასწავლებლების მხრიდან შეტყობინების ნახალისებაზე მიმართული ღონისძიებების პარალელურად, სახელმწიფომ უნდა გააუმჯობესოს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმი.**

აღსანიშნავია ასევე კონფიდენციალობის საკითხი, რომელიც ძალადობის შეტყობინებების შედეგად მიღებულ საპასუხო ძალადობაზე მასწავლებლების შიშს ეხმარება. კონფიდენციალობის გარანტიის მიცემა მასწავლებლების ამ შიშს გააქარწყლებდა. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ შეტყობინების ჯაჭვის ყველა აქტორმა:

**6.1. უზრუნველყოს შეტყობინებლების კონფიდენციალობის დაცვა;**

ზემოთ მოყვანილი მიგნებები ასევე მიუთითებს, რომ იმისათვის, რომ მასწავლებლებში შეტყობინების პრაქტიკა გავრცელდეს, მათ უნდა სჯეროდეთ, რომ შეტყობინების შედეგად ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მდგომარეობა მნიშვნელოვნად და უფრო დიდი ალბათობით გაუმჯობესდება, ვიდრე გაუარესდება. ამის მისაღწევად აუცილებელია ინსტიტუტების ეფექტური რეაგირება. მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, მონაცემები აჩვენებს, რომ შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭიროა მეტი მუშაობა. პოლიციას ასევე სჭირდება დამატებითი დახმარება, რათა ოჯახში ძალადობაზე რეაგირება მოახდინოს, განსაკუთრებით როცა საქმე ბავშვებზე ძალადობას ეხება. ამ მიგნებებზე დაყრდნობით, რეკომენდებულია, რომ:

**6.2. პოლიციელებს ქვეყნის მასშტაბით ჩაუტარდეთ უფრო მეტი და გაუმჯობესებული ტრენინგი ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მიმართულებით. ტრენინგები უნდა ფოკუსირდეს შედარებით „მსუბუქ“ ძალადობაზე რეაგირების მნიშვნელობაზე;**

**6.3. პოლიციელების დახმარება ოჯახში ძალადობის შემცველი შემთხვევებისას მათთვის სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების ჩართვის შესაძლებლობის მიცემის გზით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების გამოკითხვისას.**

სოციალური მუშაკების საქმიანობა ხშირად არაეფექტურად მიიჩნევა, რაც ძირითადად ადამიანური რესურსების ნაკლებობიდან გამომდინარეობს. მა-

გალითად, სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონში მხოლოდ ერთი ფსიქოლოგი ჰყავს, რომლის მანდატიც ოჯახში ძალადობის საკითხებით არ შემოიფარგლება. იმისათვის, რომ სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები უფრო ეფექტურები იყვნენ, საჭიროა ადამიანური რესურსების დამატება. შესაბამისად, რეკომენდებულია:

**6.4. უფრო მეტი სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დაქირავება მომსახურების სააგენტოსა და მანდატურის სამსახურში; მათთვის სიღრმისეული ტრენინგის ჩატარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობის მიმართულებით.**

მართალია გარკვეული ბიუროკრატიული პროცედურები აუცილებელია, თუმცა, მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეტყობინების ეს ბიუროკრატიული ტვირთი მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის მათ ქმედებას. სხვა ხანგრძლივი პროცედურების გარდა, უხერხულობას ქმნის სამუშაო საათების გაცდენის საჭიროება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**6.5. შეძლებისდაგვარად შემცირდეს შეტყობინებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ტვირთი; შემტყობინებლებისთვის ხელმისაწვდომი იყოს მოქნილი გრაფიკი პოლიციაში გამოსაცხადებლად.**

მნიშვნელოვანია იმ მასწავლებლების დახმარება, რომლებმაც ზუსტად არ იციან, უნდა შეატყობინონ თუ არა ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ, ან არ იციან, როგორ გააკეთონ ეს. მიუხედავად იმისა, რომ რესურსცენტრები მსგავსი კონსულტაციებისთვის კარგი რესურსია (იხილეთ რეკომენდაცია 1.2), მათი მჭიდრო კავშირი დირექტორებთან რისკს უქმნის კონფიდენციალობას, განსაკუთრებით მცირე ზომის დასახლებებში. მასწავლებლების ნახალისება შეტყობინებისკენ შეიძლება ცხელი ხაზის მეშვეობით, რომლის საშუალებით მასწავლებლები მიიღებენ კონსულტაციას ოჯახში ძალადობის ნიშნებთან და შეტყობინების პროცედურებთან დაკავშირებით. ამ კუთხით რეკომენდებულია, რომ:

**6.6. შეიქმნას ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მასწავლებლები კონსულტაციას გაივლიან და რჩევებს მიიღებენ ოჯახში ძალადობის ნიშნებისა და შეტყობინების შესახებ. ამ მიზნისთვის შესაძლებელია დღეს არსებული ცხელი ხაზის (116006) გამოყენება.**

### 1.2.7. მომსახურების გაფართოება, გაუმჯობესება და მათ შესახებ ცნობიერების გაზრდა

#### რეკომენდაციები

7.1. მიზნად ისახავდეს მსხვერპლების მყისიერი ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას;

7.2. საშუალოვადიან პერიოდში მიზნად ისახავდეს მსხვერპლების ეკონომიკურ გაძლიერებას.

7.3. ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლისთვის უზრუნველყოფილი იყოს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მომსახურების დროული ხელმისაწვდომობა (ფსიქოთერაპიისა და ფსიქიატრის კონსულტაციის ჩათვლით) ქვეყნის მასშტაბით.

7.4 სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის შეთავაზებული მომსახურებების აღწერა რუკაზე გეოგრაფიული დისტრიბუციის, მანდატის, სამიზნე ჯგუფებისა და რესურსების მიხედვით.

7.5 სკოლების მეშვეობით მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის მომსახურებების რუკების მიწოდება. ეს მასალები მასწავლებლების ტრენინგისთვისაც უნდა გამოიყენონ.

იმისთვის, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებაზე ინსტიტუტების რეაგირება ეფექტური იყოს, ძალადობის მსხვერპლებისთვის შეთავაზებული მომსახურებების რაოდენობა უნდა გაიზარდოს და მათი პოპულარიზაცია მოხდეს. კვლევა მიუთითებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მომსახურება ხელმისაწვდომია, ბევრმა ამის შესახებ არ იცის. ეს განსაკუთრებით ეკონომიკურ რეაბილიტაციას ეხება. როგორც წინა ქვეთავშია განხილული, მასწავლებლები აფასებენ მათი მოსწავლეების მოძალადე მშობლების დაპატიმრების ეკონომიკურ გავლენას ოჯახზე. თუ მასწავლებლები დაინახავდნენ, რომ სახელმწიფო ძალადობის მსხვერპლებს დაუყოვნებლივ აღმოუჩენს დახმარებას, ისინი უფრო ხშირად შეატყობინებდნენ მსგავსი შემთხვევების შესახებ. თუ მხარდაჭერა ქალთა ეკონომიკურ გაძლიერებასაც შეეხებოდა, მასწავლებლების შეტყობინებისას ამ ბარიერზე არ იფიქრებდნენ. ამ ტიპის მომსახურებებს სხვადასხვა ფორმა შეიძლება, ჰქონდეს: ფულადი დახმარება ძალადობის მსხვერპლებისთვის, სასკოლო სახელმძღვანელოების გადაცემა, ან პროფესიული განათლების ტრენინგებზე წვდომა. დახმარების ფორმის მიუხედავად, რეკომენდებულია, რომ იგი:

7.1. მიზნად ისახავდეს მსხვერპლების მყისიერი ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას;

7.2. საშუალოვადიან პერიოდში მიზნად ისახავდეს მსხვერპლების ეკონომიკურ გაძლიერებას.

მასწავლებლებმა, მანდატურებმა და ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების მომსახურება ხშირად ხელმისაწვდომი არ არის ან დაგვიანებულია. როგორც ზემოთ განვიხილეთ, ადამიანური რესურსები საკმაოდ შეზღუდულია, განსაკუთრებით როცა საქმე ფსიქოლოგებსა და ფსიქიატრებს ეხება. ამ კუთხით რეკომენდებულია:

7.3. ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლისთვის უზრუნველყოფილი იყოს ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მომსახურების დროული ხელმისაწვდომობა (ფსიქოთერაპიისა და ფსიქიატრის კონსულტაციის ჩათვლით) ქვეყნის მასშტაბით.

ექსპერტების მიხედვით, არსებული მომსახურებების შესახებ ცნობიერების დონის ნაკლებობა ასევე უარყოფითად მოქმედებს შეტყობინებაზე. ფოკუს-გუფებში საუბრებით ირკვევა, რომ, როგორც ჩანს, ყველა არსებული მომსახურების შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაცია სქემატური ფორმით არ არსებობს. შესაბამისად, რეკომენდებულია:

7.4 სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის შეთავაზებული მომსახურებების აღწერა რუკაზე გეოგრაფიული დისტრიბუციის, მანდატის, სამიზნე ჯგუფებისა და რესურსების მიხედვით.

7.5 სკოლების მეშვეობით მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის მომსახურებების რუკების მიწოდება. ეს მასალები მასწავლებლების ტრენინგისთვისაც უნდა გამოიყენონ.

### 1.2.8. ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესება

#### რეკომენდაციები

8.1. შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სოციალური მომსახურების სააგენტომ იმუშაონ მანდატურის სამსახურთან მონაცემთა შეგროვებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით;

8.2. მონაცემები გაანალიზდეს პოლიტიკის ინფორმირების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ მანდატურის სამსახური მონაცემების წარმოებას მისაღები ფორმით ახორციელებს, შინაგან საქმეთა სამინისტროს და სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა შეგროვების მეთოდები ინტერვენციისა და პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის მონაცემების სრულად გამოყენების შესაძლებლობას არ იძლევა. კარგი ადმინისტრაციულ მონაცემების გამოყენება პოტენციურად ბევრნაირადაა შესაძლებელი - დანყებული მონიტორინგიდან დამთავრებული ალგორითმის შექმნით, რომლის მეშვეობითაც მოხდებოდა იმ

სკოლების იდენტიფიცირება, რომელთა შეტყობინებების მაჩვენებელი შედარებით დაბალია. შესაბამისად, რეკომენდებულია:

**8.1. შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სოციალური მომსახურების სააგენტომ იმუშაონ მანდატურის სამსახურთან მონაცემთა შეგროვებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით;**

**8.2. მონაცემები გაანალიზდეს პოლიტიკის ინფორმირების მიზნით.**

# თავი 2. შესავალი

ბოლო წლებში მიღწეული პროგრესის მიუხედავად, საქართველოში, ოჯახში ძალადობა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინება გამომწვევად რჩება. 2016<sup>2</sup> და 2017<sup>3</sup> წლებში საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელდა ცვლილებები ამ საკითხებზე ეს ცვლილებები სკოლის მანდატურს ან მისი მოვალეობის შემსრულებელს<sup>4</sup> და მასწავლებლებს ავალდებულებს, ბავშვის მიმართ ძალადობაზე ეჭვის გაჩენის შემთხვევაში შესაბამის ორგანოებს მიმართონ. ამ ვალდებულების შეუსრულებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა.<sup>5</sup> სუბიექტები, რომლებმაც იციან, როგორ მუშაობს სახელმწიფოს აღნიშნული პოლიტიკა, აცხადებენ, რომ მანდატურები შეტყობინების ვალდებულებას ეფექტურად ასრულებენ. სხვადასხვა დაწესებულებაში არსებული მონაცემების მიხედვით, მასწავლებლების მხრიდან შეტყობინების მაჩვენებელი დაბალია; ბევრ სკოლას ერთხელაც არ განუცხადებია ოჯახში ძალადობის შემთხვევის შესახებ. ეს მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან მასწავლებლებს, მანდატურის სამსახურთან შედარებით, უფრო ახლო ურთიერთობა აქვთ მოსწავლეებთან და მათ ოჯახებთან, რაც ძალადობის შემთხვევების გამოვლენის უკეთეს შესაძლებლობებს იძლევა. ამ კვლევაში გაანალიზებულია მასწავლებლის, როგორც შემსწრის როლი.<sup>6</sup> ლიტერატურული წყარო-

ები ქცევითი მეცნიერების შესახებ მიუთითებს, რომ შემსწრეები, ხშირად, ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ჩარევისგან თავს იკავებენ. თუმცა, ქცევის შეცვლაზე მიმართული გარკვეული ზემოქმედების შედეგად შესაძლებელია შემსწრეების წახალისება მოქმედებისკენ.

ამ მიზნიდან გამომდინარე და იმის გასარკვევად, თუ როგორ წავახალისოთ მასწავლებლები, რომ შესაბამის ორგანოებს აცნობონ ოჯახში ძალადობის ფაქტების შესახებ, 2019 წელს გაეროს ქალთა ორგანიზაციამ დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით და CRRC-საქართველოსთან თანამშრომლობით, საქართველოში ჩაატარა კვლევა: „ქცევითი მიზეზები, რომლებიც მასწავლებლებისთვის ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევებში ჩარევის/შეტყობინების წინააღობას წარმოადგენს.“

კვლევის მიზანია, გამოავლინოს, თუ როგორ წავახალისოთ მასწავლებლები, ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ შესაბამის ორგანოებს შეატყობინონ. ანალიზი პასუხობს შემდეგ საკვლევ კითხვებს:

- როგორია მასწავლებლებს შორის გავრცელებული სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან დაკავშირებით?
- რა იციან და რა არ იციან მასწავლებლებმა შეტყობინებასთან დაკავშირებული პოლიტიკის შესახებ?
- რა იციან და რა არ იციან მასწავლებლებმა ბავშვის მიმართ ძალადობისა და მისი ნიშნების შესახებ?
- როგორია მასწავლებლებს შორის გავრცელებული სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით?
- რა განსხვავებებია მასწავლებელთა სხვადასხვა სოციალურ, დემოგრაფიულ, ეკონომიკურ და პროფესიულ ჯგუფს შორის ზემოთ ჩამოთვლილ ცვლადებთან მიმართებით?
- ზემოთ მოყვანილი ცვლადებიდან უკავშირდება თუ არა რომელიმე ქალთა და ბავშვთა მიმართ

2 საქართველოს მთავრობის დადგენილება ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე. მუხლი 5 ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0>

3 საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 9. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14>

4 საქართველოში მანდატურები სკოლებში დაცვის ფუნქციას ასრულებენ. უფრო ვრცელი ინფორმაცია მანდატურების შესახებ ხელმისაწვდომია აქ: <http://mandaturi.gov.ge/page/struqtura>. ზოგიერთ სკოლას მანდატური არ ჰყავს. ასეთ შემთხვევაში, სკოლა ვალდებულია დანიშნოს შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი.

5 საქართველოს კანონი ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ, მუხლი 14. ხელმისაწვდომია აქ: <https://matsne.gov.ge/en/document/view/26422?publication=14>

6 მოცემულ კონტექსტში შემსწრეები არიან ადამიანები, რომლებიც ესწრებიან მოვლენას, შემთხვევას, ან სხვა გზით არიან მოვლენის თუ შემთხვევის შემსწრეები, პირდაპირი მონაწილეობის გარეშე. ქცევით მეცნიერებაში შემსწრის ეფექტი არის ადამიანების თავშეკავება ჩაერიონ სიტუაციაში, რაც თან ახლავს შემსწრეების ოდენობის ზრდას. ამ ანგარიშში ეს ტერმინი აღწერს ადამიანებს თემში, რომლებმაც იციან (მათ შორის, ესწრებიან) ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ. ვრცლად ამ ცნების შესახებ იხილეთ დარლივი და ლატანი (1968).



ძალადობის შემთხვევების შეტყობინების უფრო მეტ ან ნაკლებ სურვილს?

- შესაძლებელია თუ არა შეტყობინების წახალისება ქვევით მიდგომებზე დაყრდნობით განხორციელებული ისეთი ზემოქმედების შედეგად, როგორცაა სოციალური ნორმირება და ინფორმაციის მიწოდება?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად CRRC-საქართველომ ჩაატარა კვლევა შერეული მეთოდოლოგიის გამოყენებით. კვლევა დაიწყო ლიტერატურის მიმოხილვით, რის საფუძველზეც შემუშავდა დიზაინი მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზისთვის.

კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი მონაცემები, რომლებიც შეგროვდა ფოკუსჯგუფებისა და ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგად. კვლევა ასევე ეყრდნობა გამოკითხვას, რომელიც წარმომადგენლობითია საქართველოს სკოლის მასწავლებლებისთვის. გამოკითხვის ფარგლებში სამკომპონენტო ექსპერიმენტი ჩატარდა, რათა შეგვესწავლა კანონმდებლობის ცოდნის, სოციალური ნორმირების და ამ ორი ფაქტორის კომბინაციის ეფექტი შეტყობინების რაოდენობის ზრდაზე. მონაცემთა შეგროვებისთვის საჭირო საშუალებების შემუშავების შემდეგ შევადგინეთ ანალიზის წინასწარი გეგმა. ამ პროცესში საუკეთესო პრაქტიკას დავყვარდებით. გამოკითხვის შერჩევა 1 494 მასწავლებელს მოიცავს, ხოლო ცდომილების საშუალო ზღვარი 4.6%-ია. შეგროვებული მონაცემები წარმომადგენლობითია საქართველოს საჯარო სკოლების მასწავლებლებისთვის. გამოკითხვა ჩატარდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე. კვლევის სავსე საშუალებები მიმდინარეობდა 2019 წლის მაისი-ივნისის პერიოდში. მონაცემთა შეგროვების შემდეგ მონაცემთა ანალიზი ანალიზის წინასწარი გეგმის შესაბამისად განხორციელდა. ანალიზის შემდგომ წინასწარი შედეგები ინტერდისციპლინურ სამუშაო ჯგუფს წარუდგინეს, რომლის შემადგენლობაშიც დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი შედიოდა, როგორც მთავრობის, ასევე სხვა დაწესებულებების წარმომადგენლები. ამ შეხვედრაზე განიხილეს კვლევის შედეგები და მოხდა მათი ვალიდაცია.

კვლევა ქვევითი მეცნიერების ჩარჩოს ეყრდნობა და საკვლევ საკითხებს სწორედ ამ ჭრილიდან აანალიზებს. ქვევითი მეცნიერება ადამიანის ქცევას სწავლობს. ამ შემთხვევაში გამოყენებულია ქვევითი მეცნიერების ფარგლებში არსებული ნაშრომები შემსწრეების შესახებ, ოჯახში ძალადობის შემთხვე-

ვების შეტყობინების კონტექსტში. უფრო კონკრეტულად, კვლევა შემსწრის მიერ შეტყობინების სამხარისიანი მოდელს ეფუძნება. ეს მოდელი მოიცავს: ოჯახურ ძალადობასთან დაკავშირებული პოლიტიკის ცოდნას, ოჯახში ძალადობის ნიშნების ცოდნას, ოჯახში ძალადობასა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ შეტყობინებასთან დაკავშირებულ სოციალურ ნორმებსა და დამოკიდებულებებს. იმის დასადგენად, წახალისებდა თუ არა შეტყობინებას ინფორმაციის მიწოდება ან სოციალური ნორმირება,<sup>7</sup> ორგანიზაციამ სამკომპონენტო ექსპერიმენტი ჩაატარა. ექსპერიმენტები მეცნიერების ოქროს სტანდარტად მიიჩნევა და შესაძლებლობას გვაძლევს, ვიკვლიოთ მიზეზი და შედეგი ისევე, როგორც სამედიცინო ექსპერიმენტი იკვლევს ახალი ნამდებების ეფექტურობას. ექსპერიმენტი სხვადასხვა ჯგუფში ინტერვენციის რანდომიზების გზით ჩატარდა, რაც ჯგუფების ერთმანეთთან მსგავსებას უზრუნველყოფს.

ანგარიშის სტრუქტურა შემდეგია: მომდევნო ნაწილში მიმოხილულია არსებული პოლიტიკა და კვლევები. ამას მოსდევს კვლევის მეთოდოლოგიის აღწერა, შემდეგ კი კვლევის მიგნებები. ანგარიში სრულდება დასკვნებითა და რეკომენდაციებით. კვლევის რაოდენობრივი მონაცემები და კითხვარი ხელმისაწვდომია ვებგვერდზე [caucasusbarometer.org](http://caucasusbarometer.org).

<sup>7</sup> სოციალური ნორმირება არის პროცესი, რომელიც გამოკვეთს განსხვავებულ ადამიანის აქციებსა და რეალობას შორის - როგორ იქცევიან ადამიანები ინდივიდის აზრით და როგორ იქცევიან ისინი რეალურად. ეს ცნება მომდინარეობს ნაშრომიდან, რომელიც ეხებოდა ალკოჰოლის მოხმარების სახიფათო ჩვევების პრევენციას უნივერსიტეტის სტუდენტებში. სტუდენტებს მიეწოდათ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სტუდენტების უმეტესობის აზრით, რას სვამდნენ სხვა სტუდენტები და რას სვამდნენ ისინი რეალურად. ამ თემის შესახებ ვრცლად იხილეთ პერკინსი (2003)

# თავი 3. მიმოხილვა

საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ პოლიტიკა 2006 წლის შემდეგ განვითარდა, როდესაც ოჯახში ძალადობის რეგულირება კანონმდებლობაში აისახა. 2016 წელს ბავშვთა დაცვის მინისტრის განცხადებით (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების მე-5 მუხლით<sup>8</sup> განისაზღვრა სკოლების მიმართვიანობის ვალდებულება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში. 2017 წელს კი იგივე ვალდებულება ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ კანონის მე-91 მუხლით განისაზღვრა.<sup>9</sup> მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკა კანონმდებლობაში აისახა და მასწავლებლებს მიანოდეს ინფორმაცია ამ ახალი ვალდებულების შესახებ, შეტყობინებების შესახებ მონაცემები აჩვენებს, რომ სკოლების დიდ ნაწილს (იხ. მომდევნო თავი) არასოდეს მიუმაართავს შესაბამისი უწყებებისთვის ოჯახში ძალადობის თაობაზე. ეს მიუთითებს, რომ შეტყობინების ვალდებულებას უფრო ნაკლები მასწავლებელი ასრულებს, ვიდრე უნდა ასრულებდეს. ქცევითი ლიტერატურა ფართოდ განიხილავს შეტყობინების დაბალი მაჩვენებლის საკითხს, მათ შორის, 2018 წლის კვლევის ფარგლებში Facebook-ის ქართველი მომხმარებლების შესახებ (BIT 2018). კვლევის ამ ნაწილში მიმოხილულია ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული პოლიტიკა საქართველოში და გაანალიზებულია შეტყობინების გაზრდისკენ მიმართული ღონისძიებები. ასევე, ამ სექციაშია განხილული, თუ როგორ ჯდება საკვლევი კითხვები არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში.

## 3.1. ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა საქართველოში

ოჯახში ძალადობა საქართველოში სერიოზულ პრობლემად რჩება. გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ ევროკავშირის მხარდაჭერით 2017 წელს ჩატარებული ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მიხედვით,<sup>10</sup> 15-64 ასაკობრი-

ვი ჯგუფის ქალების 14%-ს ერთხელ მაინც განუცდია პარტნიორის მხრიდან ფიზიკური, სექსუალური ან ემოციური ძალადობა (გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2017). ამასთან, ძალადობის შემთხვევების უმეტესობა სისტემატური ძალადობის ნაწილი იყო და არა ერთჯერადი შემთხვევა.

საქართველოში ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის მიმართ დამოკიდებულებები კვლავ არასახარბიელოა. იმავე კვლევაში, ქალების დაახლოებით მეოთხედმა (22%) და კაცების მესამედმა (31%) განაცხადეს, რომ ცოლის ცემა გარკვეულ გარემოებებში გამართლებულია. ასევე, კაცების ნახევარმა (50%) და ქალების მესამედმა (33%) თქვა, რომ ოჯახში ძალადობა პირადი საკითხია და გარეშე პირები მასში არ უნდა ჩაერიონ. მართალია, ეროვნული კვლევები მიუთითებს, რომ ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მიმართ კულტურული მიმდებლობა კლებულობს, მაგრამ ბევრი ძალადობრივი ხასიათის ქცევა კვლავ ნორმად აღიქმება. განსაკუთრებით, ეს ეხება ქცევას, რომელიც უკავშირდება ქმრების „უფლებას“, აკონტროლონ ცოლების გადაწყვეტილებები (BIT 2018).

ეს დამოკიდებულებები მოქმედებს უფრო ფართო კონტექსტში, სადაც სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები გენდერული თანასწორობის გაძლიერებას ეწინააღმდეგება. მაგალითად, ქალების ორი მესამედი (66%) და კაცების სამი მეოთხედი (78%) მიიჩნევენ, რომ ქალის უპირველესი როლი ოჯახს უკავშირდება (გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2017). იმავე კვლევის მიხედვით, მოსახლეობის ნახევარი ამბობს, რომ თუ ქალი ფიზიკურ წინააღმდეგობას არ სწევს, „ამას გაუპატიურებას ვერ ვუნდებთ“.

ოჯახში ბავშვებზე ან მათი თანდასწრებით ძალადობა ასევე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემაა. იმ ქალების თითქმის ორმა მესამედმა, რომლებიც, მათი თქმით, პარტნიორის მხრიდან ძალადობას განიცდიდნენ, განაცხადეს, რომ ძალადობის რამდენიმე შემთხვევას მათი შვილებიც ესწრებოდნენ. გარდა ამისა, გამოკითხული ქალების 14%-ს თავადაც გამოუცდია ძალადობა ბავშვობაში რაიმე ფორმით (გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2018). ძალადობრივ ოჯახში გაზრდა ბავშვებზე მნიშვნელოვან კვალს ტოვებს: ძალადობის მსხვერპლი ქალების შვილები უფრო

<sup>8</sup> იხილეთ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3394478?publication=0>

<sup>9</sup> იხილეთ: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/26422?publication=14>

<sup>10</sup> კვლევა ევროკავშირმა დააფინანსა. იხილეთ აქ: <http://georgia.unwomen.org/en/digital-library/publications/2018/03/the-national-study-on-violence-against-women-in-georgia>

მაღალი ალბათობით იღებდნენ არადამაკმაყოფილებელ შეფასებას, თავს ანებებდნენ სკოლას ან განიცდიდნენ ემოციურ და ქცევასთან დაკავშირებულ პრობლემებს. თვისებრივ ინტერვიუებში მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ ასეთი ბავშვები უფრო მაღალი ალბათობით აცდენდნენ სკოლას ძალადობის შემთხვევების გამო და განიცდიდნენ სწავლასთან და მესხიერებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. (გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2017).

მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობა მეტ-ნაკლებად გავრცელებულია, ძალადობის შემთხვევების შეტყობინება და დახმარების ძიება ხშირად არ ხდება. გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქსტატის 2017 წლის კვლევაში, იმ ქალების 74%-ს, რომლებსაც პარტნიორის მხრიდან ძალადობა გამოუცდია, არასოდეს მიუმართავს დახმარებისათვის რომელიმე ორგანიზაციისათვის ან მხარდაჭერის მომსახურებისთვის. ეს ხდება მიუხედავად იმისა, რომ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ ცნობიერება 2009 და 2017 წლებს შორის გაიზარდა (გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2018); ქალების ორმა მესამედმა (67%) და კაცების სამმა მეოთხედმა (74%) იცის ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ. 2010 წელს ჩატარებულ კვლევაში ძალადობის მსხვერპლი ქალების 28%-მა განაცხადა, რომ მათ ქმრის საქციელის შესახებ არავისთან უსაუბრიათ, მათ შორის, არც ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან. 38%-მა კი თქვა, რომ მათ არ მიუღიათ რაიმე სახის დახმარება ძალადობის შესახებ (ჩიტაშვილი და სხვ. 2010). მათი უმეტესობა, ვინც საკუთარ გამოცდილებაზე ისაუბრა, მხოლოდ ოჯახის წევრებსა და მეგობრებს ესაუბრა. იშვიათად ხდებოდა ნებისმიერი სახის ინსტიტუტისთვის მიმართვა.

კითხვაზე, თუ რატომ არ ითხოვეს დახმარება, ქალები ყველაზე ხშირად პასუხობდნენ, რომ მიზეზი სტიგმასა და სირცხვილის შიში (25%) იყო; ამას მოსდევდა შედეგებისა და შემდგომი ძალადობის შიში (17%) (გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატის, 2018). ამასთან, 2010 წლის კვლევაში ქალების უმეტესობა ამბობდა, რომ მათ „უხერხულვითად/რცხვენოდ/არ დაუჭერებდნენ“, „დაადანაშაულებდნენ“, ან „ეს ოჯახს სახელს გაუფუჭებდა“ (ჩიტაშვილი და სხვები). გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქსტატის კვლევაში აჩვენა, რომ მიუხედავად ძლიერი ფსიქოლოგიური და კულტურული ბარიერებისა, რომლებიც ხელს უშ-

ლის დახმარების ძიებას, ქალების მცირე ნაწილმა მაინც ითხოვა დახმარება. თუმცა, ეს ძირითადად ისეთ შემთხვევებში ხდებოდა, როდესაც ძალადობა აუტანელი ხდებოდა (გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქსტატი, 2018).

### 3.2. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის რეფორმების მიქანნიზმები

საქართველომ ოჯახში ძალადობის შემთხვევების რეფორმების პირველი ეროვნული მექანიზმი 2009 წელს შექმნა. თუმცა, ზოგიერთი კვლევა მიუთითებს, რომ შესაბამისი სუბიექტების როლი და მექანიზმის მოთხოვნები რეფორმებისთვის ბუნდოვნადაა განსაზღვრული (მსოფლიო ბანკი, 2017). რეფორმების ეროვნული მექანიზმის ახალი სამუშაო ვერსია უფრო ზუსტად განსაზღვრავს ეროვნული სუბიექტების ვინაობასა და ფუნქციებს როგორც მთავრობაში, ისე მის მიღმა. სხვა პროფესიის წარმომადგენლებთან ერთად, შეტყობინების ვალდებულება მასწავლებლებსა და სკოლის მანდატურებსაც ეკისრებათ. ზოგიერთ პროფესიასთან (მაგ: ადვოკატი, ექიმი) დაკავშირებული კონფიდენციალობის ვალდებულება არ მოქმედებს, როდესაც საქმე შესაბამისი უწყებებისთვის ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას ეხება, თუ სახეზეა ძალადობის განმეორების საფრთხე.

ოჯახში ძალადობა, იმის მიუხედავად, პირდაპირ ხორციელდება იგი ბავშვის მიმართ თუ არა, მოსწავლეების ქცევაში მრავალგვარად გამოიხატება. აქედან გამომდინარე, სკოლის თანამშრომლებს ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირების და პრევენციის კარგი შესაძლებლობა აქვთ. ბავშვთა დაცვის რეფორმების მოქმედი მექანიზმი სკოლის თანამშრომლებს (როგორც საჯარო, ასევე კერძო სკოლებში) პასუხისმგებლობას აკისრებს, გამოავლინონ ბავშვების მიმართ ძალადობა და მიიღონ შესაბამისი საპასუხო ზომები.

2010 წელს სამმა სამინისტრომ (ჯანდაცვის, განათლებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა) ხელი მოაწერა ბრძანებას ოჯახში და მის გარეთ ბავშვთა ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან დაცვის შესახებ რეფორმების კოორდინირებული სისტემის შემოღების გზით. ბავშვთა დაცვის რეფორმების პროცედურები 2016 წელს განახლდა. პროცედურების მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს სამინისტროებთან და სხვა სახელმწიფო უწყებებთან ერთად, დაეკისრათ

პასუხისმგებლობა ბავშვთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ რეფერირების პროცედურებზე. ყველა ინსტიტუტი და პროფესიონალი, რომლებსაც შეეხება აქვთ ბავშვებთან/ან მათ ოჯახებთან (მათ შორის, სკოლები) ვალდებულია, მიმართოს სოციალური მომსახურების სააგენტოს ან/და პოლიციას ოჯახში ძალადობის ან ბავშვების მიმართ ძალადობაზე დაეჭვების შემთხვევაში. მიმართვიანობის პროცედურების თანახმად, რეფერირების პროცედურებში ჩართული ყველა ინსტიტუტი ვალდებულია, შეიმუშაოს ძალადობის შემთხვევების მართვის შიდა პროცედურები. თუმცა, როგორც ჩანს, მსგავსი შიდა პროცედურები რეფერირების პროცედურებში ჩამოთვლილი უწყებების უმეტესობას არ აქვს (ინტერვიუები ექსპერტებთან).

სკოლების ადმინისტრაციები პასუხისმგებლები არიან ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევების იდენტიფიკაციაზე, ანალიზსა და შემდგომ რეფერირებაზე მომსახურების სააგენტოსთან ან პოლიციასთან (დამოკიდებულია შემთხვევის ხასიათზე). ამასთან, მათ შეუძლიათ დაუკავშირდნენ მომსახურების სააგენტოსა და სახალხო დამცველის ცხელ ხაზს. მანდატურები, რომლებიც ზოგიერთ სკოლაში მუშაობენ,<sup>11</sup> ასევე პასუხისმგებლები არიან ბავშვების ქცევის მეთვალყურეობაზე მოსწავლეებს შორის ძალადობის პრევენციისა და სკოლაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით. თუმცა, მათი მანდატი სკოლის მიღმა ოჯახებთან მუშაობას არ ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ რეფერირების პროცედურები პროცესში ჩართული ყველა უწყების პასუხისმგებლობას დეტალურად აღწერს, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ბოლოდროინდელი კვლევა აჩვენებს, რომ სკოლის თანამშრომლები (მასწავლებლები და მანდატურები) სრულად არ არიან ინფორმირებულნი საკუთარი პასუხისმგებლობების შესახებ - სკოლის თანამშრომლების 46%-მა განაცხადა, რომ ძალადობა უნდა იყოს მძიმე და სისტემატური, რომ მასზე რეაგირება მოხდეს (UNICEF 2013). გარდა ამისა, მტკიცედაა გავრცელებული რწმენა, რომ ოჯახის საქმეები ოჯახშივე უნდა გადაწყდეს და მასში გარეშე პირები არ უნდა ჩაერიონ. ეს მიუთითებს, რომ სკოლის თანამშრომლებს სრულად არ ესმით რეფერირების პროცედურებით დაკისრებული პასუხისმგებლობები (UNICEF 2013).

<sup>11</sup> იმ სკოლებში, სადაც მანდატურები არ არიან, სკოლის მიერ დანიშნული პირი (მასწავლებელი ან სკოლის ადმინისტრატორი) ახორციელებს ამ ფუნქციას.

### 3.3. ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების ნახალისების გზები ქცევით მიღგომეზბე დაყრდნობით

ქცევითი მეცნიერება აანალიზებს შეტყობინების ხელისშემშლელ ბარიერებს. ამ ანალიზის გამოყენება შესაძლებელია არსებული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით. ალმეიდას და სხვათა (2016) მიხედვით, იმისთვის, რომ ზემოქმედების შედეგად ადამიანს რაიმე ქცევისკენ ვუბიძგოთ, მნიშვნელოვანია სამი პირობა: (1) დამოკიდებულება: უნდა არსებობდეს დადებითი მოსაზრება მოცემული ქცევის შესახებ, (2) ნორმები: უნდა არსებობდეს რწმენა, რომ მოცემული ქცევა საზოგადოებაში მიღებულია, და (3) თვითეფექტურობა: ადამიანს უნდა სჯეროდეს, რომ მას შეუძლია მოცემული ქცევის განხორციელება (ალმეიდა და სხვ. 2016). ალმეიდა ასევე ფიქრობს, რომ კულტურას, საზოგადოების დამოკიდებულებებსა და მედიას ყველა ამ ფაქტორზე შეუძლია გავლენის მოხდენა და, რომ: (4) ფაქტორები, რომლებიც ქცევას არ უკავშირდება, როგორებიცაა ადამიანის უნარები, ცოდნა და გარემო პირობები, ასევე გავლენას ახდენენ იმაზე, მოყვება თუ არა განზრახვას ქცევა.

ალმეიდა და სხვ. (2016) გამოყოფენ ძირითად ფაქტორებს, რომლებმაც შეიძლება, ხელი შეუშალოს შემსწრის გადანყვებილებას, იმოქმედოს - ჩაერიოს ოჯახში ძალადობის სავარაუდო შემთხვევაში ან მიმართოს შესაბამის ორგანოებს. შემსწრეს შესაძლოა: (1) ჰქონდეს უარყოფითი დამოკიდებულება შეტყობინების მიმართ, რადგან ქალთა მიმართ ძალადობა კულტურულად მიღებულია, ან სწამს, რომ ეს პირადი საქმეა და მასში გარეშე პირი არ უნდა ჩაერიოს; (2) ფიქრობდეს, რომ სხვები გაკიცხავენ სხვის პირად ცხოვრებაში ჩარევის გამო, ან რომ ჩარევა სხვისი პასუხისმგებლობაა; (3) გრძობდეს საფრთხეს ან დისკომფორტს შეტყობინებასთან დაკავშირებული აურზაურის გამო; და ბოლოს, (4) არ ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია, თუ რა შემთხვევაშია საჭირო შეტყობინება და რა მექანიზმები არსებობს მოქმედებისთვის, ან არ ჰქონდეს უნარები შემთხვევის სათანადოდ შესაფასებლად (ალმეიდა და სხვ. 2016).

გარდა ამისა, ადამიანს მოქმედებაში ხელს უშლის სხვა ქცევითი მიკროძოებები, როგორებიცაა სტატუს-კვოს შენარჩუნების სურვილი, ინერცია და მოქმედების გადავადება. კვლევის ავტორები ასევე მიუთითებენ დანაკარგის შიშზე - ამ შემთხვევაში უარყოფითი შედეგების შიში უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორია გადანყვებილების მიღებისას, ვიდრე

დაპირებული ჯილდო. ეს უკანასკნელი შესაძლოა, იყოს სასარგებლო კონცეფცია ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე შეტყობინებების ზრდის ნასახალისებლად. მაგალითად, ნახალისება შესაძლოა, წარმატებული იყოს იმ შედეგებზე ფოკუსირებით, რაც დადგება ბავშვისთვის და საზოგადოებისთვის უმოქმედობის შემთხვევაში (ალმეიდა და სხვ. 2016).

ალმეიდას და სხვ. (2016) მიერ შემოთავაზებულ ჩარჩოს განსხვავებულ კონტექსტში მოპოვებული მტკიცებულებებიც შეესაბამება. ისინი მიუთითებს, რომ ოჯახში ძალადობის შეტყობინებასთან დაკავშირებით სოციალური ნორმებით დაწესებული ჩარჩოები, როგორცაა შიში, რომ აღგიქვამენ ჭორიკანად, ასევე შესაძლოა მნიშვნელოვან შემადგენლებელ ფაქტორად იქცეს (გრინი, ვილკე და კუპერი, 2018). საქართველოში არსებული მჭიდრო სოციალური კავშირების გათვალისწინებით, დიდი ალბათობით, სოციალური მიუღებლობის შიში მსგავსი მექანიზმის სახით მოქმედებს და ხელს უშლის მასწავლებლებს, ოჯახში ძალადობის შემთხვევაში შესაბამის ორგანოებს მიმართონ. მართლაც, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა მხარდაჭერის გზებზე Facebook-ზე გავრცელებული სხვადასხვა გზავნილების მატარებელი რეკლამების ქცევითი ანალიზი აჩვენებს, რომ რეკლამის ყველაზე ეფექტური ვერსია სოციალურ ნორმებს იყენებდა (მიუთითებდა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობა ძალადობას ოჯახის საქმედ არ მიიჩნევს) და ასევე ძალადობის მსხვერპლთა ემოციური მხარდაჭერის გზებს წარმოადგენდა (BIT 2018). ეს მიუთითებს, რომ სოციალურ ნორმების ხაზგასმამ შესაძლოა, მნიშვნელოვანი როლი ითამაშოს შეტყობინებების რაოდენობის გაზრდაში.

შემსწრეებს, როგორც ოჯახში ძალადობის პრევენციის ძირითად სუბიექტებს, უფრო და უფრო მეტი ყურადღება ეთმობათ პოლიტიკის შემუშავებულთა და აკადემიურ სექტორში მომუშავეთა შორის. მაგალითად, ბანიარდმა, მოინიჰანმა და პლანტემ (2007) აშშ-ის ერთ-ერთი უნივერსიტეტის სექსუალური ძალადობის პრევენციის პროგრამა შეაფასეს და აღმოაჩინეს გაუმჯობესება სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებული ცოდნისა და დამოკიდებულების კუთხით. შემსწრეებზე ორიენტირებულ ზემოქმედებაზე მუშაობისას ფუნდამენტური პრობლემა შემსწრის ეფექტია. შემსწრის ეფექტი ნიშნავს, რომ რაც უფრო მეტი შემსწრეა სახეზე, მით უფრო ნაკლებია ალბათობა, რომ რომელიმე მათგანი რაიმეს მოიმოქმედებს. ამის მიზეზი „პა-

სუხისმგებლობის დიფუზია“ (დარლეი და ლატანე 1968). თუმცა, ფიშერი და სხვ. (2011) ფიქრობენ, რომ შემსწრის ეფექტის შესუსტება შესაძლებელია რიგი ინტერვენციებით. მაგალითად, ეფექტი მცირდება, თუ სიტუაცია შეფასებულია, როგორც საფრთხის შემცველი. ის ასევე მცირდება, თუ მოძალადე სახეზეა და სიტუაციაში ჩარევის საფასური ფიზიკურია. 2018 წლის კვლევა (გრინი, ვილკე და კუპერი, 2018) აჩვენებს, რომ შემსწრის ეფექტი შეიძლება შემცირდეს სოციალური მოლოდინების ცვლილების შედეგად. ზემოთ განხილულ თემებზე უამრავი კვლევაა ჩატარებული, მათ შორის, შემუშავებულია შემსწრეების მხრიდან შეტყობინების გაზრდაზე ფოკუსირებული ქცევითი მექანიზმები; თუმცა, მთავარი დასკვნა ისაა, რომ ამ ღონისძიებების უმეტესობა წარუმატებელია, ხოლო კაცებზე მიმართული ინტერვენციები - განსაკუთრებით რთული შესასრულებელი (ფირი და კერ-ვილსონი 2015).

განსხვავებულ კონტექსტში, სხვა სახის შეტყობინებასთან დაკავშირებულ ქცევებზე შეგროვებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ დანაშაულის სიმძიმე შეტყობინების გადანყვებილების მიღების პროცესში წამყვანი ფაქტორია, თუმცა, მამოტივირებელი ფაქტორების მნიშვნელობა კონტექსტის მიხედვით განსხვავდება. ბაკლეი და სხვ. (2016) შეისწავლიან პოლიციისთვის დანაშაულის შეტყობინების განმსაზღვრელ ფაქტორებს რუსეთში და მიიჩნევენ, რომ წამყვანი ფაქტორი დანაშაულის სიმძიმეა. თუმცა, რუსეთის კონტექსტში მოქალაქეობრივ ვალზე აპელირება მეტწილად არ უკავშირდებოდა დანაშაულის შეტყობინების ზრდის ტენდენციას. ამის საპირისპიროდ, ფელდმანი და ლობელი (2010) ასკვნიან, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დანაშაულებრივი ქცევის შეტყობინების ნახალისებაზე მიმართული პოლიტიკის ნებისმიერი ინიციატივა შემტყობინებლის მოვალეობის გრძობაზე უნდა აპელირებდეს. რუსეთსა და საქართველოში ჩატარებულ მასობრივი გამოკითხვის ექსპერიმენტში მაკკარტიმ და სხვ. (2015) დაადგინეს, რომ შეტყობინებაზე გავლენას ახდენს დანაშაულის სახე და არა სახელმწიფო ინსტრუმენტები შეტყობინების ნასახალისებლად. თუმცა, მკვლევრები აღნიშნავენ, რომ შემსწრეებისთვის ანონიმურობის გარანტიის მიცემა მჭიდრო კავშირშია მიმართვიანობის ალბათობის ზრდასთან (მაკკარტი და სხვ. 2015). ამას შეიძლება, გავლენა ჰქონდეს სენსიტიური საკითხების შეტყობინებაზე, როგორცაა სავარაუდო ძალადობა ოჯახში, რა შემთხვევაშიც შემსწრეს გაკიცხვის ეშინია.

იმის გათვალისწინებით, რომ მასწავლებლები და სკოლები მჭიდრო კავშირში არიან თემთან და იცნობენ ბავშვების ოჯახურ მდგომარეობას, ისინი ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირებისა და შესაბამისი უწყებების ინფორმირების პროცესში წამყვანი ინსტიტუტებია. კონკრეტულად მასწავლებლების გადანყვეტილებას რომ მივუბრუნდეთ, შესაბამის ორგანოებს ოჯახში ძალადობის სავარაუდო შემთხვევების შესახებ შეატყობინონ, განსხვავებულ კონტექსტში ჩატარებული რამდენიმე თვისებრივი კვლევებიდან შეგვიძლია, გარკვეული დასკვნები გამოვიტანოთ. შეერთებულ შტატებში, აბრაჰამსმა და სხვ. (1992) აღმოაჩინეს, რომ მართალია, იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვებთან მჭიდრო კონტაქტი აქვთ, მასწავლებლებმა თითქოს უნდა შეძლონ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიცირება და ამის შესახებ ბავშვთა დაცვის ორგანოებს შეატყობინონ, მასწავლებელთა უმეტესობას არ აქვს საკმარისი ცოდნა შესაძლო ძალადობის ნიშნების შესახებ და ისინი არ არიან დარწმუნებული, რომ ამ ნიშნების ამოცნობას შეძლებენ. ასე რომ, ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინების ძირითადი ბარიერი იყო არასაკმარისი ცოდნა ძალადობის ნიშნებისა და შეტყობინების გზების შესახებ (აბრაჰამსი და სხვ. 1992). კენი (2001) მსგავს მიგნებებს გვიზიარებს ისევ შეერთებული შტატების მაგალითზე: როდესაც მასწავლებლებს სთხოვეს, შეეფასებინათ ეპიზოდები, რომელთა შეტყობინებაც სამართლებრივად უნდა მოხდეს, ბევრმა მასწავლებელმა ეს დავალება სათანადოდ ვერ შეასრულა. იმ მასწავლებლებმა, რომლებმაც განაცხადეს, რომ ეჭვი ჰქონდათ ძალადობაზე, თუმცა, არავისთვის მიუმართავთ, ამის ერთ-ერთ ძირითად მიზეზად ცრუ შეტყობინების შიში დაასახელეს. ეს მასწავლებლები ფიქრობდნენ, რომ არ ჰქონდათ გავლილი ადეკვატური ტრენინგი ძალადობაზე მიმართვიანობის შესახებ. კვლევის ავტორებმა დაასკვნეს, რომ საჭიროა მეტი ტრენინგი მასწავლებლებისთვის შეტყობინების ხელშემშლელი ფაქტორებისა და ძალადობის ნიშნების ამოცნობის შესახებ (კენი 2001). იგივე მიგნებები გამყარდა კენის სხვა კვლევაშიც (2004): მასწავლებლების თითქმის ორმა მესამედმა განაცხადა, რომ მუშაობის დაწყებამდე მათ არ ჰქონდათ გავლილი ტრენინგი ბავშვების მიმართ ძალადობის საკითხებზე, ასევე, ცოტა მასწავლებელი იცნობდა სკოლის პოლიტიკას ძალადობის შესახებ. ის მასწავლებლებიც კი, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ ტრენინგი, დარწმუნებულები არ იყვნენ, რომ შეძლებდნენ ძალადობის ამოცნობას და შესაბამისი ორგანოების

ინფორმირებას, რადგანაც ძალადობის ნიშნებთან და სიმპტომებთან სათანადო შეხება არ ჰქონდათ. ზელმანმა (1992) აღნიშნა, რომ ძალადობის ისტორია, ასევე უფრო სასტიკი ძალადობა, ზრდის საეჭვო შემთხვევების შეტყობინების ალბათობას შესაბამისი ვალდებულების მქონე პროფესიონალების მხრიდან. სავარაუდოდ, ეს ფაქტორები ამ პროფესიონალების შეფასებას მეტ თავდაჭერებას სძენდა.

შვედეთში მარკსტრომმა და მიუნგერმა (2017) გამოკითხეს მასწავლებლები მათი გადანყვეტილების შესახებ, მიემართათ თუ არა შესაბამისი ორგანოებისთვის, როდესაც ეჭვობდნენ, რომ ბავშვი ძალადობის შემსწრეა, ანუ ძალადობა ბავშვის თანდასწრებით ხორციელდება და არა მის მიმართ. მკვლევრებმა აღმოაჩინეს, რომ ამ ტიპის პრობლემასთან მიმართებით, მასწავლებლებს აკლიათ ცოდნა და გამოცდილება და აღნიშნეს, რომ მსგავსი შემთხვევების გამოვლენა განსაკუთრებულ სირთულეებს უკავშირდება. არაერთი სხვა კვლევა (ფერგიუსონი და მალოფი 2016; ვითკროფტი და უოლქლეტი 2014; ტურკპეიმერი 2017) აღნიშნავს, რომ შეტყობინების ბარიერებს წარმოადგენს ფართოდ გავრცელებული რწმენა, რომ ხშირია ძალადობის ცრუ ბრალდებები და არასწორი შეტყობინების შიში.

თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ სოციალური საკითხების გარდა, შეტყობინების დაბალ ხარისხს განაპირობებს შეტყობინების მექანიზმების არცოდნა, არასაკმარისი მხარდაჭერა ინსტიტუტების მხრიდან და მათდამი დაბალი ნდობა. აბრაჰამსი და სხვ. (1992) ასკვნიან, რომ შეტყობინების შემაფერხებელ სხვა ძირითად ფაქტორებს შორისაა: ცრუ ბრალდებით გამოწვეული სამართლებრივი დევნის შიში, შეტყობინებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შიში, როგორც ბავშვებისთვის, ასევე მშობლისა და მასწავლებლის ურთიერთობის ჭრილში. ამასთან, კენიმ (2004) დაადგინა, რომ მასწავლებლების უმეტესობას არ ჰქონდა მოლოდინი, რომ ძალადობის შეტყობინების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია მხარს დაუჭერდა. მარკსტრომმა და მიუნგერმა (2017) ასევე დაასკვნეს, რომ შვედი მასწავლებლები თავს იკავებენ ბავშვთა დაცვის სამსახურებისთვის მიმართვისგან, რადგან არ არიან დარწმუნებული, რომ ამ ინსტიტუტს ბავშვისა და ოჯახის მხარდაჭერა შეუძლია.

მცირე მასშტაბის თვისებრივი კვლევის ფარგლებში, რომელიც ეხებოდა ექიმებს შეერთებულ შტა-

ტეში, ჯონსმა და სხვ. (2008) აღმოაჩინეს, რომ ექიმები ძალადობის სავარაუდო შემთხვევების შეტყობინებისგან თავს იკავებენ, როგორც წესი, იმის გამო, რომ ბავშვის ოჯახს იცნობენ. მიზეზად ასევე დასახელდა შიში, რომ შეტყობინება უარყოფით შედეგებს მოუტანს ბავშვსა და ოჯახსაც. ზელმანმა (1990) დაასკვნა, რომ იმ პროფესიების წარმომადგენლები, რომლებსაც შეტყობინების ვალდებულება აქვთ, ყველაზე ხშირად თავს იკავებენ იმის გამო, რომ, მათი აღქმით, სახეზე არ არის საკმარისი მტკიცებულება. მეორე ყველაზე გავრცელებული მიზეზი კი არის რწმენა, რომ შეტყობინება სარგებლის მომტანი არ იქნება. ეს წარსულში ბავშვთა დაცვის სამსახურის მხრიდან არაეფექტურ რეაგირებაზე მიუთითებს. ამ მხრივ, არასაკმარისი ცოდნა შესაბამისი მომსახურებისა და შეტყობინების მექანიზმების შესახებ შემსწრეებს მოქმედებაში ხელს უშლის. 2018 წლის ქცევითი ანალიზის კვლევის დასკვნის მიხედვით, მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორის მხრიდან ძალადობის მსხვერპლი ადამიანებისთვის საქართველოში გარკვეული მომსახურებები არსებობს, შემსწრეებმა ზუსტად არ იცოდნენ, რა მომსახურებებია ეს და ვისთვის (BIT 2018). ეს ვითარება გვხვდება იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურებების შესახებ ინფორმირებულობა მატულობს (გაეროს ქალთა ორგანიზაცია,

საქსტატი 2018). ერთობლიობაში, ეს ფაქტები მიუთითებს, რომ მართალია, საქართველოში აქვთ ზოგადი ცოდნა იმის შესახებ, თუ რა მომსახურებებია ხელმისაწვდომი ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის, მოსახლეობას არ აქვს დეტალური ინფორმაცია ამ მომსახურებების შესახებ.

მთლიანობაში, კვლევები მიუთითებს, რომ მაშინაც კი, როდესაც მასწავლებლებს სურთ, შესაბამის ორგანიზაციებს მიმართონ და სამართლებრივად ვალდებულებიც არიან, რომ ასე მოიქცნენ, რიგი ფაქტორები ხელს უშლის მათ მოქმედებაში. ეს ფაქტორებია: ძალადობის ნიშნების ცოდნა, საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, რომ შეძლებენ ამ ნიშნების ამოცნობას, შეტყობინების შესაბამისი მექანიზმების ცოდნა. მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევები განსხვავებულ კონტექსტშია ჩატარებული, ოჯახში ძალადობისა და შესაბამისი პოლიტიკის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე საქართველოში მიუთითებს, რომ ეს საკითხები აქაც რელევანტურია. კვლევები აჩვენებს, რომ ძალადობის ნიშნებისა და შეტყობინების მექანიზმების შესახებ ცოდნის გაუმჯობესების გარდა, საჭიროა ძლიერი ინსტიტუციური მხარდაჭერა სკოლებისგან და ნდობა იმ ორგანიზაციების შესაძლებლობების მიმართ, რომლებსაც შემტყობინებელმა უნდა მიმართოს.

# თავი 4. მეთოდოლოგია

კვლევაში გამოყენებულია მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის შერეული მეთოდები. იგი მოიცავს: მასწავლებლების რაოდენობრივ გამოკითხვას, ფოკუს ჯგუფებს მასწავლებლებთან და მანდატურებთან და ინტერვიუს დაინტერესებულ მხარეებთან. რაოდენობრივი გამოკითხვის კომპონენტის ფარგლებში ორგანიზაციამ ჩაატარა მასობრივი გამოკითხვის ექსპერიმენტი. ექსპერიმენტის მიზანი იყო, დაედგინა, შესაძლებელია თუ არა სხვადასხვა ქცევითი ბერკეტის გამოყენება მასწავლებლების მხრიდან მიმართვიანობის გასაზრდელად. ამ ნაწილში აღწერილია კვლევაში გამოყენებული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდები.

## 4.1. მონაცემების შეგროვება გამოკითხვის ფარგლებში

რაოდენობრივი მონაცემების შეგროვების პროცესი გამოკითხვისთვის კითხვარის შემუშავებით დაუწყო. კითხვარი შევადგინეთ ლიტერატურის მიმოხილვის შემდგომ, განსაკუთრებით კი გავითვალისწინეთ ალმეიდას და სხვ. მიერ 2016 წელს აღწერილი სამნაწილიანი ქცევითი მოდელი. კითხვარი მოიცავს კითხვებს შემდეგი საკითხების შესახებ:

- სკოლის გარემო (27 ერთეული, ვესელისა და სხვ., (1998), მიხედვით)
- თვითფექტურობა ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან მიმართებით (11 ერთეული, ბანიარდისა და სხვ. (2005) მიხედვით)
- თავის შეკავება ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისგან (7 ერთეული)
- სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები ბავშვების აღზრდის შესახებ (12 ერთეული, გაეროს ბავშვთა ფონდის 2013 წლის კვლევის მიხედვით);
- სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ (15 ერთეული გაეროს ქალთა ორგანიზაციისა და საქსტატის (2018) მიხედვით)
- ცოდნა და გამოცდილება ძალადობის შემთხვევების შეტყობინების შესახებ (16 ერთეული გაეროს ბავშვთა ორგანიზაციის 2013 წლის კვლევის მიხედვით)
- დამოკიდებულებები ბავშვების დასჯის შესახებ (11 ერთეული სტრაუსისა და სხვ. (1998) მიხედვით)

- ძალადობის მოცდილება (3 ერთეული)
- სკალა ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების შესახებ (15 ერთეული, ვოლში და სხვ. (2010) მიხედვით);
- კითხვები სოციალური სტატუსის, პროფესიის, ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის შესახებ.

იმისათვის, რომ მასწავლებლების წარმომადგენლობითი შერჩევა მიგვეღო, გამოკითხვისას გამოვიყენეთ კლასტერული სტრატეგიკაციის მეთოდი. შერჩევის ჩარჩოდ გამოყენებულ იქნა ქვეყანაში მოქმედი საჯარო სკოლების სია, რომელიც ხელმისაწვდომია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; კლასტერებს სკოლები წარმოადგენდა. შერჩევის სტრატეგიცირება მოხდა რეგიონისა და დასახლების ტიპის მიხედვით. შერჩეულ სკოლებში 1 494 მასწავლებელი გამოკითხეთ. გამოპასუხების მაჩვენებელმა 72% შეადგინა. გამოკითხვა ჩატარდა ქართულ, სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე.

გამოკითხვის ფარგლებში შეგროვდა ორი ტიპის - დაკვირვებისა და ექსპერიმენტული მონაცემები. დაკვირვების მონაცემებია სტანდარტული მონაცემები, რომლებიც გამოკითხვისას გროვდება. მაგალითისთვის, ეს მონაცემი გვაძლევს ინფორმაციას, თუ გამოკითხულთა რა ნაწილს აქვს გარკვეული დამოკიდებულება საკითხის მიმართ, ან რა ნაწილი ამბობს, რომ ჰქონია ესა თუ ის გამოცდილება. მე-მთ აღწერილი კითხვების ყველა ჯგუფი დაკვირვების ტიპისაა (ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების შესახებ სკალის გარდა).

ამის საპირისპიროდ, ექსპერიმენტული მონაცემები გამოიყენება იმის დასადგენად, იცვლება თუ არა ინდივიდის ქცევა გარკვეული სტიმულის მიზნადების შედეგად. ეს მონაცემები გროვდება კვლევის მონაწილეების შემთხვევითად გადანაწილების შედეგად საკონტროლო და ექსპერიმენტულ ჯგუფებში. საკონტროლო ჯგუფზე არ ხდება არანაირი ზემოქმედება, ან მიეწოდება პლაცებო, ხოლო ექსპერიმენტულ ჯგუფებზე მონდება ზემოქმედების სხვადასხვა ალტერნატივა. ზემოქმედების შემდეგ ექსპერიმენტული ჯგუფები დარდება საკონტროლო ჯგუფთან. ჯგუფებს შორის აღმოჩენილი ნებისმიერი განსხვავებები შესაძლოა მიეწეროს ჯგუფზე განხორციელებულ ზემოქმედებას.







მასობრივი გამოკითხვის ექსპერიმენტის მეშვეობით შემოწმდა სამი სხვადასხვა ზემოქმედება, რათა გაგვევო შევცვლიდა თუ არა ეს ზემოქმედება მასწავლებლების ქცევას ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან დაკავშირებით. პირველი ზემოქმედება ეყრდნობოდა სოციალური ნორმების ცნებას. სოციალური ნორმირება გვაძლევს ინფორმაციას სოციალური ნორმის შესახებ: თუ რას ფიქრობს ან როგორაა განწყობილი ადამიანების უმრავლესობა. კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანები საზოგადოებაში დამკვიდრებულ სოციალურ ნორმებს ემორჩილებიან. თუ ადამიანი აწყდება ისეთ ნორმას, რომლის შესახებაც არ იცოდა, ხშირად ის ცვლის თავის ქცევას (იხ. BIT 2012) არსებული სოციალური ნორმის შესაბამისად. მაგალითად, გადახდილი გადასახადების ოდენობა

მატულობს, როდესაც ადამიანებს მიეწოდებათ ინფორმაცია, რომ გადასახადების გადამხდელების უმეტესობა მათ დროულად იხდის (ჰალსვორთი და სხვ. 2017).

კვლევაში გამოყენებული მეორე ზემოქმედება ეხებოდა მასწავლებლების მხრიდან შეტყობინების სამართლებრივ ვალდებულებას. ეს ზემოქმედება განხორციელდა იმის დაშვებით, რომ მასწავლებლებს, შესაძლოა არ ჰქონოდათ ინფორმაცია ამ ვალდებულების შესახებ. შესაძლოა ზემოქმედება წინაორი ზემოქმედების კომბინაციას წარმოადგენდა. ქვემოთ მოყვანილია გამოყენებული ზემოქმედებები.

ზემოთ მოყვანილი ფაქტორამების ნახვის შემდეგ მასწავლებლები პასუხობდნენ კითხვებს შემდეგი საკითხების შესახებ:



- ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების მზაობა (15 ერთეული);
- ოჯახში ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ნიშნების შესახებ ტრენინგის გავლით დაინტერესება (1 ერთეული)
- მასწავლებლებს სთხოვეს პირადი ინფორმაციის მონოდება, რათა შესაძლებელი ყოფილიყო დაკავშირება ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე ტრენინგის შესახებ (სახელი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი).

- მათ ჰკითხეს, ჰქონდათ თუ არა სურვილი, მოენერათ ხელი პირობაზე, რომ იბრძოლებდნენ ოჯახში ძალადობის დასამარცხებლად (კი ან არა)
- ასევე სთხოვეს ხელი მოენერათ სახელისა და გვარის სრულად დაფიქსირებით. (სახელი და გვარი).

## 4.2. რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

მონაცემების ანალიზის განხორციელებამდე, ორგანიზაციამ შეადგინა ანალიზის წინასწარი გეგმა საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით. მონაცემთა ანალიზი გამოკითხვის შემდეგ განხორციელდა. მონაცემთა ანალიზისას გამოვიყენეთ აღწერითი და დასკვნითი სტატისტიკა. აღწერითი სტატისტიკა (სიხშირები და კროსტაბულაციები) გამოიყენება სხვადასხვა ჯგუფის პასუხების აღსაწერად. დასკვნითი სტატისტიკა გამოიყენება სამი მიზნისთვის: პირველი, იმის შესამოწმებლად, მიენერება თუ არა ჯგუფებს შორის განსხვავებები შერჩევის შეცდომას; მეორე, სხვადასხვა ჯგუფის შესახებ არსებული შეფასებების კორექტირებისთვის, განსხვავებული მახასიათებლების გათვალისწინებით (ანუ, რესპონდენტების სხვა მახასიათებლების კონტროლის გზით); მესამე, იმის დასადგენად, იმუშავა თუ არა ზემოთ აღწერილმა ზემოქმედებებმა მასწავლებელთა სპეციფიკურ ჯგუფებზე.

ქვემოთ აღწერილ მონაცემთა ანალიზში გამოყენებულია რეგრესიები. გამოყენებული რეგრესია შეესაბამება შედეგობრივი ცვლადის ტიპს (მაგ: ბინარულ ცვლადებზე გამოყენებულია ლოგისტიკური რეგრესია). რეგრესიები ითვალისწინებს კვლევის დიზაინს, მათ შორის, კლასტრებს, სტრატეფიკაციას და შეწონვას. იმ ტესტების შემთხვევაში, რომელთა P-მაჩვენებელი 0.05-ზე ნაკლებია, ვაძობთ რომ არსებობს განსხვავება, ხოლო იმ ტესტებისთვის, რომელთა P-მაჩვენებელიც 0.1-სა და 0.05-ს შორისაა ვამატებთ სიტყვებს „როგორც ჩანს“ და „სავარაუდოა“, რათა ნაკლებ სტატისტიკურ მნიშვნელოვნებას გაესვას ხაზი. ეს ფრაზები გამოყენებულია იმიტომ, რომ ტექსტი არ გადაიტვირთოს P-მაჩვენებლებით.

ქვემოთ მოყვანილ ტექსტში, რეგრესიულ მოდელებში გამოყენებულია შემდეგი ცვლადები (თუ ტექსტში სხვა რამ არ არის მითითებული) :

- ასაკი;
- დასახლების ტიპი (ქალაქი ან სოფელი);
- სქესი (მდედრობითი ან მამრობითი);
- მშობლის სტატუსი (არის ან არ არის მშობელი);
- ოჯახური სტატუსი (დაქორწინებულია ან არა);
- ინტერნეტის მოხმარება (ყოველკვირეულად იყენებს ან არ იყენებს ინტერნეტს);

- მასწავლებლად მუშაობის წლები იმ სკოლაში, სადაც ინტერვიუ ჩატარდა;
- საგანი, რომელსაც ასწავლის (საბუნებისმეტყველო მეცნიერება და მათემატიკა; სოციალური მეცნიერებები და ჰუმანიტარული საგნები; სხვა);
- კლასის დამრიგებლის სტატუსი;
- რომელ კლასებს ასწავლის (დანყებითს თუ ძალას);
- სკოლის გარემო (მარტივი დამატებითი კითხვები სკოლაში არსებული გარემოს შესახებ);
- ოჯახში ძალადობის პრევენციის მიმართულებით ტრენინგის გავლის გამოცდილება;
- ოჯახში ძალადობის გამოცდილება (განუცდია თუ არა ძალადობა ოჯახში).

ქვემოთ მოყვანილ ტექსტში ხშირადაა მოცემული რეგრესიული ანალიზის შემდგომ მინიჭებული სავარაუდო ალბათობის მაჩვენებლები ან სავარაუდო ქულები. სავარაუდო ალბათობა აღწერს, თუ რა არის იმისი მოსალოდნელი ალბათობა, რომ კონკრეტული ჯგუფი კონკრეტულ პასუხს გასცემს გამოკითხვას ან კონკრეტულ ქმედებას განახორციელებს. ანალოგიურად, სავარაუდო ქულები არის ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისთვის მოსალოდნელი ქულა ინდექსზე. გარდა ამისა, ტექსტში მოყვანილია ზღვრული ეფექტები. ზღვრული ეფექტები შეიძლება, განისაზღვროს როგორც ცვლილება შედეგში, რომელიც უკავშირდება ერთი კატეგორიიდან ან წერტილიდან მეორეში გადასვლას. მაგალითად, თუ კაცი მასწავლებლები ხუთი პროცენტით უფრო ნაკლები ალბათობით განაცხადებენ ოჯახში ძალადობის შესახებ, ვიდრე ქალი მასწავლებლები, ზღვრული ეფექტის პროცენტული მაჩვენებელი იქნება ხუთი.

ქვემოთ მოყვანილ ტექსტში მონაცემთა ანალიზისას, ზემოთ აღწერილი შეკითხვების ბლოკები გაერთიანებულია ინდექსებში. ინდექსებში, რომლებიც რესპონდენტის პასუხებს ერთ საკითხზე ერთ ქულად აჯამებს, როგორც წესი, უარყოფითი განცხადებები შებრუნებული ფორმით არის კოდირებული, რათა დაცული იყოს ინდექსის მიმართულების თანამიმდევრულობა. მარტივი ჯამური ინდექსები გამოყენებულია როგორც ძირითადი კომპონენტების ანალიზის ან ფაქტორული ანალიზის ალტერნატივა, რათა გამარტივდეს ინტერპრეტაცია.

### 4.3. შებენიანობა

მონაცემთა ანალიზს რიგი შეზღუდვები აქვს. პირველ რიგში, შეზღუდული ბიუჯეტის გამო, ორგანიზაციამ სავსელ სამუშაოები ჩაატარა 60 სკოლაში. ამ შემთხვევაში, შერჩევის მიღწეული ზომა საკმარისია ანალიზისთვის, თუმცა, შერჩევის ეს ზომა იწვევს დიზაინის შედარებით დიდ ეფექტს. როგორც ზემოთაა აღნიშნული, ეს გათვალისწინებულია რეგრესიულ ანალიზში. მეორე: კვლევა ცდილობს გამოავლინოს სავარაუდო მიზეზ-შედეგობრივი მექანიზმები დაკვირვების მონაცემების გამოყენებით. გამონაკლისია ექსპერიმენტული მონაცემების გამოყენება. შესაბამისად, კვლევის არაექსპერიმენტული კომპონენტები, თავისი არსით, კორელაციურია. ამიტომ, დაკვირვების შედეგად შემუშავებული მიგნებების ინტერპრეტაცია მიზეზისა და შედეგის ჭრილში შესაბამისი სიფრთხილით უნდა მოხდეს. და ბოლოს, კვლევა გამორჩეულად სენსიტიურ თემას ეხება და პასუხების ნაწილი შესაძლოა, მიკერძოებული იყოს სოციალური სასურველობის ფენომენის გამო. ამიტომ, რიგ შემთხვევებში, ფაქტები, შესაძლოა, სრული მასშტაბით წარმოდგენილი არ იყოს. მიკერძოების აღმოსაფხვრელად კვლევისას მასწავლებლებს განვუმარტეთ, რომ მათი პასუხები არ დაუკავშირდება მათ პირად მონაცემებს და გამოვიყენეთ ინტერვიუს ჩატარების კომპიუტერული მეთოდი, რომლის მართვაც თავად რესპონდენტს შეუძლია.

### 4.4. თვისებრივი მონაცემების შემოწმება და ანალიზი

თვისებრივი მონაცემები შეგროვდა ათი ფოკუს-გუფისა და ათი ინტერვიუს საშუალებით. ფოკუს-გუფების ძირითადი მიზანი იყო, მოგვეპოვებინა დეტალური ინფორმაცია მასწავლებლებისა და სკოლის მანდატურების ცოდნაზე, შეხედულებებზე, დამოკიდებულებებზე, აღქმებზე, გამოცდილებებსა და რწმენებზე, რომლებმაც შეიძლება, გავლენა იქონიოს მათ ქცევაზე ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან დაკავშირებით. ექსპერტებთან ინტერვიუების ძირითადი მიზანი კი ოჯახში ძალადობის გარშემო არსებული პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის მოპოვება იყო.

ფოკუს-გუფის სახელმძღვანელო შემუშავდა ეთიკური გადანაცვტილების მიღების ოთხკომპონენტიანი მოდელის გათვალისწინებით (რესტი 1997). მისი მიზანი იყო, გამოევილინა კონკრეტული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მასწავლებლების სენსიტიურობაზე, მსჯელობაზე, მოტივაციაზე და მოქმედებაზე ოჯახში ძალადობის შემთხვევების

შეტყობინებასთან დაკავშირებით. ამ მოდელის მიხედვით, პირველი კომპონენტია სენსიტიურობა. ეს არის ადამიანის შესაძლებლობა, ამოიცნოს სიტუაცია, რომელიც შეიცავს მორალურ პრობლემას და გაიაზროს, რომ მის მოქმედებას შეუძლია სხვებისთვის ზიანის ან სარგებლის მოტანა. მეორე კომპონენტია მსჯელობის უნარი. ეს გულისხმობს მორალური დილემისთვის სხვადასხვა შესაძლო გამოსავლის შემუშავებას და შეფასებას მორალური/ეთიკური პერსპექტივიდან გამომდინარე. მესამე კომპონენტი, მოტივაცია, ეხება ისეთი მორალური გადანაცვტილების არჩევას, რომელსაც მორალური ღირებულება აქვს და არა ისეთისა, რომელსაც სხვა სახის ღირებულება აქვს. მაგალითად, მასწავლებლებმა შეიძლება, აღიქვან მორალური დილემის გადანაცვტის ორი შესაძლო გზა - განაცხადონ ან არ განაცხადონ ოჯახში ძალადობის შესახებ. ერთი გზა აკმაყოფილებს კომფორტის მოთხოვნილებას, რადგან თავიდან არიდებს მასწავლებელს შეტყობინებით გამონვეულ შესაძლო პრობლემებს. გადანაცვტის მეორე გზა კი პირად მორალს ეხმარება. ამ სიტუაციაში, მორალური მოტივაცია არის მასწავლებლის შესაძლებლობა, რომ მორალი, როგორც ღირებულება, ამკობინოს უსაფრთხოების ღირებულებას. და ბოლოს, მორალური სიმამაცე (მორალური მოქმედება) ინდივიდის ქცევას ეხება და მოიცავს სიმამაცეს, მიზანდასახულობას და მორალური გადანაცვტილების აღსრულების უნარს.

ეთიკური გადანაცვტილების მიღების ამ ოთხი ძირითადი კომპონენტისა და აღმეიდასა და სხვ. (2016) კვლევაში მოყვანილი რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით, ფოკუს-გუფების მიზანი იყო მასწავლებლების ქცევის (და მისი შემადგენელი კომპონენტების) დეტალური შესწავლა, სკოლის კონტექსტში ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ფოკუს-გუფის შედეგები გამოყენებულია იმ ფაქტორების გამოსავლენად, რომლებიც გავლენას ახდენს მასწავლებლების უნარზე, ამოიცნონ, განსაჯონ და გადაჭრან ოჯახში ძალადობის შემთხვევები ეთიკურად.

ფოკუს-გუფები გამოკითხვის პარალელურად ჩატარდა. ფოკუს-გუფების მონაწილეები იყვნენ სკოლების მანდატურები, მასწავლებლები და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებაზე პასუხისმგებელი სხვა პირები ისეთ სკოლებში, რომლებშიც მანდატურები არ არიან. ფოკუს-გუფები ჩატარდა ქალ და კაც მასწავლებლებთან ცალ-ცალკე.

ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია გამოვიყენეთ პოლიტიკის არსებული მექანიზმების გასაგებად; ასევე, იმ ძირითადი გამოწვევებისა და შესაძლებლობების გასაანალიზებლად, რომლებიც, ამ სფეროს ექსპერტების აზრით, მასწავლებლების მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების პრაქტიკის გაუმჯობესებას უკავშირდება.

ინტერვიუები ჩატარდა მომსახურებების ძირითად

მიმწოდებლებთან და დაინტერესებულ მხარეებთან, მათ შორის: ფსიქოლოგიური მომსახურების სახელმწიფო მიმწოდებლებთან, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სოციალური მომსახურების სააგენტოს და მანდატურის სამსახურის წარმომადგენლებთან, სოციალურ მუშაკებთან და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი აჯამებს პროექტის ფარგლებში თვისებრივი მონაცემების შეგროვების კუთხით განეულ სამუშაოს.

**დიაგრამა 1. თვისებრივი მონაცემების შეგროვება**

ფოკუს ჯგუფის №	მონაწილეები	დასახლების ტიპი/რეგიონი	მონაწილეების რაოდენობა	სქესი
1	მასწავლებლები	დედაქალაქი/თბილისი	7	მდედ.
2	მასწავლებლები	დედაქალაქი/თბილისი	9	მამრ.
3	მასწავლებლები	ქალაქი/ქუთაისი	8	მამრ.
4	მასწავლებლები	ქალაქი/თელავი	7	მდედ.
5	მასწავლებლები	სოფელი/იმერეთი	8	მდედ.
6	მასწავლებლები	სოფელი/კახეთი	6	მამრ.
7	მანდატურები	ქალაქი/ქუთაისი	8	შერეული
8	მანდატურები	დედაქალაქი/თბილისი	8	შერეული
9	მასწავლებლები, რომლებიც მანდატურის ფუნქციებს ასრულებენ	სოფელი/კახეთი	8	შერეული

ექსპერტებთან ინტერვიუ №	მონაწილეები	დასახლების ტიპი/რეგიონი	მონაწილეების რაოდენობა	სქესი
1	შსს	თბილისი	1	მდედ.
2	ჯანდაცვის სამინისტრო	თბილისი	1	მდედ.
3	განათლების სამინისტრო	თბილისი	1	მდედ.
4	სოციალური მუშაკი (ჯანდაცვის სამინისტრო)	თბილისი	2	მდედ.
5	გაეროს ბავშვთა ფონდი	თბილისი	1	მდედ.
6	სახალხო დამცველის ოფისი	თბილისი	1	მდედ.
7	არასამთავრობო ორგანიზაცია პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის	თბილისი	1	მდედ.
8	მასწავლებელი მიმართვიანობის დიდი გამოცდილებით	თელავი	1	მდედ.
9	სასწავლო დაწესებულების მანდატურის სამსახური	თბილისი	2	მდედ.
10	საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი	თბილისი	1	მდედ.

ფოკუსგუფებისა და ექსპერტებთან ინტერვიუების ჩატარების შემდეგ მომზადდა ტრანსკრიპტები; მონაცემები გაანალიზდა თეორიაზე დაფუძნებული კოდირების სისტემის გამოყენებით.

# თავი 5. მიზნები

ანგარიშის ამ ნაწილში წარმოდგენილია კვლევის მიზნები. თავდაპირველად აღწერილია შეტყობინებები ოფიციალური სტატისტიკის გამოყენებით, შემდეგ კი განხილულია მასწავლებლების დამოკიდებულება და შეტყობინების არსებული ბარიერები. შემდეგი ნაწილი ეთმობა მასწავლებლებში ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით არსებულ სოციალურ ნორმებს, დამოკიდებულებებს და მონაცემებს, რომლებიც აჩვენებს მათ კავშირს შეტყობინებასთან. მომდევნო ქვეთავში მოცემულია ინფორმაცია ოჯახში ძალადობაზე, მის დამახასიათებელ ნიშნებსა და არსებულ პოლიტიკაზე მასწავლებლების ინფორმირებულობის დონის შესახებ. ასევე გაანალიზებულია კავშირი შეტყობინებებისადმი დამოკიდებულებასა და რეალურად განხორციელებულ შეტყობინებებს შორის. ბოლოს წარმოდგენილია ზემოთ აღწერილი ექსპერიმენტის შედეგები.

## 5.1. მასწავლებლების რეგისტრირებული შეტყობინებები

### ძირითადი მიზნები:


- მასწავლებლებში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების მაჩვენებელი იზრდება;
- სოფლებში მომუშავე მასწავლებლები ორჯერ უფრო მაღალი ალბათობით არიან ინფორმირებული ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ, ვიდრე ქალაქში მომუშავე მასწავლებლები. თუმცა, სოფლებში ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინება ნაკლებია;
- საკმაოდ დიდია იმ სკოლების რაოდენობა, რომლებსაც ოჯახში ძალადობის არცერთი შემთხვევა არ შეუტყობინებია.

2019 წელს საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახურმა სოციალური მომსახურების სააგენტოს ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის 400 შემთხვევის შესახებ მიაწოდა ინფორმაცია. მართალია, ყველა ეს შემთხვევა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული არ არის, თუმცა, სოციალური მუშაკების ჩართულობის გათვალისწინებით, გონივრულია, ვიფიქროთ, რომ ამ შემთხვევების დიდი ნაწილი სწორედ ოჯახში ძალადობას ეხება. მონაცემები მიუთითებს, რომ ბოლო წლების განმავლობაში შეტყობინებების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2015 წელს ეს

მაჩვენებელი 151-ს შეადგენდა და, მას შემდეგ იზრდება. 2019 წლის რამდენიმე თვის მონაცემი უკვე უტოლდება 2018 წლის მონაცემებს, რაც მიგვანიშნებს, რომ, ჯამური მაჩვენებელი 2019 წელს წინა წელთან შედარებით გაზრდილი იქნება.

სხვადასხვა რეგიონში მთელი რიგი ტენდენციებია წარმოდგენილი. მონაცემები გვიჩვენებს, რომ ერთ მასწავლებელზე ყველაზე მეტი შეტყობინების რაოდენობა უფრო ხშირად თბილისში ფიქსირდება. სხვა შემთხვევებში, ერთ მასწავლებელზე შეტყობინების რაოდენობის მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავებები არ არის. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლების პოპულაციის ზომის კორექტირების შემდეგაც, შეტყობინების მაჩვენებელი თბილისის ფარგლებს გარეთ მნიშვნელოვნად დაბალია. ეს, სავარაუდოდ, მიუთითებს არა იმაზე, რომ ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევები დანარჩენ საქართველოში თბილისთან შედარებით დაბალია, არამედ იმაზე, რომ დაბალია ამ ძალადობის შემთხვევების შეტყობინება. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებიც ადასტურებს, რომ სოფლებში მასწავლებლები ორჯერ უფრო მეტად არიან ინფორმირებული მათ გარშემო ოჯახებში ძალადობის შესახებ (მასწავლებლების 19%), ვიდრე ქალაქში (მასწავლებლების 10%).


**დიაგრამა 2. ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინება სკოლებში და შეტყობინების რაოდენობა ერთ სულ მოსახლეზე რეგიონების მიხედვით**



სოციალური მომსახურების სააგენტომ ორგანიზაციას მიაწოდა სკოლასთან დაკავშირებული შეტყობინების 546 იდენტიფიცირებადი ჩანაწერი. ამის მსგავსად, მანდატურის სამსახურის მონაცემებითაც დასტურდება, რომ შეტყობინებების რაოდენობა, როგორც ჩანს, გაიზარდა - 2015 წელს 88-ით, 2016 წელს 55-ით, 2017 წელს 143-ით და 2018

წელს 196-ით. ამათგან, შეტყობინებების 19% რომელიმე კონკრეტულ სკოლასთან ასოცირებული არ ყოფილა, უბრალოდ წყაროში მითითებული იყო სიტყვა „სკოლა“. მონაცემები მიუთითებს, რომ არსებობს სკოლების მნიშვნელოვანი რაოდენობა, რომლებსაც არასოდეს განუხორციელებიათ ოჯახში ძალადობის შეტყობინება.

**დიაგრამა 3. ოჯახში ძალადობის შესახებ გაკეთებული შეტყობინებების რაოდენობა ყოველ 1000 მასწავლებელზე რეგიონის მიხედვით**



მართალია ზემოთ მოყვანილი მონაცემები საკმაოდ ინფორმაციულია და მანდატურის სამსახური ინფორმაციის შეკრებისა და დამუშავებისათვის დადებით შეფასებას იმსახურებს, თუმცა, შეტყობინებებთან დაკავშირებით სრული სურათის წარმოდგენისთვის ეს საკმარისი არ არის. შინაგან საქმეთა სამინისტრო ასევე წარმოადგენს შეტყობინების სქემის მნიშვნელოვან ნაწილს, თუმცა, არ ფლობს სკოლების მიხედვით ჩაშლილ მონაცემებს შუა ფორმატში. სოციალური მომსახურების სააგენტოც არ აწარმოებს შეტყობინებების დეტალურ აღწერას, თუმცა, აქ ეს პრობლემა ნაკლებად თვალსაჩინოა. შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი მონაცემები არასრულია და მათი ინტერპრეტაციისას ეს გათვალისწინებული უნდა იყოს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ არის თუ არა ძალადობის ესა თუ ის შემთხვევა ოჯახში ძალადობა, მანდატურის სამსახურის მონაცემებშიც არ არის აღნიშნული.

## 5.2. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია შეტყობინების შესახებ

### ძირითადი მიგნებები:

- დაახლოებით ათიდან ერთი მასწავლებელი (9%) ამბობს, რომ შეტყობინებია ოჯახში ძალადობის შემთხვევა;
- მასწავლებლების 87% ამბობს, რომ შეტყობინებდა ბავშვების მიმართ ოჯახში განხორციელებული ძალადობის შესახებ, თუკი ამის ეჭვი ექნებოდა;
- მასწავლებლების 74% ამბობს, რომ შეტყობინებდა მეზობლების მიმართ ოჯახში განხორციელებული ძალადობის შესახებ;
- ცხრა მასწავლებლიდან ერთი (12%) ამბობს, რომ ჰქონია ეჭვი ან შესწრებია ოჯახში ძალადობის შესახებ.


დობის შემთხვევას, თუმცა, ამის შესახებ შესაბამისი ორგანოებისთვის არ შეუტყობინებია;

- სკოლაში არსებულ გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს მასწავლებლის გადანყვებილებაზე, შეატყობინოს თუ არა ოჯახში ძალადობის შემთხვევები;
- უფროსი ასაკის მასწავლებლები უფრო მეტად გამოთქვამენ მზაობას, შეატყობინონ ოჯახში ძალადობის შემთხვევები;
- დაოჯახებული მასწავლებლები შეტყობინებისადმი ნაკლებ მზაობას გამოხატავენ;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ნაკლებად აღნიშნავენ, რომ თავი აურიდებიათ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისთვის, თუმცა, ამავდროულად, ისინი ნაკლებ მზაობას გამოხატავენ ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებაზე.

როგორც წინა ნაწილში მოცემული მონაცემები აჩვენებს, ოჯახში ძალადობის შეტყობინების შემთხვევები შედარებით იშვიათია. ამას ადასტურებს პროექტის ფარგლებში განხორციელებული გამოკითხვის შედეგებიც. ამ შედეგების მიხედვით

მასწავლებლების მხოლოდ 9%-ს შეუტყობინებია ოჯახში ძალადობის შემთხვევა რაიმე ინსტიტუტისთვის, ძალადობაზე დაეჭვების, ან უშუალოდ მოწმობის შემთხვევაში. შემტყობინებლები უფრო ხშირად არიან კაცები, ადამიანები, რომლებსაც გავლილი აქვთ ტრენინგი ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ საკითხებზე და ქალაქში მცხოვრები მასწავლებლები. ოჯახში ძალადობის მსხვერპლი მასწავლებლებიც, როგორც ჩანს, ოდნავ უფრო მაღალი ალბათობით ატყობინებენ შესაბამის ორგანოებს შემთხვევების შესახებ. ეს ეწინააღმდეგება თვისებრივ მონაცემებს, რომლის მიხედვითაც, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ნაკლებად განაცხადებენ მსგავსი შემთხვევების შესახებ. განსხვავება რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს შორის შესაძლებელია, აიხსნას განცდილი ძალადობის ხასიათით. მაგალითად, ადამიანი, რომელიც ბავშვობაში იყო ძალადობის მსხვერპლი და შემდეგ აღარ, უფრო მეტადაა მიდრეკილი შეტყობინებისკენ. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ახსნა შეიძლება მოიძებნოს, საჭიროა შემდგომი კვლევები იმის დასადგენად, თუ რა მიზეზ-შედეგობრივი კავშირია ოჯახში ძალადობის მსხვერპლად ყოფნასა და ძალადობის შემთხვევების შეტყობინებას შორის.


**დიაგრამა 4. სხვადასხვა ჯგუფის მიერ ოჯახში ძალადობის შეტყობინების და შეუტყობინებლობის ალბათობა**





9 დან ერთ შემთხვევაში (12%) გამოკითხულებს არ შეუტყობინებიათ ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ, რომლის თვითმხილველებიც იყვნენ, ან რომლის შესახებაც ეჭვი ჰქონდათ. შეუტყობინებლობასთან დაკავშირებით შემდეგი ტენდენცია გამოიკვეთა: ისინი, ვისაც ოჯახში ძალადობა არ გამოუცდია, ინტერნეტის მომხმარებლები და იმ სკოლების მასწავლებლები, სადაც შედარებით უკეთესი გარემოა, ამბობენ, რომ ნაკლებად შეუკავებიათ თავი ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისგან, ვიდრე ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს, ინტერნეტის არარეგულარულ მომხმარებლებს და იმ სკოლების მასწავლებლებს, სადაც შედარებით უარესი გარემოა.


**დიაგრამა 5. შეუტყობინებლობის ალბათობაზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტები**



რეალური შეტყობინების შედარებით დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, მასწავლებლების სურვილი, განახორციელონ შეტყობინება, მაღალია. მიუხედავად იმისა, რომ 9%-ს ოჯახში ძალადობის შემთხვევის შესახებ შეუტყობინებია, 87% ამბობს, რომ, თუკი ეჭვი ექნებოდათ, აუცილებლად შეატყობინებდნენ შესაბამის ორგანოებს. ბავშვთა მიმართ ოჯახში განხორციელებული ძალადობის

შეტყობინებისადმი მზაობა მნიშვნელოვნად დაბალია სოფლად მცხოვრებ მასწავლებლებს შორის და მათემატიკის და მეცნიერების მასწავლებლებს შორის. ინტერნეტის მომხმარებლები და იმ სკოლების მასწავლებლები, სადაც უკეთესი გარემოა, უფრო მეტად გამოთქვამენ შეტყობინებისადმი მზაობას. დაოჯახებული მასწავლებლები, როგორც ჩანს, უფრო ნაკლებად გამოთქვამენ მზაობას ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინებისადმი. ის მასწავლებლები კი, რომლებსაც ტრენინგები აქვთ გავლილი, უფრო მეტად.

**დიაგრამა 6. ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინების მზაობაზე ზღვრული ეფექტი სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით**




მასწავლებლების შედარებით მცირე, მაგრამ მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (74%) ამბობს, რომ შეატყობინებდნენ მეზობლის ოჯახში განხორციელებული ძალადობის შემთხვევების შესახებ. დაოჯახებული ადამიანები ან წარსულში ძალადობის მსხვერპლები მნიშვნელოვნად ნაკლებად გამოხატავენ მზაობას, შესაბამის ორგანოებს შეატყობინონ მეზობლის ოჯახში განხორციელებული

ძალადობის შესახებ. იმ სკოლების მასწავლებლები, სადაც უკეთესი გარემოა, მნიშვნელოვნად უფრო დიდ მზაობას გამოხატავენ, შეატყობინონ მემობლის ოჯახში განხორციელებული ძალადობის

შემთხვევები. უფროსი ასაკის მოსახლეობაც (56+), როგორც ჩანს, უფრო მეტად გამოხატავს შეტყობინებისადმი მზაობას.

**დიაგრამა 7. ოჯახში ძალადობის შეტყობინების მზაობა სხვადასხვა ჯგუფში.**



### 5.3. ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების ბარიერები და თვითეფექტურობა

#### ძირითადი მიგნებები:

- ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების ბარიერები და თვითეფექტურობა მასწავლებლების დიდი ნაწილი (~40%) შეტყობინების გაკეთების პროცესში ითვალისწინებს შეტყობინების შედეგად მოსალოდნელ ძალადობას, გაურკვევლობას, ძალადობის რეგულარულ ხასიათს და ინსტიტუტების ეფექტიანობასთან დაკავშირებით არსებულ ეჭვებს;
- უფროსი ასაკის მასწავლებლები (56+) უფრო მეტ ბარიერს ხედავენ, ვიდრე ახალგაზრდა მასწავლებლები;
- შეტყობინებაზე პასუხისმგებლობას მასწავლებლები ძალადობის ზრდასრულ მსხვერპლებს აკისრებენ;
- მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ დილემის წინაშე დგანან. ერთი მხრივ, გრძნობენ შეტყობინების მორალურ ვალდებულებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ღელავენ შეტყობინების უარყოფით შედეგებზე როგორც მსხვერპლების, ისე საკუთარი თავისთვის;

- შეტყობინების ბარიერად მიიჩნევა ასევე ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე და შესაბამისი დამაზიანებელი შედეგები;
- მასწავლებლებს (სკოლის დირექტორებს) და მანდატურებს შორის ნდობის ნაკლებობა ხელს უშლის შეტყობინებას;
- არსებული სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა ხელს უშლის მასწავლებლებს შეტყობინებაში;
- შეტყობინების პროცესი გაჭიანურებულ და მოუხერხებელ ბიუროკრატიულ პროცედურად მიიჩნევა, რომელიც მსხვერპლისთვის სასარგებლო შედეგებით იშვიათად სრულდება;
- იმ სკოლების მასწავლებლები, სადაც უკეთესი გარემოა, ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან დაკავშირებით უფრო მაღალ თვითეფექტურობას ამჟღავნებენ;
- მასწავლებლის თვითეფექტურობა შეტყობინების წინასწარმეტყველებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია. ეს ფაქტორი 400%-ით ზრდის მასწავლებლის მიერ შეტყობინების განხორციელების ალბათობას;

- მასწავლებლების დიდი ნაწილის თქმით, მათი კოლეგები შეტყობინების გაკეთებისგან თავს იკავებენ, რადგან ღელავენ, რომ პრობლემები შეექმნებათ იმ შემთხვევაში, თუ არასწორ გადაწყვეტილებას მიიღებენ შეტყობინების თაობაზე, ან შეცდომას დაუშვებენ და ცრუ შეტყობინებას წარადგენენ.


თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ მასწავლებლებს, რომლებსაც ძალადობის შეტყობინების ვალდებულება აქვთ, თვითფექტურობა აკლიათ და დახმარებას საჭიროებენ.

მასწავლებლებს სთხოვს, წარმოედგინათ შემდეგი სიტუაცია: მათი კოლეგა შეესწრო ოჯახში ძალადობას ან ინფორმირებულია ძალადობის შესახებ,

თუმცა, შეტყობინებისგან თავს იკავებს. მასწავლებლებს უნდა დაესახელებინათ მიზეზები, რომლებიც მათ კოლეგას მსგავსი გადაწყვეტილებისკენ უბიძგებდა. ყველაზე ხშირად დასახელდა: ნერვიულობა, რომ შეტყობინების შედეგად აგრესიის მსხვერპლები მისი ოჯახის წევრები გახდებიან (40% ეთანხმება), ნაკლები დარწმუნებულობა იმაში, რომ შემთხვევას რეგულარული ხასიათი აქვს (37% ეთანხმება) და დაურწმუნებლობა, რომ შესაბამისი უწყებები ეფექტურად გადაწყვეტენ პრობლემას (37% ეთანხმება). ნაკლებად მნიშვნელოვან საკითხებად გამოიკვეთა ძალადობის სუსტი ხარისხი (15%) და მოსაზრება, რომ არ უნდა ჩაერიონ სხვისი ოჯახის საქმეებში (18%).

**დიაგრამა 8. ინტერვენციის გაცხადებული ბარიერები**


**წარმოდგინეთ, რომ თქვენი კოლეგა შეესწრო ან ინფორმირებულია ოჯახში არსებული ძალადობის შესახებ, რომელიც პირდაპირ ან ირიბად ბავშვების წინააღმდეგაა მიმართული და ამ ფაქტის შეტყობინებაზე თავს იკავებს. გთხოვთ, მონიშნოთ, რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით თითოეუ**



ზემოთ მოცემული კითხვებისგან აიგო ინდექსი იმის გასაგებად, თუ რომელი ჯგუფი ხედავდა შეტყობინების უფრო მეტ ბარიერს და რომელი უფრო ნაკლებს. ინდექსის საშუალო ქულა იყო 28-დან 12. რაც უფრო მაღალია ინდივიდის ქულა ინდექსზე, მით მეტ ბარიერს აღიქვამს ის. ინდექსის ანალიზი მიუთითებს, რომ ბარიერებს სხვადასხვა ჯგუფი სხვადასხვა მასშტაბით აღიქვამს. ხანშიშესული ადამიანები უფრო მეტ ბარიერს ხედავენ, ვიდრე

ახალგაზრდები. ინტერნეტის რეგულარული მომხმარებლები ნაკლებ ბარიერს ხედავენ. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მასწავლებლები უფრო მეტ ბარიერს აღიქვამენ, ვიდრე სხვა საგნების მასწავლებლები. ადამიანები, რომლებსაც ოჯახში ძალადობის თემაზე ტრენინგი აქვთ გავლილი, როგორც ჩანს, საშუალოდ, უფრო ნაკლებ ბარიერს ხედავენ. მაშინ, როცა ძალადობის მსხვერპლები ოდნავ უფრო მიდრეკილნი არიან მეტი ბარიერის აღქმისკენ.

**დიაგრამა 9. შეტყობინების აღქმული ბარიერები სხვადასხვა ჯგუფში**



თვისებრივი მონაცემები, ზოგადად, შესაბამისობაშია რაოდენობრივ მონაცემებთან. თვისებრივმა კვლევამ ერთი განსხვავებული მიგნება გამოკვეთა: მასწავლებლები ამბობენ, რომ თუ ძალადობის მსხვერპლი ბავშვი არ არის, ძალადობის მსხვერპლი ქალი არის ყველაზე მნიშვნელოვანი სუბიექტი შეტყობინების პროცესში. როგორც ფოკუს ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, „თუ (ძალადობა) ბავშვზე არ ხორციელდება, ძალადობის მსხვერპლებმა თვითონ უნდა გადანწყვიტონ, რას მოიმოქმედებენ. ისინი ზრდასრული ადამიანები არიან“ (მასწავლებელი, ქალი, ქუთაისი).

ძალადობის შეტყობინების ვალდებულების მსხვერპლისთვის დაკისრება არ გამომდინარეობდა მხოლოდ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის არსებობის აუცილებლობისაგან. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ თუ ძალადობის მსხვერპლებს შეტყობინების სურვილი არ აქვთ, შეიძლება მათ სახლში მისულ პოლიციელსაც არ უთხრან ამ ფაქტის შესახებ. უფრო მეტიც, არსებობს შეხედულება, რომ ძალადობის მსხვერპლები არ გააკეთებენ ოფიცი-

ალურ განაცხადს, ან გააკეთებენ, მაგრამ მოგვიანებით შეცვლიან. როგორც ერთ-ერთმა მონაწილემ აღნიშნა, „თქვენ რომ განაცხადოთ ვიღაცის ძალადობაზე, იმისგან მინიმუმ ნებართვა უნდა გქონდეს და იმისგან უნდა ელოდებოდა იმას, რომ ის ამას დაადასტურებს. სხვა შემთხვევაში ეს ყველაფერი ამბობს კარგავს“ (მასწავლებელი, ქალი, თელავი). ეს სამართალდამცავებისათვის საკმაოდ კარგად ცნობილი პრობლემაა საქართველოში (CRRC საქართველო 2019).

შეტყობინების განხორციელებამდე მსხვერპლის საქმის კურსში ჩაყენების საჭიროება იმ მოსალოდნელ პრობლემებს უკავშირდება, რაც პოლიციისათვის მიმართვას შეიძლება, მოყვეს. მასწავლებლები ამბობენ, რომ ხშირად დილემის წინაშე დგანან. ერთი მხრივ, ისინი გრძნობენ შეტყობინების მორალურ ვალდებულებას, მაგრამ, მეორე მხრივ, ღელავენ შეტყობინების უარყოფით შედეგებზე როგორც მსხვერპლების, ისე საკუთარ თავთან მიმართებით. მათ არ სჯერათ, რომ პასუხისმგებელი ორგანოები (განსაკუთრებით პოლიცია) შესაბამი-

სად იმოქმედებენ და მსხვერპლის მდგომარეობას გააუმჯობესებენ.

---

„რამდენჯერ მიფიქრია ამ ბოლო დროს, რომ, აი, რომელი ჯობია, მიმართო თუ არ მიმართო. ბოლო შემთხვევიდან გამომდინარე ვამბობ, როდესაც კატრეთში განაცხადეს, ისეთი მძიმე შედეგებით მთავრდება, კატასტროფული შედეგით, რომ, ანუ, ის, ვისი გადასაწყვეტიცაა, თავის დონეზე არ არის, ეს პრობლემა რომ გადაწყვიტოს, უფრო აუარესებს... და რამდენჯერ მიფიქრია, რომ რა ჯობია, ამათ ცხოვრებაში დააჩქარო ის უბედურება, თუ გულგრილი გახდეს.“ **(მასწავლებელი, ქალი, თელავი)**

---

„გვგონია, რომ სამართალდამცავებს რომ მივმართავთ, პრობლემა აღმოიფხვრება. როგორც ძალიან ხშირად ხდება ჩვენ შემთხვევაში, შეიძლება პირიქით, გავაუარესოთ... აი, სოციალური მუშაკები უნდა იყვნენ, რომლისგანაც საფრთხეს არ იგრძნობენ მშობლები, მე ესე ვფიქრობ, რაღაც უფრო მგონია, ამ მხრივ რომ წარიმართოს მუშაობა, უკეთესია.“ **(მასწავლებელი, კაცი, თბილისი)**

---

როგორც სხვა მონაწილემ აღნიშნა: „ტელევიზორს ყველა ვუყურებ და, კი ბატონო, ვხედავთ, შემაკავებელი ორდერის მერე რამდენი მიცვალებული გვყავს.“ (სკოლის მანდატური, კაცი, თბილისი).

კონკრეტულ პრობლემად სახელდება ასევე ქალების ეკონომიკური დამოკიდებულება მოძალადეზე და, შესაბამისად, შეტყობინების დამაზიანებელი შედეგები. როგორც ერთ-ერთმა მანდატურმა აღნიშნა, „საბოლოო ჯამში, მე ვფიქრობ, მიდის ყველაფერი ფინანსურ პრობლემებამდე. როცა ცოლი არის ქმარზე დამოკიდებული ფინანსურად, წასვლით ვერ მიდის ვერსად“ (მანდატური, ქალი, ქუთაისი). როცა შეტყობინებაზე მსჯელობენ, მასწავლებლები დილემის წინაშე დგებიან და ხშირ შემთხვევაში სჯერათ, რომ საპოლიციო მექანიზმები, რომლებიც მოძალადე კაცს სჯის, ამავედროულად მოძალადის ოჯახს ვნებს. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა: მასწავლებლები დაცვის ღონისძიებებს ეფექტურად არ მიიჩნევენ. მასწავლებლებმა ყველაზე კარგად იციან, პატრული რომ მივა და დააკავებს იმ ტიპს და გავა, მეორე დღეს ის ბავშვი მოვა მშიერი, ანუ ეს ჯაჭვი ჩვენთან ხო დარღვე-

ულია (ექსპერტთან ინტერვიუ).

შეტყობინების დამაზიანებელი შედეგები მასწავლებლებს უბიძგებს, არ განახორციელონ შეტყობინება. სანაცვლოდ, ისინი პრობლემის მოგვარებას მოძალადესთან კომუნიკაციის საშუალებით ცდილობენ. როგორც ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა: „თუ არის უკვე დაზუსტებული ფაქტი, ჩვენ აუცილებლად ვიბარებთ მშობელს და ვესაუბრებით, რომ გვაქვს ამის შესახებ ინფორმაცია და დამალვას აღარ აქვს აზრი იმიტომ, რომ ბავშვი არის ბავშვი და მასზე არ უნდა ძალადობდეთ. შესაბამისად, ჩვენ უნდა დავეხმაროთ ბავშვს და, შესაბამისად, თქვენც, თქვენ რას სახის დახმარება გჭირდებათ, რომ თქვენ დაგეხმაროთ?“ (მანდატურის მოვალეობის შემსრულებელი, კაცი, კახეთი).

ინსტიტუტების მიერ არაეფექტური რეაგირების მოლოდინი ძალადობის მსხვერპლებისთვის დამაზიანებელია. ეს ასევე განაპირობებს ნდობის დაბალ ხარისხს იმ სუბიექტების მიმართ, რომლებსაც შეტყობინების ვალდებულება აქვთ. უნდობლობა თავად ამ სუბიექტებს შორისაც. მასწავლებლები არ ენდობიან მანდატურებს, მანდატურები არ ენდობიან პოლიციას და მასწავლებლებს; სკოლის დირექტორები ბენოლას ახდენენ მასწავლებლებზე, რომ მათ არ შეატყობინონ შესაბამის ორგანოებს, ხოლო თუ ისინი მაინც ასე მოიქცევიან, სადამსჯელო ღონისძიებებს მიმართავენ. ამის გამო კი შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირები სკოლის დირექტორებს არ ენდობიან. მსგავსად ამისა, სოციალური მუშაკებისადმი ნდობის ხარისხიც დაბალია და მათი საქმიანობა არაეფექტურად მიიჩნევა.

მასწავლებლები ხშირად ყოყმანობენ, მიმართონ თუ არა სკოლებში ძალადობის შეტყობინებაზე პასუხისმგებელ პირებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში, მანდატურები არიან. როგორც მასწავლებელმა აღნიშნა: „ხშირად მსმენია მასწავლებლებისგან, რომ მანდატურები აქ ჩვენს საკონტროლებლად არიან“ (ექსპერტთან ინტერვიუ). მანდატურებს მიანიჭიათ, რომ დირექტორის პასუხისმგებლობაა, იზრუნოს მანდატურებსა და მასწავლებლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე. მანდატურები ამბობენ, რომ როდესაც დირექტორი მხარს უჭერს თანამშრომლობას, ეს თანამშრომლობა ვითარდება, როცა არ უჭერს, არა. მანდატურების აზრით, სკოლის დირექტორები შიშობენ, რომ სკოლას რეპუტაცია შეეღაბება; მათ მოძალადე მშობლების რისხვისაც ეშინიათ. მანდატურმა ისაუბრა შემთხვევებზე, როდესაც მასწავლებელი მანდატურისთვის

ძალადობის შეტყობინებისთვის დასაჯეს: „წლის ბოლოს დასაჯეს ეს პედაგოგები, სადაც იყო ოქმები და უშუალოდ მანდატურთან იკონტაქტა და ითანამშრომლა.... და რომ შიდა სამზარეულო გამოიტანა ჩვენამდე, პირიქით, ყველას უარყოფითად შეუფასა ეს.“ (მანდატური, ქალი, ქუთაისი).

ამავდროულად, მანდატურები მასწავლებლები-სადმი ნაკლებ ნდობაზე საუბრობენ. მანდატურებს უჭირთ ბავშვებში ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნების ამოცნობა და ინფორმაციას მასწავლებლებისაგან ითხოვენ. თუმცა, ამბობენ, რომ მასწავლებლები ხშირად უმაღლეს ამ ინფორმაციას. ეს, როგორც წესი, სკოლაში არსებული გარემოს ბრალია, რომელიც, როგორც ზემოთ არის მითითებული, მასწავლებელსა და მანდატურს შორის თანამშრომლობას ხელს არ უწყობს. როგორც მანდატურმა აღნიშნა: „მერე მაღავენი არ უნდა, რომ მოყვას მერე რაიმე. ჩვენც უკვე გვიმაღავენი, თვითონ დამრიგებლებიც რაღაც-რაღაცეებს.... ხშირ შემთხვევაში, სკოლა მაღავეს.“ (მანდატური, კაცი, ქუთაისი). სხვა მანდატურის თქმით: „სანამ ფაქტი არ დადგება და ნიშნები, რომლის დამალვას ვერ შეძლებენ, უფრო მაგ დროს [მოგვმართავენ].“ (მანდატური, ქალი, ქუთაისი). სკოლაში არსებული გარემოს გარდა, მოსწავლეებში ძალადობის ნიშნებს პირადი გამოცდილებიდან გამომდინარეც მაღავენ. როგორც მანდატურმა აღნიშნა: „[გვეკითხებიან] ბავშვობაში შენ მშობელს არ გაუღახიხარ? ესეთი რა მოხდაო, თქვენ არ იყავით ბავშვებიო?“ (მანდატური, ქალი, ქუთაისი).

შეტყობინებებზე პოლიციის რეაგირების ფორმაც უნდობლობის განმაპირობებელი ფაქტორია. როგორც მანდატურმა აღნიშნა, „სამართალდამცავებისგან, რომ დაურეკავთ, რა იყო ახლა, ვის არ უჩხუბიაო, უთქვამთ. ისიც კი სახვეწარი გვაქვს ხანდახან, რომ მოვიდნენ ჩვენთან სკოლაში“ (მანდატური, ქალი, ქუთაისი). სხვა მანდატურის მიხედვით, „პოლიცია უნდა იყოს თავის სიმალლეზე, ანუ პოლიცია, სადაც არის სისხლის სამართლის დანაშაული, ასე ნარკოტიკი, იარაღი, იქ ხომ გარბის თავქუდმოგლეჯილი, აი, ანალოგიურად როცა მოეკიდება ამ საკითხს, მაშინ დალაგდება ყველაფერი“ (მანდატური, კაცი, თბილისი). ერთ-ერთმა მანდატურმა აღნიშნა, რომ ხანდახან პოლიცია ურჩევს კიდევ ძალადობის მსხვერპლებს, არ დაამძიმონ საჩივარი: „[პოლიციამ მამის მიერ ნაცემ გოგონას] ურჩიეს, რომ თუ არ გაამწვავებდა ამ საჩივარს და ამ საჩივრის ფორმას ცოტა თუ შეა-

ლამაზებდა, მამა წავიდოდა იმ საღამოს სახლში“ (მანდატური, ქალი, თბილისი).

სოციალური მუშაკების საქმიანობაც არ ფასდება დადებითად. როგორც ექსპერტმა აღნიშნა: „მე მასწავლებლისგან ძალიან ხშირად მომისმენია, რომ რატომ შეატყობინო? შემიტყობინებია და არაფერი არ გაუკეთებია სოციალურ სამსახურს“ (ექსპერტთან ინტერვიუ). მასწავლებლებმა ისაუბრეს შემთხვევებზე, როცა სოციალური მუშაკის ჩართულობამ ბავშვებისთვის არანაირი დადებითი შედეგი არ გამოიღო და წლების განმავლობაში პრობლემა უცვლელი რჩებოდა:

„მე დავურეკე სოციალურ მუშაკს და ვუთხარი, ჩვენ გვაქვს ეს პრობლემა და რა გავაკეთოთ. ოფიციალურად ვიცი, რომ სკოლამ უნდა აცნობოს, სასტიკი უარი მითხრა ამ ქალმა. ჩვენ მაგ ოჯახში ვერ ვიმუშავებთო. მაშინ ერთადერთი გამოსავალი რჩება ის, რომ მშობლებს ჩამოერთვათ ეს ბავშვები და გადავიდნენო მინდობით აღზრდაზე და ამისი სასტიკი წინააღმდეგები არიან მშობლებიც და ბავშვებიც, ანუ ბავშვის თანხმობაც თუ არ არის, როგორც ვიცი, მინდობით აღზრდაზე არ ხდება.“ (მასწავლებელი, ქალი, თბილისი)

მსგავსი ტიპის გამოცდილებების შემდეგ, მასწავლებლები უკვე აღარ არიან დარწმუნებული, საერთოდ ღირს თუ არა სოციალურ მუშაკთან დარეკვა. თვითონ სოციალური მუშაკების არაეფექტურობა შეიძლება, აიხსნას იმით, რომ ისინი ცოტანი არიან და ბევრი ფუნქცია აკისრიათ. ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ „ძალიან დიდი ნაკლებობაა სოციალური მუშაკების და, ამდენად, უკვე ხარისხზე ძნელია ლაპარაკი, როცა არ ყოფნით კადრი“ (ექსპერტთან ინტერვიუ).

ზოგადად, იმ ადამიანებს, რომლებსაც შეუტყობინებიათ ოჯახში ძალადობის შესახებ, არ ახსენდებათ, რომ ამას რამე დადებითი შედეგი მოყოლოდა ან მსხვერპლისთვის, ან პირადად მათთვის. ადამიანები შფოთავენ ინსტიტუტების არაეფექტიან რეაგირებაზე, არა მხოლოდ მსხვერპლის უსაფრთხოების გამო, არამედ საკუთარი და ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე.

„ძალიან ცუდი მენტალიტეტი და [თუ შეტყობინებას გააკეთებ] მერე შენ გეძახიან, ბოდიში და ბოზი ხარ შენ, და თანამშრომლობ [პოლი-

ციასთან]... მინდა, რომ დავიცვა მერე, ეხლა ჩემზე გადმოვა ის ძალადობა, ჩემს შვილზე, რომ აგერ მამაშენმა პატრულს დაურეკა და ხვალ-ზვგ შენც ფიქრობ, ისინი შეიძლება, შერიგდნენ და ყველა ხელს შენზე გამოიშვერს, რომ, აი, შენ ეს გააკეთე... ვისი გულისთვისაც დარეკე, ისიც იგივეს იზამს, იტყვის, შენ ხარ ჩამშვებიო.“ **(მასწავლებელი, კაცი, კახეთი)**

მსგავსი ტიპის ნუხილი შეტყობინების დროს კონფიდენციალობის დაცვის საკითხებს უკავშირდება. როგორც მანდატურმა აღნიშნა:

„კონფიდენციალობის დაცვა, რომელიც ჩვენთან სისტემურად არ არის მოწესრიგებული. არის ისეთი რაღაცები, რომ მე შემიძლია, დავრეკო შესაბამის ორგანოში უმნიშვნელოვანესი ფაქტის შესახებ, ვანვდი ინფორმაციას, მაგრამ არ მინდა, მე ვარ ამისი ადრესატი, ფიქსირდება იქ ტელეფონი. თუ ტელეფონი ფიქსირდება, რა უნდა ახლა იმის გაგებას, ვინა ხარ, ხო? თუ ისეთ ინფორმაციას განვდი, რომ საჭიროა სწრაფი რეაგირება, მიხვედი იქ და ხედავ, ნულარ იკვლევ, ვინ დარეკა, ვინ იყო. ამ თამაშს შეეშვი. ფაქტი გამოიძიე და ფაქტს მიაქციე ყურადღება.“ **(მასწავლებელი, რომელიც მანდატურად მუშაობს, კაცი, კახეთი)**

სამართლებრივი დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა მასწავლებლებს ასევე უშლის ხელს შეტყობინებაში. როგორც ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა: „დასაბუთება შეუძლებელია და შეიძლება, ცილისწამებისთვის აქეთ შეიტანოს სარჩელი ერთ-ერთმა მშობელმა, მერე ის ისე დააშანტაჟოს და მეორეც აყვეს და შესაძლებელია, შენ გაგიხდეს სახდელი გადასახდელი“ (მასწავლებელი, ქალი, თელავი). შიში, რომ ბრალდებას ვერ დაამტკიცებენ, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასწავლებლების მზობაზე, ხელი მოაწერონ რამე ტიპის ფორმას ან დოკუმენტს (ძალადობის შეტყობინებისას ჩვეულებრივ მსგავსი ფორმები ივსება ხოლმე), ან განცხადება გააკეთონ პოლიციაში. როგორც მანდატურმა აღნიშნა, „ჩვენ ვცდილობთ, ინფორმაცია მაქსიმალურად ამომწურავად მივიღოთ. მათ არ უნდათ, რომ ინფორმაციის წყარო იყვნენ იმიტომ, რომ სადმე არ დაფიქსირდეს მათი ვინაობა“ (მანდატური, ქალი, თბილისი).


კიდევ ერთი შემაფერხებელი ფაქტორი ხანგრძლივი და მოუხერხებელი ბიუროკრატიული პროცედურაა, რომელიც თან სდევს შეტყობინების პროცესს. მანდატურმა მასწავლებელთან დაკავშირებით თქვა, რომ „თავს არიდებენ, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. უნდა წავიდნენ იქ, დაჯდნენ პროცედურებზე... ბიუროკრატიაა, იმდენად მოუნესრიგებელია, ელემენტარული ის, რომ გადაამისამართო ან უბნის ინსპექტორიც რომ გამოიძახო, ახსნა-განმარტების დასაწერად წაიყვანებენ მათ და არამართო მანდატურებს მთელი დღე, ღამის ათ საათამდე დაგვაყუდებენ იქ...“ (მანდატური, ქალი, ქუთაისი). ექსპერტმა კი აღნიშნა: „მერე, რომ შევატყობინო, ეხლა მე ხუთი დღე უნდა ვიარო პოლიციაში და გავაცდინო სამსახური და ამას არავინ არ ჩამითვლის საპატიოდ“ (ექსპერტთან ინტერვიუ).

ამ მდგომარეობის გათვალისწინებით მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ ჩარევის მათთვის მისაღები ფორმა არის: 1) მსხვერპლის ემოციური და ფიზიკური მხარდაჭერა; და 2) მოძალადის შერცხვენა (კაცების შემთხვევაში). ეს ვარიანტები ყველა ფოკუსჯგუფში გამოიკვეთა. ხშირ შემთხვევაში, მასწავლებლები საკუთარ თავს აკისრებენ პასუხისმგებლობას, გაუმკლავდნენ ოჯახში ძალადობას. თუმცა, ამავდროულად აკლიათ კომპეტენცია და რესურსები პრობლემის გრძელვადიანი გადაჭრისათვის.

გამოკითხვაში გამოყენებული თვითფექტურობის საზომი სკალა შეიცავდა კითხვებს შეტყობინების ბარიერების შესახებ. ბარიერებთან დაკავშირებულ შეკითხვებზე მასწავლებლების დიდმა ნაწილმა შემდეგი მნიშვნელოვანი ფაქტორები გამოკვეთა: უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩენა იმის გამო, რომ პოლიციისთვის მიმართვასთან დაკავშირებით არასწორი გადაწყვეტილება მიიღო მაშინ, როცა რეალურად არაფერი ხდებოდა. ეს შედეგები ზემოთ აღწერილ მიგნებებს ადასტურებს. მასწავლებლების შედარებით მცირე ნაწილი ფიქრობს, რომ შეტყობინების გამო მასზე სხვა მასწავლებლები განწყენდებოდნენ, ან ზედმეტად მგრძობიარე ადამიანად ჩათვლიდნენ, რომელიც გადაჭარბებულად აფასებს ყველაფერს. რაც შეეხება თვითფექტურობის შესახებ კითხვებს, რომლებიც შეტყობინების შედეგად მიღებულ ჯილდოებს უკავშირდება, მასწავლებლები ამბობენ, რომ ყველა პუნქტი მნიშვნელოვანია, კოლეგებს შორის თავის ლიდერად შეგრძნების გარდა.

დიაგრამა 10. თვითფექტურობა შეტყობინებასთან მიმართებით.

**რამდენად მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელოა თითოეული სიტუაცია/ქმედება თქვენთვის, თუ გადაწყვეტთ დაეხმაროთ მოსწავლეებს, რომლებსაც აქვთ ოჯახში ძალადობის გამოცდილება? (%)**




ეფექტიანობის დონის გასაგებად, გემოთ მოცემული შეკითხვებისგან ინდექსი აიგო. საშუალო ქულა ინდექსზე 44 დან 24 იყო. უკეთესი გარემოს მქონე სკოლების მასწავლებლებმა თვითფექტურობის უფრო მაღალი დონე აჩვენეს. დაოჯახებული ადამიანების თვითფექტურობის მაჩვენებელი,

საშუალოდ, უფრო დაბალია. საშუალო სკოლის მასწავლებლებს, როგორც ჩანს, თვითფექტურობის შედარებით დაბალი მაჩვენებელი აქვთ, ხოლო ადამიანებს, ვისაც ტრენინგები აქვთ გავლილი - უფრო მაღალი.




დიაგრამა 11. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი თვითეფექტურობაზე შეტყობინებასთან დაკავშირებით



მონაცემები ასევე მიუთითებს, რომ რაც უფრო მაღალია მასწავლებლების თვითეფექტურობის მაჩვენებელი, მით მეტია ალბათობა, რომ მათ შეტყობინება რეალურადაც განუხორციელებიათ. შანსი, რომ ოდესმე განუცხადებიათ ძალადობის შესახებ, 4%-ია იმ მასწავლებლებისთვის, ვისაც ინდექსი

დაბალი ქულა აქვს და 16% მათთვის, ვისი ინდექსის ქულაც მაღალია. ამასთან, არ არსებობს მნიშვნელოვანი კავშირი ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შეტყობინების სურვილსა და თვითეფექტურობის მაჩვენებელს შორის.

დიაგრამა 12. ოჯახში ძალადობის შეტყობინების განხორციელების ალბათობა თვითეფექტურობის მიხედვით



შეტყობინების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას თვითეფექტურობის ნაკლებობას ხაზი გაუსვს ფოკუსჯგუფებსა და ექსპერტებთან ინტერვიუებშიც. რაც შეეხება ბავშვთა მიმართ ძალადობას, მასწავლებლებისათვის გადაწყვეტილების მიღებისას უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მტკიცებულების არსებობა, ეჭვის საპირისპიროდ. მასწავლებლებ-

ბი ამბობენ, რომ შეტყობინებამდე ინფორმაციის წყარო აუცილებლად უნდა იყოს დარწმუნებული ძალადობის შემთხვევაში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მაშინაც კი, როცა ფაქტის შესახებ უტყუარ ინფორმაციას ფლობენ, მასწავლებლები, პირველ რიგში, მოძალადე მშობლებს მიმართავენ. ისინი ფიქრობენ, რომ საჭიროა მათი დასტური

და ნებართვა, სანამ არასრულწლოვანის შესახებ შეტყობინებას გააკეთებენ. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: „ხშირად შეიძლება, ეჭვიც გაგვიჩნდეს [ძალადობაზე], ბავშვმაც მოიტანოს ამბავი, რომ მშობელი არ იყოს გულწრფელი ჩვენთან მიმართებაში, არ მოგვცეს საშუალება, რომ დაეხმარო და მხოლოდ ეჭვის საფუძველზე განცხადების გაკეთება ცოტა დანაშაულივით არის“ (მასწავლებელი, ქალი, თბილისი). ეს მიუთითებს, რომ მასწავლებლებს, რომლებსაც შეტყობინების ვალდებულება აქვთ, თვითფექტურობა აკლიათ და მხარდაჭერა სჭირდებათ. ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა: „თითქოს სჭირდებათ ადამიანი, ვინც მათთან ერთად რამდენიმე შემთხვევას ესე აჩვენებს, როგორ უნდა გააკეთოს და დაარწმუნოს, რომ კი, შენ სწორედ აკეთებ და განუმტკიცოს, რომ ვინც არ უნდა მოვიდეს შენთან და გითხრას, შენ ამ არგუმენტებით ყოველთვის შეგიძლია, დაამტკიცო, რომ ზუსტად ისე გააკეთე, როგორც კანონი გავალდებულებს“ (ექსპერტთან ინტერვიუ).

ზემოთ მოცემული მონაცემები მიუთითებს, რომ შეტყობინების არაერთგვაროვანი შედეგები შეტყობინების განხორციელების სანინააღმდეგოდ მოქმედებს. ინსტიტუტების ეფექტიანობისადმი რწმენის არქონა, კონფიდენციალობის დაუცველობა, ქალების ეკონომიკური დამოკიდებულება კაცებზე და შეტყობინების განხორციელებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული პროცედურები დამაბიანებელ შედეგს იწვევს როგორც ძალადობის მსხვერპლებისათვის, ისე ძალადობის შემტყობინებლებისთვის. ინსტიტუტების არაეფექტურობა და შეტყობინებაზე მათი არაეფექტური რეაგირების გამოცდილება უნდობლობის წრეს აჩენს სუბიექტებს შორის. ეს ამცირებს მასწავლებლების მოტივაციას, კვლავ განახორციელოს შეტყობინება და არ უბიძგებს შეტყობინებისკენ მათ, ვისაც მსგავსი გამოცდილება ჯერ არ ჰქონია.

ამ საკითხების მიუხედავად, სკოლაში დადებითი გარემო, რომელიც განათლების შესახებ არსებული ლიტერატურის მიხედვით, ძირითადად, სკოლის დირექტორზეა დამოკიდებული, ზოგადად პოზიტიურადაა დაკავშირებული შეტყობინებასთან. ინტერნეტის მომხმარებლები უფრო ხშირად გამოთქვამენ შეტყობინებისადმი დადებით შეხედულებას, ვიდრე ისინი, ვინც ინტერნეტს ნაკლებად ხშირად ან საერთოდ არ იყენებს. ეს მიუთითებს, რომ კომუნიკაციის ონლაინ საშუალებები საზოგადოების იმ ნაწილს წვდება, რომელიც ისედაც მიდრეკილია შეტყობინებისკენ. ადამიანებს, რომლებსაც ოჯახში

ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით ტრენინგები აქვთ გავლილი, როგორც წესი, უფრო დადებითი დამოკიდებულება და ქცევა აქვთ შეტყობინებასთან მიმართებით. ეს მიგნება მნიშვნელოვანია, რადგან აჩვენებს, რომ ტრენინგი შეიძლება, იყოს ძალადობის შემთხვევების შეტყობინების გაზრდის ეფექტური საშუალება. თუმცა, ოჯახში ძალადობის საკითხებზე ტრენინგში მონაწილე ადამიანები შეიძლება, ტრენინგის მიღებამდეც უფრო მეტად იყვნენ დადებითად განწყობილი შეტყობინების პრაქტიკისადმი. ამიტომ, ამ მიგნებასთან შედარებით მეტი სიფრთხილეა საჭირო და ტრენინგების გაფართოებამდე აუცილებელია მათი შეფასება. მასწავლებლების თვითფექტურობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს იმას, განუხორციელებია თუ არა პირს ოდესმე ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინება. დაბალი მაჩვენებლიდან მაღალზე გადასვლა 400%-ით ზრდის იმის ალბათობას, რომ მასწავლებელი შეტყობინებას განახორციელებს. ეს, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ გარკვეული ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული მასწავლებლების თვითფექტურობის ამაღლებისკენ.

#### 5.4. სოციალური ნორმები, ქალთა მიმართ დამოკიდებულებები და მათი კავშირი შეტყობინებასთან

##### ძირითადი მიგნებები:

- განსხვავებებია მასწავლებლების მიერ ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით გამოთქმულ შეხედულებებსა და მათ აღქმას შორის, თუ რას ფიქრობენ სხვები;
- მასწავლებლების დიდი ნაწილი (60%) ამბობს, რომ „ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი არის ოჯახზე ზრუნვა“;
- მასწავლებლების დიდი ნაწილი (71%) არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ „ცოლ-ქმარს შორის ძალადობა მათი პირადი საქმეა და სხვები არ უნდა ჩაერიონ“;
- მასწავლებლების დიდი უმრავლესობა (90%) ფიქრობს, რომ ქალმა არ უნდა აიტანოს ძალადობა ოჯახის შენარჩუნების მიზნით;
- ქალები, ინტერნეტის რეგულარული მომხმარებლები და იმ სკოლების ახალგაზრდა მასწავლებლები, სადაც უკეთესი გარემოა, ოჯახში ქალის როლთან დაკავშირებით ნაკლებად პატრიარქალურ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ;


- რაც უფრო ნაკლებად აქვთ მასწავლებლებს პატრიარქალური შეხედულება ოჯახში ქალის როლთან დაკავშირებით, მით უფრო მაღალია მათი მზაობა შეტყობინებისადმი.

შეტყობინების წარმატებული პოლიტიკის არსებობისთვის აუცილებელია ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებით არსებული სოციალური ნორმებისა და შეხედულებების გათვალისწინება. თუ მასწავლებლებს მიაჩნიათ, რომ ბავშვის მიმართ ძალადობის ზოგიერთი ფორმა მისაღებია, ისინი არ შეატყობინებენ ინსტიტუტებს მსგავსი შემთხვევების შესახებ. ამ ქვეთავში წარმოდგენილია მასწავლებლების შეხედულებები და სოციალური ნორმები ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით და გაანალიზებულია, არის თუ არა ეს კავშირში შეტყობინებებთან. შემდეგ განხილულია ურთიერთკა-

ვშირი სოციალური ნორმებისა და დამოკიდებულებების და შედეგობრივ ცვლადებად გამოყენებულ კითხვებს შორის. ამავდროულად ექსპერიმენტული ზემოქმედების კონტროლიც ხდება.

რაც შეეხება ქალთა მიმართ პატრიარქალურ შეხედულებებს, მასწავლებლების უმეტესობა მხარს უჭერს თანასწორობას და არ ამართლებს ქალთა მიმართ ძალადობას. თუმცა, მნიშვნელოვან ნაწილს მაინც აქვს პატრიარქალური დამოკიდებულებები. მაგალითად, სამიდან ერთი მასწავლებელი ეთანხმება დებულებას, რომ „თუ ქალი ფიზიკურად არ ეწინააღმდეგება, ამას გაუპატიურებას ვერ უწოდებ“. მასწავლებლების უმრავლესობა (60%) ასევე ამბობს, რომ „ქალის ყველაზე მნიშვნელოვანი როლი არის ოჯახზე ზრუნვა“.


**დიაგრამა 13. სექსუალური ძალადობასთან და ოჯახში ქალის როლთან დაკავშირებით არსებული სოციალური ნორმები**



ზემოთ მოცემული კითხვებისგან აიგო ინდექსი იმის დასადგენად, თუ რომელ ჯგუფს აქვს შედარებით ნაკლებად და მეტად გამოხატული პატრიარქალური შეხედულებები. 36-ქულიან სკალაზე ინდექსის საშუალო ქულა იყო 25. დაბალი ქულა ნიშნავს მეტად პატრიარქალურ შეხედულებებს, ხოლო მაღალი ქულა - ნაკლებად პატრიარქალურ შეხედულებებს. ქალებსა და ინტერნეტის მომხმარებლებს ამ ინდექსზე მაღალი ქულა აქვთ, ხოლო რაც უფრო დიდი ხნის მუშაობის სტაჟი აქვს მასწავლებელს, მით უფრო ნაკლებია მისი ქულა. იმ სკოლების მასწავლებლებმა, სადაც შედარებით უკეთესი გარემოა, ასევე მაღალი ქულა არჩვენეს.


ინდივიდის ქულა ზემოთ მოყვანილ ინდექსზე არ უკავშირდება ოჯახში ძალადობის შემთხვევის შეტყობინებას, ან სახელითა და გვარით ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განცხადების ხელმოწერას. თუმცა, დაკავშირებულია ინდივიდის მზადყოფნასთან, შეატყობინოს ინსტიტუტებს ქალთა, ბავშვთა და მეზობლების მიმართ ძალადობის შემთხვევა. ქულა ასევე უკავშირდება ტრენინგის გავლით და-

**დიაგრამა 14. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი ქალის როლისა და სექსუალური ძალადობის მიმართ არსებულ დამოკიდებულებებზე**



ინტერესებას, ტრენინგში მონაწილეობის მიზნით საკონტაქტო ინფორმაციის გაზიარებას და ძალადობის წინააღმდეგ განცხადებაზე ხელმოწერის მზადყოფნას. თუ ინდივიდის ქულა ინდექსზე მაღალია, როგორც წესი, მას მაღალი თვითეფექტურობა აქვს, ნაკლებ ბარიერს ხედავს შეტყობინებისთვის და, ზოგადად, შეტყობინებისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს.

**დიაგრამა 15. თვითეფექტურობის კავშირი შეტყობინების შედეგებთან**



## 5.5. სოციალური ნორმები და ოჯახში ძალადობის შეტყობინების ბარიერები

### ძირითადი მიგნებები:

- ოჯახში ძალადობის შეტყობინების ბარიერებია: საზოგადოების აზრის მნიშვნელოვნება, მსხვერპლად ყოფნის აღიარებასთან დაკავშირებული სირცხვილი, სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობა და ზოგიერთი ფორმის ძალადობის ჩვეულებრივ მოვლენად აღქმა.

ფოკუს ჯგუფის მონაწილეებმა ასევე დაასახელეს ოჯახში შეტყობინებასთან დაკავშირებული რამდენიმე ბარიერი. ეს ბარიერები მოიცავს: საზოგადოების აზრის მნიშვნელოვნებას, მსხვერპლად ყოფნის აღიარებასთან დაკავშირებულ სირცხვილს, სოციალური მხარდაჭერის ნაკლებობას და ზოგიერთი ფორმის ძალადობის ჩვეულებრივ მოვლენად აღქმას.

სკოლის თანამშრომლების აზრით, განქორწინებასთან დაკავშირებით არსებული შეხედულება და ოჯახის შენარჩუნების აუცილებლობა ქალებისთვის შეტყობინების მნიშვნელოვანი ბარიერებია. როგორც მანდატურმა აღნიშნა, „საზოგადოების აზრი უფრო მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში, იტანენ ყველანაირ ძალადობას იქიდან გამომდინარე, რომ სხვამ არ თქვას არაფერი. კი ბატონო, მე ოჯახს ვერ დავანგრევ იმის გამო, რაღაცას, რაღაცის გამო ხალხი რას იტყვის“ (მანდატური, ქალი, ქუთაისი). ეს მიგნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში ბევრი ადამიანი ფიქრობს, და მასწავლებლებიც ამბობენ, რომ ქალმა არ უნდა მოითმინოს ძალადობა ოჯახის შენარჩუნების მოტივით (იხილეთ ზემოთ). ეს მიუთითებს, რომ ადამიანები სწორად ვერ აღიქვამენ მათ ირგვლივ არსებული ხალხის დამოკიდებულებებს. ეს არის იდეალური გარემოება მასწავლებლებისთვის სოციალურ ნორმირებაზე დაფუძნებული გზავნილების შესამუშავებლად.

ოჯახში ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის შეტყობინების ბარიერს წარმოადგენს ასევე ოჯახის წევრების და, განსაკუთრებით, მშობლების ნაკლები მხარდაჭერა. როგორც მანდატურმა აღნიშნა: „აი, მე ბევრჯერ მსმენია, რომ დედა ეუბნება, მოითმინე. სხვა ოჯახის წევრებისგანაც უნდა ჰქონდეს მხარდაჭერა“ (მანდატური, ქალი, ქუთაისი). უფრო მეტიც, მასწავლებლები ფიქრობენ, რომ ზოგიერთი ქალი არ მიმართავს ინსტიტუტებს, რადგან ჰგონია, რომ რაც მათ თავს ხდება, ნორმალურია. ძალადობის შემსწრეებაც პატივს სცემენ და ხშირად იზიარებენ ამავე ნორმებს, შესაბამისად, ისინიც თავს იკავებენ შეტყობინებისგან. როგორც ერთმა მასწავლებელმა თქვა:

„ფსიქოლოგიურად არის უკვე შეჩვეული ძალადობას, შესაძლებელია თავიდანვე ესე არის გაზრდილი, რომ ეს ყველაფერი მისაღებია, დავუშვათ, მამაჩემი დედაჩემს ურტყავდა და, აი, ქალი რო არის, იმიტომ უნდა მოითმინოს და აიტანოს. აღზრდაშიც არის, ტრადიციებში, ყველაფერში, ქალმა უნდა გააკეთოს სახლში ყველაფერი და ქალმა უნდა მოიკლას თავი ყველაფერში და ქმარი არ უნდა დაეხმაროს, ხო. ეს ჩვენი რეალობაა.“ (მასწავლებელი, ქალი, თელავი)

შემსწრეებისთვის, როგორებიც არიან მასწავლებლები ან მანდატურები, შეტყობინება სხვის საქმეში ჩარევად აღიქმება და, შესაბამისად, სოციალურად მიუღებელია. როგორც ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა: „მე ეხლა სხვის ოჯახში არ ჩავრეულვარ რა, [...] მართლმე ვერ მოვაგვარებ მაგ პრობლემას“ (მასწავლებელი, კაცი, კახეთი). თუმცა, ზემოთ მოცემული რაოდენობრივი მონაცემები არ მიუთითებს, რომ მასწავლებლებს ოჯახში ძალადობა პირად საქმედ მიაჩნიათ, რომელშიც არავინ უნდა ჩაერიოს. შესაბამისად, რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შედარება აჩვენებს, რომ საზოგადოებაში არსებული სოციალური ნორმები და ინდივიდების მიერ სხვების შეხედულებების აღქმა ერთმანეთს არ ემთხვევა. ეს მნიშვნელოვანია, რადგან აჩვენებს გზას, თუ როგორ შეიძლება, სოციალური ნორმირება გამოვიყენოთ შეტყობინებების გასაზრდელად.

## 5.6. შეუღლებულ შორის ძალადობისადმი და ოჯახში ძალადობის შეტყობინებისადმი დამოკიდებულება

### ძირითადი მიგნებები:


- მასწავლებლების დიდი ნაწილი ფიქრობს, რომ ქმრის მიერ ცოლის ცემა ზოგადად გამართლებული არ არის, მაგრამ მხოლოდ 14% ამბობს, რომ ქმრის მიერ ცოლის ცემა ნებისმიერ შემთხვევაში გაუმართლებელია.
- უფროსი ასაკის მასწავლებლები და სოფლებში მცხოვრები მასწავლებლები უფრო დასაშვებად მიიჩნევენ ქმრის მიერ ცოლის ცემას, ვიდრე ახალგაზრდა მასწავლებლები და ინტერნეტის რეგულარული მომხმარებლები.

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით მასწავლებლებში დამკვირდებული ნორმები და შეხედულებები შესაბამისობაშია მათ დამოკიდებულებასთან ზოგადად შეტყობინებების მიმართ და მათ მზაობასთან, ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ განცხადებას მოაწერონ ხელი.

რაც შეეხება კვლევაში გამოვლენილ შეხედულებებს ოჯახში ქალის როლთან და სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით, ადამიანები, ძირითადად, მიუღებლად მიიჩნევენ ქალთა მიმართ ფიზიკურ ძალადობას. გამოკითხვა ასევე მოიცავდა კითხვებს, თუ რა შემთხვევებში მიიჩნევენ რესპონდენტები გამართლებულად ან გაუმართლებლად ქმრის მიერ ცოლის ცემას ან მისთვის ხელის დარტყმას. შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებლებს, ზოგადად, გაუმართლებლად მიაჩნიათ ცოლის ცემა, თუმცა 20%-დან 25%-მდე მაინც ფიქრობს, რომ ზოგჯერ ცემა გამართლებულია, ან მთლად გაუმართლებელიც არ არის. უფრო მეტიც, მხოლოდ რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი ან მეოთხედი მიიჩნევს, რომ ცემა ყველა განხილულ სიტუაციაში გაუმართლებელია. მასწავლებლების მხოლოდ 14% აცხადებს, რომ ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, ცოლის ცემა გაუმართლებელია.

ნდენტები გამართლებულად ან გაუმართლებლად ქმრის მიერ ცოლის ცემას ან მისთვის ხელის დარტყმას. შედეგები აჩვენებს, რომ მასწავლებლებს, ზოგადად, გაუმართლებლად მიაჩნიათ ცოლის ცემა, თუმცა 20%-დან 25%-მდე მაინც ფიქრობს, რომ ზოგჯერ ცემა გამართლებულია, ან მთლად გაუმართლებელიც არ არის. უფრო მეტიც, მხოლოდ რესპონდენტთა დაახლოებით მესამედი ან მეოთხედი მიიჩნევს, რომ ცემა ყველა განხილულ სიტუაციაში გაუმართლებელია. მასწავლებლების მხოლოდ 14% აცხადებს, რომ ყველა ჩამოთვლილ შემთხვევაში, ცოლის ცემა გაუმართლებელია.


**დიაგრამა 16. ქმრის მიერ ცოლის ცემის დასაშვებობის შემთხვევები**



ზემოთ მოყვანილი მონაცემების საფუძველზე აიგო ინდექსი, რომელიც აფასებს, თუ რამდენად დასაშვებია ცოლის ცემა. საშუალო ქულა ინდექსზე არის 5.7. ინდექსის ანალიზი გვაჩვენებს, რომ უფროსი ასაკის მასწავლებლები და სოფლად მცხოვრე-


ბი მასწავლებლები უფრო მისაღებად მიიჩნევენ ცოლის ცემას, ახალგაზრდა მასწავლებლები და ინტერნეტის რეგულარული მომხმარებლები კი - ნაკლებად მისაღებად.

**დიაგრამა 17. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი ქმრის მიერ ცოლის ცემისადმი ხალხის დამოკიდებულებაზე**



ეს ინდექსი არ უკავშირდება მასწავლებლების მიერ შეტყობინების განხორციელებას, მათ მზადყოფნას, განაცხადონ ბავშვთა მიმართ ან მეზობლის ოჯახში ძალადობის შესახებ, მოაწირონ ხელი განცხადებას ძალადობის წინააღმდეგ და გასცენ საკონტაქტო მონაცემები ტრენინგში მონაწილეობის მიღების მიზნით. თუმცა, ის კავშირშია ძალადობის თემაზე ტრენინგებით დაინტერესებასთან, თვითეფექტურობასთან, შეტყობინების აღქმულ ბარიერებთან და შეტყობინების ინდექსისადმი დამოკიდებულებებთან.

**დიაგრამა 18. ტრენინგებით დაინტერესების ალბათობა ქმრის მიერ ცოლის ცემის დასაშვებობის ინდექსის ქულის მიხედვით**




## 5.7. ბავშვთა დასჯის მიმართ არსებული დამოკიდებულებები და კავშირი ოჯახში ძალადობის შეტყობინებასთან

### ძირითადი მიგნებები:

- ქალთა მიმართ ძალადობისგან განსხვავებით, ბავშვთა მიმართ ძალადობისადმი მასწავლებლებს ნაკლები მიმდებლობა აქვთ.
- მასწავლებლების დამოკიდებულება ოჯახში ძალადობისადმი და ბავშვის დასჯისადმი, ზოგადად, ადეკვატურია; თუმცა თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ მასწავლებლებს კარგად არ ესმით ფსიქოლოგიური ძალადობა და მათთვის ის საკმაოდ მისაღებია. ეს განსაკუთრებით ბავშვებზე სიტყვიერ ძალადობას ეხება.

ქალთა მიმართ ძალადობისგან განსხვავებით, ბავშვთა მიმართ ძალადობა მასწავლებლებისთვის ნაკლებად მისაღებია. რესპონდენტებს ჰკითხეს, მიზანშეწონილი იყო თუ არა ბავშვების სხვადასხვა ფორმით დასჯა, მათ შორის, ძალადობრივი ან არაძალადობრივი ფორმებით. მთლიანობაში, დამოკიდებულებები დასჯის არაძალადობრივი მეთოდებისკენ იხრება.


**დიაგრამა 19. შეხედულებები ბავშვების დასჯისადმი**



მასწავლებლებისათვის, ზოგადად, მიუღებელია დასჯის უარყოფითი მეთოდები, თუმცა, თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ ფსიქოლოგიური ძალადობისადმი მიმდებლობა მაღალია, განსაკუთრებით როცა საქმე ბავშვთა მიმართ ვერბალურ ძალადობას ეხება. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა თქვა: „ზოგი ფიქრობს, რომ არაფერი განსაკუთრებული არ ხდება. რა მოხდა, თუ ძალადობაა? „ნაკლებად მძიმე“ ძალადობა მისაღებია [ზოგისთვის]“ (ექსპერტთან ინტერვიუ). მასწავლებლები განასხვავებენ ძალადობის ფორმებს. მათი აზრით, ზოგიერთის შეტყობინება საჭიროა, ზოგიერთის კი - არა. ზოგადად, მიაჩნიათ, რომ ფსიქოლოგიურ და სიტყვიერ ძალადობას შეტყობინება არ სჭირდება. ფიზიკური ძალადობაც კი, თუ ბავშვს რამე სერიოზული დაზიანება არ აღენიშნება, შეტყობინების ღირსად არ მიიჩნევა. როგორც მასწავლებელმა თქვა: „ნებისმიერი ხმაანეული საუბარი ბავშვთან, თუნდაც მშობლის ძალადობაა, მაგრამ ყველაფერზე ორგანოს ვერ მივმართავთ“ (მასწავლებელი, კაცი, თბილისი). ზოგიერთმა მანდატურმა ასევე აღნიშნა, რომ მხოლოდ ფიზიკური ძალადობის შეტყობინება უნდა ხდებოდეს და სიტყვიერ შეურაცხყოფაში ისინი არ ერევიან.

**ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა, „ყველა დედა უტყაპუნებს შვილს“ (მანდატური, ქალი, თბილისი). სხვამ თქვა, „ეხლა ეგრე ერთი მოტყაპუნების გამო ვერ დავარქმევ ბავშვს ძალადობის მსხვერპლს“ (მანდატური, კაცი, თბილისი).**

**დიაგრამა 20. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი ბავშვების დასჯის დასაშვებობაზე**




ზემოთ მოცემულთან დაკავშირებით მანდატურებმა ისაუბრეს მასწავლებლების მიერ ჩადენილ ვერბალურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაზე და აღნიშნეს, რომ ეს მასწავლებლებს შორის ნორმად მიიჩნევა. ამას ირიბად მასწავლებლებიც ადასტურებენ ფოკუს ჯგუფების განხილვებში, როცა ამბობენ, რომ მათი „უფლებები“ ძალიან შეზღუდული გახდა: „იმის ნებას არ გვაძლევენ, რომ ხმამაღლა ვუთხრათ რამე მოსწავლეს“ (მასწავლებელი, კაცი, კახეთი). შეიძლება ეს ხსნიდეს, თუ რატომ აქვთ შეტყობინებისადმი ნაკლები მზობა მასწავლებლებს, რომელთა აზრითაც, დასჯა მიზანშეწონილია.

ზემოთ მოცემული შეკითხვებისგან, დასჯის სხვადასხვა ფორმის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, აიგო ინდექსი 22-ქულიან სკალაზე. 22 ქულა ნიშნავდა, რომ დასჯის ნებისმიერი პრობლემური მეთოდი მიუღებელია და ყველა არაპრობლემური მეთოდი - მისაღები. საშუალო ქულა იყო 18. ინტერნეტის რეგულარული მომხმარებლები და იმ სკოლების მასწავლებლები, სადაც უკეთესი გარემოა, ნაკლებად მისაღებად მიიჩნევენ დასჯის პრობლემურ მეთოდებს მაშინ, როცა მასწავლებლები, რომლებსაც გავლილი აქვთ ტრენინგები ოჯახში ძალადობის საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ჩანს, მცირედით უფრო მისაღებად მიიჩნევენ დასჯის პრობლემურ მეთოდებს.



დასჯის სკალა ასევე კავშირშია: ინდივიდის მზადყოფნასთან, განაცხადოს ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ, ალბათობასთან, რომ მას არასდროს გაუკეთებია შეტყობინება, ძალადობის წინააღმდეგ განცხადების ხელმონერასთან, ძალადობის წინააღმდეგ განცხადებაზე საკუთარი სახელის დაფიქსირებასთან, ტრენინგებში მონაწილეობასთან დაკავშირებით საკონტაქტო მონაცემების გაზიარებასთან, შეტყობინებებთან მიმართებით თვითფექტურობასთან, შეტყობინების მათ მიერ აღქმულ ბარიერებთან და შეტყობინების მიმართ დამოკიდებულების ინდექსთან.

**დიაგრამა 21. საექვო ძალადობის შეტყობინებლობის ალბათობა დასჯის დასაშვებობის სკალაზე**



ზემოთ მოყვანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ზოგადად მასწავლებლებისათვის ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობა მიუღებელია, მაგრამ ქალთა მიმართ ძალადობას უფრო დასაშვებად მიიჩნევენ, ვიდრე ბავშვთა მიმართ. მართალია, მათთვის ზოგადად დასჯის ძალადობრივი ფორმები მიუღებელია, მაგრამ ზოგიერთი ტიპის „ნაკლებად მძიმე“ ფსიქოლოგიური ან ფიზიკური ძალადობა მისაღებია. მასწავლებლების ეს ნორმები და მათი დამოკიდებულებები ოჯახში ძალადობის მიმართ კავშირშია მათ დამოკიდებულებასთან შეტყობინებებისადმი; ასევე საკონტაქტო მონაცემების გაზიარებასთან და განცხადებაზე ხელის მოწერასთან.

## 5.8. ცნობიერების დონე

### ძირითადი მიგნებები:

- მასწავლებლების 86-87% ბავშვთა მიმართ ძალადობის გამოკითხვაში მოცემულ ყველა ფორმას იცნობს;
- მართალია მასწავლებლები და პოლიცია, ზოგადად, ერკვევა ძალადობის ნიშნებსა და ფორმებში, მაგრამ თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ მათ ამ საკითხების სიღრმისეული ცოდნა არ აქვთ;
- მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია ძალადობის ცხელი ხაზისა და არსებული თავშესაფრების შესახებ, მაგრამ მხოლოდ მცირე ნაწილმა (37%) იცის კრიზისული ცენტრის შესახებ;
- ის მასწავლებლები, რომლებსაც ინფორმაცია აქვთ არსებული მომსახურებების შესახებ, უფრო გამოთქვამენ მზადყოფნას, შეატყობინონ ინსტიტუტებს ბავშვთა მიმართ ან მეზობლის ოჯახში განხორციელებული ძალადობის შესახებ, აქვთ უფრო მაღალი თვითფექტურობა და შეტყობინების ნაკლებ ბარიერებს ხედავენ;
- მასწავლებლების 80%-მა იცის, რომ ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ უნდა განაცხადოს;
- რაც უფრო უკეთ ერკვევიან მასწავლებლები არსებულ კანონმდებლობაში, მით მეტ მზადყოფნას გამოხატავენ ბავშვთა და მეზობელთა მიმართ ძალადობის შეტყობინების განხორციელების მიმართ.


ძალადობის შეტყობინების საწინააღმდეგოდ მოქმედებს როგორც არსებული სოციალური ნორმები და დამოკიდებულებები, ისევე ცნობიერების დონე ზოგადად ოჯახში ძალადობის შესახებ. თუ მასწავლებელმა არ იცის, რა არის ბავშვის მიმართ ძალადობა, ის არც განაცხადებს მსგავსი შემთხვევის შესახებ. ამასთან, თუ მასწავლებელი ძალადობის ნიშნების ამოცნობაში დარწმუნებული არ არის, შეიძლება, ნაკლები თვითდაჯერებულობის გამო არ განაცხადოს ამის შესახებ. უფრო მნიშვნელოვანი კი ის ფაქტია, რომ თუ მასწავლებლებმა არ იციან, როგორ განახორციელონ შეტყობინება, განცხადებისგან თავს შეიკავებენ. მოცემული ნაწილი იკვლევს ამ დაშვებებს და ზომავს კავშირს ანგარიშის პირველ ნაწილში აღწერილ ქცევებსა და დამოკიდებულებებს და ბავშვთა მიმართ ძალადობის, ძალადობის ნიშნების და ამ საკითხზე არსებული პოლიტიკის შესახებ ცნობიერების დონეს შორის.

**ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმის შესახებ არსებული ცნობიერების დონე**

მასწავლებლების უმეტესობა იცნობს ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმას. მასწავლებლების 86-87% ცნობს კვლევაში მოცემული ძალადობის ყველა ფორმას. მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლები კარგად ერკვევიან ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმაში, თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ ისინი განასხვავებენ ძალადობის მისაღებ და მიუღებელ ფორმებს რაც, შესაბამისად, კავშირშია ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან. სექსუალური (მიჩინევა, როგორც მძიმე) და ფიზიკური ძალადობა ბავშვებისადმი ძალადობის იმ სახეობადაა მიჩნეული, რომელსაც დაუყოვნებელი რეაგირება სჭირდება. სექსუალურ ძალადობასთან დაკავშირებით, მასწავლებლები დარწმუნებულები არიან, რომ უნდა დაელაპარაკონ დირექტორს, ან შეატყობინონ მანდატურს, რადგან ძალადობის ეს სახე უპირობოდ კრიმინალურ დანაშაულად მიიჩნევა. ერთ-ერთმა მასწავლებელ-

მა აღნიშნა: „სექსუალური ძალადობა არასრულწლოვანზე უკვე დანაშაულია და ყველას გვაქვს უფლება, დანაშაულს როგორც საჭიროა [ისე მოვიქცეთ]...“ (მასწავლებელი, ქალი, თბილისი). სხვა მასწავლებელმა თქვა, რომ დაელაპარაკებოდა „დირექციას და მანდატურს და აუცილებლად, თუ, ვთქვამთ, იმ ოჯახურ ძალადობაზე შეიძლება, რაც ცნობიერად კიდევ მშობელი დაიბარო, დაელაპარაკო, ეს უკვე, სექსუალური ძალადობა პირდაპირ ზღვარს გადადის და არ ვიცი, ამაზე უკვე ვერავინ ველარ დახუჭავს თვლას და აუცილებლად რეაგირებაა საჭირო“ (მასწავლებელი, ქალი, თელავი). ამ ციტატებიდან ირკვევა, რომ კრიმინალურ დანაშაულად მხოლოდ სექსუალური ძალადობა მიიჩნევა და ამ შემთხვევაში შეტყობინების მორალური და კანონიერი ვალდებულება გათვითცნობიერებულია. თუმცა, მაინც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, აქვთ თუ არა მასწავლებლებს სექსუალური ძალადობის განსხვავებული ფორმების შესახებ ინფორმაცია და შეუძლიათ თუ არა მათი ნიშნების გარჩევა.


**დიაგრამა 22. ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმების შესახებ ცნობიერების დონე**



საშუალოდ, მასწავლებლები ძალადობის 6-დან 5.2 ფორმას ცნობენ. ინტერნეტის რეკულარული მომხმარებლები უფრო მეტ ფორმას ცნობენ. რო-


გორც ჩანს, დამრიგებლები და უფროსი ასაკის მასწავლებლები უფრო ნაკლებად ცნობენ ბავშვთა მიმართ ძალადობის ზემოთ მოცემულ ფორმებს.

**დიაგრამა 23. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი ბავშვთა მიმართ ძალადობის სხვადასხვა ფორმაზე**



მასწავლებლები, რომლებიც ბავშვთა მიმართ ძალადობის ბევრ ფორმას იცნობენ, უფრო მეტად გამოხატავენ შეტყობინებისადმი მზაობას. ისინი ასევე მზად არიან, განაცხადონ მეზობლის ოჯახში განხორციელებული ძალადობის შესახებ, ხელი მოაწერონ განცხადებას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ და ხელი მოაწერონ მოცემულ განცხადებას საკუთარი სახელის მითითებით. ეს მასწავლებლები, როგორც ჩანს, დაინტერესებულნი არიან ამ საკითხების შესახებ ტრენინგით და გასცემენ საკონტაქტო ინფორმაციას ტრენინგებში მონაწილეობის მიზნით. ისინი შეტყობინების ნაკლებ ბარიერებს აღიქვამენ და ზოგადად შეტყობინებისადმი უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვთ.

**დიაგრამა 24. ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინების მზაობა ბავშვის მიმართ ძალადობის ფორმების შესახებ ცნობიერების დონის მიხედვით**



**5.9. ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ნიშნების შესახებ ცნობიერების დონე**

**ძირითადი მიგნებები:**

- რაც უფრო მეტად იცნობენ მასწავლებლები ძალადობის ნიშნებსა და ფორმებს, მით უფრო მეტად არიან ისინი მიდრეკილი ოჯახში ძალადობის შეტყობინების განხორციელებისადმი;
- მასწავლებლები, რომლებიც რეგულარულად იყენებენ ინტერნეტს და რომლებიც უკეთესი გარემოს მქონე სკოლებში მუშაობენ, უფრო მეტად ერკვევიან ზემოთ მოცემულ ნიშნებში. საშუალოდ, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო

საგნების მასწავლებლები, დამრიგებლები და საშუალო სკოლის მასწავლებლები ნაკლებად ერკვევიან ძალადობის ნიშნებში.

ზოგადად, მასწავლებლები ერკვევიან ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის იმ ნიშნებში, რომლის შესახებაც კვლევაში შეკითხვები დაუსვეს. თუმცა, იკვეთება, რომ, როგორც ჩანს, მნიშვნელოვანმა ნაწილმა ზოგიერთი ნიშნის შესახებ არ იცის. მასწავლებლები ძირითადად იცნობენ ისეთ ნიშნებს, როგორიცაა: სისხლჩაქცევები, ნაკანრები, მოტეხილობა, შეშუპება, მაგრამ ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ბავშვის ცუდი ქცევა ასევე შეიძლება, ძალადობაზე მიუთითებდეს.

დიაგრამა 25. ბავშვის მიმართ ძალადობის ნიშნების შესახებ ცნობიერების დონე



თვისებრივი მონაცემებიც იმავე შედეგებზე მიუთითებს. მასწავლებლების თქმით, ბავშვები, რომლებიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლები არიან, სკოლაში ხშირად ავლენენ ნიშნებს, რომელთა ამოცნობაც ადვილია. ეს ეხება როგორც სხვების მიმართ განხორციელებულ აგრესიულ ქცევას, ისე თავდაცვით რეაქციებს (მაგ. თავზე ხელის წაფარება), როცა მასწავლებელი უახლოვდება ან უნდა, რომ ჩაეხუტოს ბავშვებს. ასეთივე ნიშანია ტირილი და შიში, რომ დაისჯებიან, თუ რამეს არასწორად გააკეთებენ. მასწავლებელმა აღნიშნა: „[ოჯახში ძალადობას] ძალიან დიდი ზეგავლენა აქვს, ჩემი აზრით, ბავშვებზე იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში, ბავშვები ხდებიან ჩაკეტილები, ემოციურად გაუნონასწორებლები, კონტაქტში ნაკლებად შემოდიან ბავშვებთან, მეგობრებთან არ თამაშობენ, არ ყავთ საერთოდ მეგობრები, ჩემი აზრით, ძალიან ხშირად იგივე აგრესიას გამოხატავენ თანატოლების მიმართ, რასაც ოჯახში თვითონ იღებენ, ასე რომ ვთქვათ... იკითხება ბავშვებში ეს ყველაფერი“

(მასწავლებელი, ქალი, თბილისი). მიუხედავად იმისა, რომ მასწავლებლებმა ბევრი შემთხვევა გაიხსენეს, როდესაც ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის ნიშნები შესამჩნევი იყო, არცერთს არ ჰქონდა შეტყობინება განხორციელებული. მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ოჯახის წევრებმა შეატყობინეს ძალადობის შესახებ ან პირადად შეესწრნენ მსგავს ფაქტს, მასწავლებლები დაელაპარაკნენ მოძალადეს და შეეცადნენ აეხსნათ, რომ ასეთი მეთოდები მიუღებელია.


მასწავლებლები უფრო ყურადღებით ეკიდებიან დიდი ხნის განმავლობაში ბავშვის მიერ სკოლის გაცდენის საკითხს და იციან, რომ ასეთი შემთხვევები სკოლის დირექტორს ან მანდატურს უნდა შეატყობინონ. მანდატურები ამბობენ, რომ ისინი ადვილად არჩევენ ფიზიკური ძალადობის ნიშნებს, მაგრამ ფსიქოლოგიური ძალადობის შემთხვევებში მასწავლებლებისგან მოვლიან ინფორმაციის მიღებას. ეს ბუნებრივიცაა იმის გათვალისწინებით, რომ მანდატურებს ბავშვებზე დაკვირვებისთვის

სკოლებში დიდი დრო არ აქვთ გამოყოფილი. როგორც მანდატურმა აღნიშნა:

„აი, ახლა ასე გარეგნულად ვინმეს შევხედოთ და ფსიქოლოგიური ძალადობის მსხვერპლი-ალ ასე გავიგოთ - არა. თვალი რომ აქვს და-ლურჯებული, სახეზე აქვს რაღაც. ამას ყოველ-თვის, რეაგირების გარეშე არასდროს ვტოვებთ“ (მანდატური, ქალი, ქუთაისი).

მასწავლებლები, რომლებიც რეგულარულად იყენებენ ინტერნეტს და უკეთესი გარემოს მქონე სკოლებში ასწავლიან, ზემოთ მოცემულ ნიშნებშიც უკეთ ერკვევიან. როგორც ჩანს, ძალადობის ნიშნებში უკეთ ერკვევიან ის მასწავლებლებიც, რომლებსაც ტრენინგები აქვთ გავლილი. საშუალოდ, მათემატიკის და საბუნებისმეტყველო საგნების მასწავლებლები, დამრიგებლები და საშუალო სკოლის მასწავლებლები ნაკლებად ერკვევიან მსგავს საკითხებში.

**დიაგრამა 26. სხვადასხვა ფაქტორის ზღვრული ეფექტი მასწავლებლების მიერ ბავშვებზე ძალადობის ფორმების შესახებ ცნობიერების დონეზე**



ბავშვის მიმართ ძალადობის ნიშნების შესახებ ცნობიერების დონე კავშირშია ბავშვის მიმართ და მეზობლის ოჯახში განხორციელებული ძალადობის შეტყობინებისადმი მზაობასთან, განცხადებისთვის ხელის მონერისადმი მზაობასთან, თვითეფექტურობასთან, აღქმული ბარიერების რაოდენობასთან

და შეტყობინების ინდექსის მიმართ დამოკიდებულებასთან. როგორც ჩანს, ეს ასევე კავშირშია ტრენინგებით დაინტერესებულთან. თუმცა, რეალურად შეტყობინების განხორციელებასთან კავშირში არ არის.

**დიაგრამა 27. ბავშვის მიმართ ძალადობის შეტყობინებისადმი მზაობა ძალადობის ფორმების შესახებ ცნობიერების დონის მიხედვით**



## 5.10. ცნობიერების დონე არსებული პოლიტიკის შესახებ

### ძირითადი მიგნებები:


- მასწავლებლებს ცხელი ხაზისა და თავშესაფრების შესახებ ინფორმაცია აქვთ. თუმცა, მხოლოდ მცირე ნაწილმა (37%) იცის კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ;
- ის მასწავლებლები, რომლებსაც ინფორმაცია აქვთ არსებული მომსახურებების შესახებ, უფრო გამოთქვამენ მზადყოფნას, შეატყობინონ ინსტიტუტებს ბავშვთა ან მეზობელთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შესახებ, აქვთ უფრო მაღალი თვითფექტურობა და შეტყობინების ნაკლებ ბარიერებს ხედავენ;
- მიუხედავად იმისა, რომ არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმაციის ქონა კავშირშია შეტყობინებისადმი მზაობასთან, მასწავლებლები მომსახურებების ხარისხის შესახებ გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამენ. განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მოძალადეზე ქალების ეკონომიკურ დამოკიდებულებას ეხება;
- მასწავლებლების 80%-მა იცის, რომ ისინი ვალდებული არიან, განახორციელონ ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინება;
- რაც უფრო უკეთ ერკვევიან მასწავლებლები არსებულ კანონმდებლობაში, მით უფრო მაღალია მათი მზაობა, განახორციელონ ბავშვთა ან

მეზობელთა მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინება;

- მასწავლებლები, ზოგადად, ერკვევიან ძალადობის ნიშნებში და არსებულ პოლიტიკაში, თუმცა, თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ მათ ამ საკითხების სიღრმისეული ცოდნა არ გააჩნიათ.


რაც შეეხება მომსახურებებს, მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია ცხელი ხაზისა და თავშესაფრების შესახებ, თუმცა, მხოლოდ მცირე ნაწილმა (37%) იცის კრიზისული ცენტრების არსებობის შესახებ. საშუალოდ, მასწავლებლები ორ ძირითად მომსახურებას ასახელებენ. ინტერნეტის რეგულარული მომხმარებლები და ის მასწავლებლები, რომლებსაც ტრენინგები აქვთ გავლილი, უფრო მეტად ფლობენ ინფორმაციას ცხელი ხაზის შესახებ. როგორც ჩანს, სოფლად მცხოვრები მასწავლებლებიც უმეტესად ცხელი ხაზის არსებობის შესახებ არიან ინფორმირებული. უფროსი ასაკის მასწავლებლები, ქალები, დაოჯახებული ადამიანები, ინტერნეტის მომხმარებლები, სოციალურ მეცნიერებათა მასწავლებლები და ოჯახში ძალადობის მსხვერპლები უფრო მეტად ფლობენ ინფორმაციას თავშესაფრების შესახებ. დანყებითი სკოლის მასწავლებლები, ახალგაზრდა მასწავლებლები და მასწავლებლები, რომლებსაც ოჯახში ძალადობის შესახებ ტრენინგები გავლილი არ აქვთ, ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას კრიზისული ცენტრების შესახებ.

დიაგრამა 28. ძალადობის მსხვერპლებისათვის შეთავაზებული მომსახურებების შესახებ ცნობიერების დონე



ის მასწავლებლები, რომლებსაც არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმაცია აქვთ, უფრო მეტად გამოთქვამენ მზადყოფნას, მოახდინონ ბავშვთა ან მებობელთა მიმართ განხორციელებული ძალადობის შეტყობინება. შეტყობინებასთან მიმართებით მათ უფრო მაღალი თვითეფექტურობა აქვთ და შეტყობინების ნაკლებ ბარიერებს ხედავენ. ისინი, როგორც ჩანს, უფრო დიდ მზაობას გამოხატავენ, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში.

**დიაგრამა 29. შეტყობინების ბარიერები ხელმისაწვდომი მომსახურებების შესახებ ცნობიერების დონის მიხედვით**



არსებული მომსახურებების შესახებ ინფორმაციის ქონა კავშირშია შეტყობინებისადმი მზაობასთან, თუმცა, მასწავლებლები მომსახურებების ხარისხის შესახებ გარკვეულ ეჭვებს გამოთქვამენ; განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე მოძალადეზე ქალების ეკონომიკურ დამოკიდებულებას ეხება. როგორც ერთ-ერთმა მასწავლებელმა აღნიშნა: „დაცულობა არა აქვს, ის რო დარეკავს, დაუშვათ, ამხელს და გააკეთებს, ხო, იმის შემდეგ ის ისევ ან ოჯახში რჩება, ან ოჯახიდან დროებით თუ გამოიყვანეს, ისევ იქ არის მისაბრუნებელი და უარეს დღეში“ (მასწავლებელი, ქალი, თელავი). ამ პრობლემის არსებობა ექსპერტმაც დაადასტურა და აღნიშნა, რომ არსებული თავშესაფრები დროებითი და ძნელად ხელმისაწვდომია (ექსპერტთან ინტერვიუ). ეს ყველაფერი ხდება იმის მიუხედავად, რომ, ბოლო დროს, თავშესაფრები უფრო ხელმისაწვდომი გახდა. ეს თავშესაფრებში მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ ინფორმაციის არქონაზე მიუთითებს.


ზოგიერთი ექსპერტის აზრით, არსებული დახმარების მომსახურებების შესახებ ინფორმაციის არქონა (განსაკუთრებით მსხვერპლთა ეკონომიკური და ფსიქოლოგიური დახმარება) კანონებს ძალადობის მსხვერპლებისთვის ნაკლებად ეფექტურს

ხდის. თვისებრივი მონაცემების მიხედვით, ფინანსური დახმარების მომსახურებების არარსებობა შეტყობინებისას მასწავლებლების მიერ ხაზგასმული ბარიერი იყო. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა:

„*მოძალადეები კანონის შესაბამისად ისჯებიან, მაგრამ ამის შემდეგ მათი ოჯახის კეთილდღეობა, სოციალური კუთხით, ზარალდება და ჩვენთან, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, არ გვაქვს იმის ფუფუნება, რომ ყველა მსხვერპლს დავეხმაროთ ინტეგრაციაში, დამოუკიდებლად ცხოვრებაში და ა.შ.*“ (ექსპერტთან ინტერვიუ).

მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია ოჯახში ძალადობის და მის შეტყობინებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესახებ. მასწავლებლების უმრავლესობამ იცის, რომ ოჯახში ძალადობა კანონით ისჯება. მასწავლებლების 80%-მა იცის, რომ მათ ვვალეხათ ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინება. თუმცა, ვალდებულების მიუხედავად, თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ მასწავლებლებმა არ იციან, როგორ უნდა განახორციელონ შეტყობინება. სხვა თანაბარ პირობებში, დამრიგებელი მასწავლებლები სხვა მასწავლებლებთან შედარებით ოდნავ ნაკლებად ფლობენ ინფორმაციას კანონმდებლობის შესახებ. გამოკითხვის ფარგლებში, სხვა არცერთი შემონმებული ფაქტორი მნიშვნელოვან კავშირებს არ აჩვენებს.


**დიაგრამა 30. მასწავლებლების მიერ კანონმდებლობის ცოდნა**



რაც უფრო უკეთ ერკვევიან მასწავლებლები კანონმდებლობაში, მით უფრო მეტად გამოხატავენ მზობას, განახორციელონ ბავშვთა ან მეზობელთა მიმართ ძალადობის შეტყობინება; ხელი მოაწერონ ძალადობის წინააღმდეგ განცხადებას, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგებში და ამისათვის გააზიარონ საკუთარი საკონტაქტო მონაცემები. ისინი ასევე შეტყობინების ნაკლებ ბარიერებს ხედავენ და ზოგადად, შეტყობინებისადმი უფრო დადებითი დამოკიდებულება აქვთ. ასევე, როგორც ჩანს, ახასიათებთ შეტყობინებასთან მიმართებით მაღალი თვითფექტურობა.

მასწავლებლები ამბობენ, რომ ფლობენ ინფორმაციას არსებული პოლიტიკის შესახებ, თუმცა, თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ მათ ამ პოლიტიკის სიღრმისეული ცოდნა არ აქვთ. მაგალითად, მასწავლებლებს უჭირთ, გაიგონ, რატომაა საჭირო შეტყობინების განხორციელება ოჯახში ძალადობის ისეთი ფორმების შესახებაც, რომლებიც ბავშვებთან პირდაპირ კავშირში არ არის. „არ იციან, რომ მართო ბავშვზე ძალადობა კი არა, ოჯახში ძალადობაზეც აქვთ ვალდებულება. არ იციან, მიუხედავად იმისა, ბავშვი არის თუ არა მსხვერპლი, უკვე უნდა ატყობინებდნენ. მე კიდევ ვეუბნები, რომ

**დიაგრამა 31. მასწავლებლების მზადყოფნა ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინებისადმი კანონმდებლობის შესახებ ცნობიერების დონის მიხედვით**



ბავშვი ყოველთვის არის მსხვერპლი და ეგ მეორე შეტყობინებაა“ (ექსპერტთან ინტერვიუ). ზოგიერთი მასწავლებელი, განსაკუთრებით სოფლებში, რომელსაც არ სმენია მიმართვის პროცედურების შესახებ, ამბობს, რომ ერთადერთი რამ, რაც მათ ბავშვთა მიმართ ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით უნდა გააკეთონ, არის ის, რომ მივიდნენ და დაელაპარაკონ მოძალადეს. თბილისშიც კი ზოგიერთი მასწავლებელი ფიქრობს, რომ თუ შეიტყობენ ბავშვის მიმართ ძალადობის შესახებ, არასამთავრობო ორგანიზაციაში უნდა დარეკონ. ეს მიუთითებს, რომ მასწავლებლებს მიმართვის

პროცედურების შესახებ ინფორმაცია არ აქვთ. პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა გარკვეულწილად შეიძლება სკოლის შიდა რეგულაციების არარსებობითაც აიხსნას. ეს რეგულაცია ყველა იმ დაწესებულებაში უნდა არსებობდეს, რომელიც რეფერირების პროცედურებში მონაწილეობს, მაგრამ, ექსპერტების თქმით, მსგავსი რეგულაცია, ჯერჯერობით, მხოლოდ რამდენიმე დაწესებულებას აქვს შემუშავებული. ცოდნის ნაკლებობა იმითაც შეიძლება აიხსნას, რომ მიუხედავად მასწავლებლებისთვის კანონით



დაკისრებული კონკრეტული პასუხისმგებლობისა, ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებასთან დაკავშირებით კანონის აღსრულება სრულად ვერ ხორციელდება.

ზოგადად, მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ აქვთ ინფორმაცია ძალადობის ნიშნებზე და არსებულ პოლიტიკაზე, ზოგიერთი მომსახურების ხელმისაწვდომობის ჩათვლით; თუმცა, თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ მათი ცოდნა სიღრმისეული არ არის. შეტყობინების საწინააღმდეგოდ მოქმედებს ქალთა ეკონომიკური მხარდაჭერის მომსახურებების ნაკლებობა. ცნობიერების ნაკლებობა გარკვეულწილად დაკავშირებულია იმასთანაც, რომ რეფერირების პროცედურების სახელმძღვანელო სრულად შემუშავებული არ არის, ან, ყოველ შემთხვევაში, მასწავლებლებმა არ იციან ამ სახელმძღვანელოს შესახებ. პოლიტიკისა და ბავშვთა მიმართ ძალადობის ნიშნების შესახებ ინფორმაციის ქონა ისევე, როგორც ძალადობის ფორმების ცოდნა, დაკავშირებულია ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინებისადმი დადებით დამოკიდებულებასთან. და მაინც, მასწავლებლებს მიჩნიათ, რომ ბავშვთა მიმართ განხორციელებული ძალადობის ზოგიერთი ფორმა შეტყობინებას არ საჭიროებს.

### 5.11. სოციალური ნორმირება და ინფორმაციის გავლენა შეტყობინებაზე

#### ძირითადი მიგნებები:


- სოციალური ნორმირების ზემოქმედება ზრდის მასწავლებლების მზადყოფნას, ოჯახში ძალადობის შესახებ ტრენინგებში მონაწილეობის მისაღებად გააზიარონ საკუთარი საკონტაქტო ინფორმაცია;
- სხვადასხვა ზემოქმედების გავლენა, საშუალოდ, მნიშვნელოვან სტატისტიკურ განსხვავებას არ ახდენს შედეგებზე, ტრენინგში მონაწილეობის მიზნით საკონტაქტო მონაცემების გაზიარების მაჩვენებლის გარდა;
- მიუხედავად იმისა, რომ ზემოქმედებებს ინდიკატორების უმეტესობაზე დიდი გავლენა არ აქვს, ეს ზემოქმედებები მასწავლებელთა სხვადასხვა ჯგუფზე სხვადასხვა კუთხით მოქმედებს;
- კაცები, როგორც ჩანს, იურიდიული ინფორმაციის შემცველ ზემოქმედებაზე რეაგირებენ, ქალები კი - არა.

კვლევა ამონიშნავდა, ზრდის თუ არა მასწავლებლების მიერ განხორციელებული შეტყობინებების რაოდენობას სოციალური ნორმირება, ინფორმაციის ქონა შეტყობინების კანონიერ ვალდებულებასთან დაკავშირებით და ამ ორი კომპონენტის კომბინაცია. მასწავლებლების მიერ შეტყობინების განხორციელების ალბათობის ზრდა იზომებოდა ისეთ შედეგებთან მიმართებით, როგორებიცაა მასწავლებლების დამოკიდებულება შეტყობინებისადმი, ტრენინგში მონაწილეობის მზადყოფნა, ტრენინგში მონაწილეობის მისაღებად პერსონალური ინფორმაციის გაზიარება და განცხადების (პირობის) ხელმოწერა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ.

ექსპერიმენტის შედეგები მიუთითებს, რომ არცერთ ზემოქმედებას არ აქვს მნიშვნელოვანი გავლენა მასწავლებლების დამოკიდებულებაზე შეტყობინებისადმი. ქვემოთ მოცემული დიაგრამა აჩვენებს ინდივიდების პასუხებს მასწავლებლების დამოკიდებულებების შესახებ შეტყობინების სკალის მიმართ. როგორც ჩანს, მასწავლებლებს ზოგადად შეტყობინებისადმი უფრო პოზიტიური დამოკიდებულება აქვთ, ვიდრე უარყოფითი.

დიაგრამა 32. შეტყობინების ინდექსისადმი დამოკიდებულება ექსპერიმენტული ჯგუფების მიხედვით


შეტყობინების ინდექსის დამოკიდებულება ექსპერიმენტული ჯგუფების მიხედვით (%)



ამის მსგავსად, ზემოქმედებებს არ ჰქონდა გავლენა რესპონდენტის ინტერესზე ტრენინგში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ განცხადების ხელმძღვანელის სურვილსა და ამ განცხადებაზე სახელისა და გვარის დაფიქსირებაზე. ამ ზოგადი ტენდენციიდან ერთი გამონაკლისი ეხებოდა პერსონალური ინ-

ფორმაციის გაზიარებას ტრენინგებში მონაწილეობის მიზნით. ეს კითხვა მხოლოდ ტრენინგებით დაინტერესებულ რესპონდენტებს დაუსვეს. რესპონდენტების ამ ჯგუფში სოციალური ნორმირების ზემოქმედებამ საკონტაქტო ინფორმაციის მიწოდება 10 პროცენტული მაჩვენებლით გაზარდა.

**დიაგრამა 33. შედეგები ექსპერიმენტული ჯგუფების მიხედვით**



**5.12. როგორ გემოქმედებს აქვს ეფექტი და როგორ ჯგუფებზე?**


სტატისტიკური ანალიზი ჩატარდა იმის დასადგენად, აქვს თუ არა რომელიმე ზემოქმედებას გავლენა ამ ანალიზში განხილულ რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე. შედეგები სხვადასხვა ჯგუფის შემთხვევაში სხვადასხვა ტენდენციას ავლენს.

შეტყობინებისადმი დამოკიდებულების ინდექსის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ზემოქმედებას სხვადასხვაგვარი გავლენა აქვს მასწავლებლების სხვადასხვა ჯგუფზე: დამრიგებლებსა და დანარჩენ მასწავლებლებზე; ასევე, მასწავლებლებზე, რომლებსაც გავლილი აქვთ ტრენინგი და მათზე, ვისაც ტრენინგი გავლილი არ აქვს; ძალადობის მსხვერპლებზე და მათზე, ვისაც ძალადობის გამოცდილება არ ჰქონია. გავლენა განსხვავდება ასევე დასახლების ტიპის მიხედვით.

დამრიგებელი მასწავლებლები უარყოფითად რეაგირებდნენ სამართლებრივი ინფორმაციის შემცველ ზემოქმედებაზე და დადებითად იმ ზემოქმედებაზე, რომელიც სოციალურ ნორმირებას გულისხმობდა. მასწავლებლები, რომლებსაც უკვე გავლილი ჰქონდათ ტრენინგი, უარყოფითად რეაგირებდნენ სოციალური ნორმირებისა და სამა-


რთლებრივი ინფორმაციის შემცველი ზემოქმედებების კომბინაციაზე. ძალადობის მსხვერპლებიც უარყოფითად რეაგირებდნენ ამ ტიპის ზემოქმედებაზე.

**დიაგრამა 34. ზემოქმედებების ზღვრული ეფექტები მასწავლებლების შეხედულებაზე შეტყობინებასთან დაკავშირებით დამრიგებელი მასწავლებლის სტატუსის მიხედვით**



ტრენინგებით დაინტერესების შემთხვევაში, ზემოქმედებებს ჯგუფების მიხედვით განსხვავებული შედეგები აქვთ. სამართლებრივი ინფორმაციის მიწოდება ზრდის საშუალო სკოლის მასწავლებლების დაინტერესებას, მონაწილეობა მიიღონ ტრენინგში. იმ სკოლებში, სადაც უკეთესი გარემოა, სამართლებრივი ინფორმაციის შემცველი ზემოქმედებისა და სოციალური ნორმირების ზემოქმედების კომბინაციას მივყავართ ტრენინგებისადმი ნაკლები დაინტერესებისკენ მაშინ, როცა იმ სკოლებში, სადაც უარესი გარემოა, საპირისპირო შედეგი ვლინდება და მასწავლებლების ტრენინგით დაინტერესება იზრდება.

**დიაგრამა 35. მასწავლებლების ტრენინგებით დაინტერესების ალბათობა ექსპერიმენტული ჯგუფებისა და სკოლის გარემოს მიხედვით**




რაც შეეხება განცხადების ხელმოწერის სურვილს, კაცები, როგორც ჩანს, სამართლებრივი ინფორმაციის შემცველ ზემოქმედებაზე რეაგირებენ და ეფექტის მასშტაბიც საკმაოდ დიდია. შემდგომი ტესტები<sup>12</sup> მიუთითებს, რომ ეს ეფექტი არსებობს, თუმცა, მოსალოდნელია, რომ უფრო მცირეა, ვიდრე ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილი შეფასება. სოციალური ნორმირების ზემოქმედე-

12 m და s ტიპის ტესტები განხორციელდა იმის გასაგებად, წინასწარი მოლოდინებისგან განსხვავდებოდა თუ არა ეფექტის ნიშანი (დადებითი/ უარყოფითი) (s) და მასშტაბი (m). მასშტაბის ტესტმა გამოავლინა გაზვიადების 1.4-კოეფიციენტიანი მაჩვენებელი. S ტიპის ტესტების მიხედვით, იმის ალბათობა, რომ რეალური ეფექტი უარყოფითი იყოს, 0.000156-ია. ერთობლიობაში ეს ტესტები აჩვენებს, რომ ეფექტის რეალური ზომა, დიდი ალბათობით, უფრო ნაკლები იქნება, ვიდრე ეს კვლევაშია მოცემული, თუმცა, სავარაუდოდ, ეფექტი მაინც დადებითი იქნება.

ბას, როგორც ჩანს აქვს დადებითი გავლენა იმის ალბათობაზე, რომ ინდივიდები, რომლებმაც ტრენინგი გაიარეს, ხელს მოაწერენ განცხადებას. რაც შეეხება განცხადების ხელმოწერის ალბათობას სახელისა და გვარის დაფიქსირებით, ეს ალბათობა იზრდება ძალადობის მსხვერპლებს შორის, რომლებმაც სამართლებრივი ინფორმაციის ზემოქმედება მიიღეს.

**დიაგრამა 36. ზემოქმედების ეფექტები განცხადების ხელმოწერაზე ქალებისა და კაცების**



ამ ნაწილში წარმოდგენილი მონაცემები მთელი რიგი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას იძლევა. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ სოციალური ნორმირების ზემოქმედება საშუალოდ, სავარაუდოდ, ზრდის ტრენინგებში მონაწილეობაში იმ ადამიანების მზადყოფნას, რომლებიც უკვე დაინტერესებულნი და მიდრეკილნი არიან ქალთა და ბავშვთა მიმართ ძალადობის თემაზე ტრენინგებში მონაწილეობის მიღებისკენ. მეორე: მიუხედავად იმისა, რომ ზემოქმედებებს საშუალოდ, დიდი გავლენა არ ჰქონიათ, მათ გავლენა ჰქონდათ მასწავლებლების სპეციფიკურ ჯგუფებზე. ხშირად, ზემოქმედებებს დადებითი გავლენა ჰქონდათ ერთ ჯგუფზე და უარყოფითი - მეორეზე. ეს ხსნის იმას, თუ რატომ არის ზემოქმედებების ეფექტი, საშუალოდ, შედარებით ნაკლები. აღნიშნული შედეგი ასევე მიუთითებს, რომ თუ ამ ქვეყნით მექანიზმებს გამოიყენებენ მასწავლებლების შეტყობინების ნასახალისებლად, მნიშვნელოვანია, რომ კომუნიკაცია და პროგრამები სწორად იყოს გათვლილი სხვადასხვა სამიზნე ჯგუფზე.

# თავი 6. დასკვნები და რეკომენდაციები

ზემოთ მოყვანილ მონაცემებსა და ანალიზს რიგ დასკვნებამდე და რეკომენდაციებამდე მივყავართ. მათი დაყოფა შესაძლებელია რვა კატეგორიად: სხვადასხვა სუბიექტს შორის კოორდინაციის გაზრდა, საკომუნიკაციო კამპანია სკოლებისთვის, სკოლის დირექტორებთან მუშაობა, ტრენინგები მასწავლებლებისთვის, პრევენცია, შეტყობინების ხელშეწყობი გარემოს შექმნა, მომსახურებების გაუმჯობესება, გაფართოება და მათ შესახებ ინფორმირებულობის ზრდა, ადმინისტრაციული მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის გაუმჯობესება.

## 6.1. სხვადასხვა სუბიექტს შორის კოორდინაციის გაზრდა

### რეკომენდაციები

1.1. განათლების სამინისტრომ შექმნას უწყებათშორისი ორგანო, რომელიც იმუშავებს საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების გაუმჯობესებაზე, სისტემატიზაციასა და მონიტორინგზე.

1.2. რესურსცენტრები გამოიყენონ სამინისტროსა და სკოლებს შორის კოორდინაციისთვის ამ თემებთან დაკავშირებით.

კვლევა აჩვენებს, რომ შეტყობინების ხელისშემშლელი ბარიერები განათლების სამინისტროს მანდატს მიღმაც არსებობს, რაც სხვადასხვა უწყებას შორის კოორდინაციას მოითხოვს. თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ ოჯახში ძალადობის გარშემო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის საქმიანობა ხშირად ფრაგმენტულია და სუბიექტებს შორის კომუნიკაციისა და კოორდინაციის ნაკლებობა ფიქსირდება. ამის შედეგად ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს რეგულარულ და ინტეგრირებულ მომსახურებებზე ხელი არ მიუწვდებათ. მაგალითად, ზოგჯერ ფსიქოლოგები ბავშვებთან მუშაობას იწყებენ მანამ, სანამ სოციალური მუშაკები დაინყებენ მუშაობას მათ ოჯახებთან, რაც წარმატებულ ზემოქმედებას აფერხებს. ამის მსგავსად, სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკები და მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგები სრულად არ იცნობენ ერთმანეთის კომპეტენციებს. შესაბამისად, ისინი კოორდინირებულად არ მუშაობენ. სააგენტოს სოციალური მუშაკები არ იღებენ უკუკავშირს მანდატურის სამსახურის ფსი-

ქოლოგისგან, რომელიც მათ კლიენტებთან მუშაობს. როდესაც პოლიციელი მოძალადეს აკავებს, ავტომატურად არ ერთვება საქმეში სოციალური და მსხვერპლთა მხარდაჭერის მომსახურებები. ამასთან, ის სუბიექტები, რომლებიც ძალადობის შესახებ ტრენინგების მიმართულებით მუშაობენ, ერთმანეთთან კოორდინაციას არ აწარმოებენ. შედეგად, არ გვაქვს სისტემური მიდგომა მასწავლებელთა ტრენინგისადმი. ამ საკითხების მოსაგვარებლად დაინტერესებული მხარეები ერთმანეთს რეგულარულად უნდა ხვდებოდნენ საქმიანობის კოორდინაციის მიზნით. შედეგად შესაძლოა, მივიღოთ უფრო სისტემური მიდგომა ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებული ღონისძიებების მიმართულებით.

შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**1.1. განათლების სამინისტრომ შექმნას უწყებათშორისი ორგანო, რომელიც იმუშავებს საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების გაუმჯობესებაზე, სისტემატიზაციასა და მონიტორინგზე.**

რესურსცენტრები სკოლებისა და სამინისტროს მნიშვნელოვანი დამაკავშირებელი რგოლია. ისინი შესაბამის პოზიციაში არიან იმისთვის, რომ შეტყობინების კუთხით დირექტორებსა და მასწავლებლებს დაეხმარონ.

შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**1.2. რესურსცენტრები გამოიყენონ სამინისტროსა და სკოლებს შორის კოორდინაციისთვის ამ თემებთან დაკავშირებით.**

## 6.2. საკომუნიკაციო კამპანია სკოლებისთვის

### რეკომენდაციები

2.1. განათლების სამინისტრომ სისტემატურად განაცხადოს, რომ ის მხარს უჭერს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას; ეს უნდა მოხდეს მაღალი თანამდებობის პირების მეშვეობით, რომლებიც ამ თემის მნიშვნელობის შესახებ საჯარო გამოსვლებში ისაუბრებენ და, რესურსცენტრების მეშვეობით იმავე გზავნილს გადასცემენ მასწავლებლებსაც.

2.2. რესურსცენტრები გამოიყენონ ოჯახში ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. ამისთვის საჭიროა, რესურსცენტრებს შეუქმნან შესაბამისი პირობები, რათა მათ შეძლონ შეტყობინების კუთხით მასწავლებლებისა და დირექტორების მხარდაჭერა.

2.3. მასწავლებლებისადმი მიმართული საკომუნიკაციო კამპანია შეტყობინების ნახალისების მიზნით სოციალური ნორმირების გზავნილებს იყენებდეს.

2.4. ამ საკითხის გარშემო დაგეგმილი საკომუნიკაციო კამპანიები დაეფუძნოს მონაცემების ანალიზის შედეგად შემუშავებულ სტრატეგიებს, რომლებიც სამიზნე აუდიტორიებისთვის შესაფერის გზავნილებს გამოიყენებს.

2.5. ინტერნეტი გამოიყენონ საკომუნიკაციო კამპანიების გასატარებლად.

2.6. ფართო აუდიტორიას რეგულარულად მიეწოდოს შეტყობინების წარმატებული შემთხვევების შესახებ.

2.7. მასწავლებლებზე მიმართული გზავნილები შეტყობინების შესახებ კარგად წარმოაჩენდნენ ოჯახში ძალადობასთან ასოცირებულ დანაკარგებს.

პასუხისმგებელი ორგანოს შექმნის გარდა, მნიშვნელოვანია, რომ სამინისტრომ დირექტორებსა და მასწავლებლებს რეგულარულად მიაწოდოს შეტყობინების ნახალისებაზე მიმართული გზავნილები:

**2.1. განათლების სამინისტრომ სისტემატურად განაცხადოს, რომ ის მხარს უჭერს ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას; ეს უნდა მოხდეს მაღალი თანამდებობის პირების მეშვეობით, რომლებიც ამ თემის მნიშვნელობის შესახებ საჯარო გამოსვლებში ისაუბრებენ და, რესურსცენტრების მეშვეობით იმავე გზავნილს გადასცემენ მასწავლებლებსაც.**

რესურსცენტრების სკოლებთან მჭიდრო კავშირის და მათი მაკოორდინირებელი ფუნქციის გათვალისწინებით, ისინი იდეალურ ინსტიტუტს წარმოადგენენ ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების მნიშვნელობის შესახებ დირექტორებთან და მასწავლებლებთან საკომუნიკაციოდ. ამიტომ, რეკომენდებულია, რომ:

**2.2. რესურსცენტრები გამოიყენონ ოჯახში ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების**

**შეტყობინების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად. ამისთვის საჭიროა, რესურსცენტრებს შეუქმნან შესაბამისი პირობები, რათა მათ შეძლონ შეტყობინების კუთხით მასწავლებლებისა და დირექტორების მხარდაჭერა.**

კვლევის ფარგლებში ჩატარებულმა ექსპერიმენტმა აჩვენა, რომ ინფორმაციულ ზემოქმედებას მნიშვნელოვანი ეფექტი არ ჰქონდა, ერთი გამონაკლისის გარდა: მასწავლებლები, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ ტრენინგით, უფრო მეტად ამჟღავნებდნენ საკონტაქტო ინფორმაციის გაზიარების სურვილს პოტენციური ტრენინგისთვის, თუ ინფორმაციას სოციალური ნორმირების გზავნილი ახლდა თან. ერთობლიობაში, ეს ფაქტები მიუთითებს, რომ საშუალოდ, სოციალური ნორმირების გზავნილი, დიდი ალბათობით, ხელს არ შეუშლის შეტყობინებას და, შესაძლოა, წაახალისოს ის ადამიანები, ვინც ისედაც მიდრეკილია, შეტყობინებისკენ კონკრეტული ნაბიჯები გადადგას. კვლევის ფარგლებში შეგროვებულმა თვისებრივმა მონაცემებმა ასევე აჩვენა, რომ სოციალურ ნორმირებას, ზოგადად, მნიშვნელოვანი პოტენციალი აქვს, შეცვალოს შეტყობინებასთან დაკავშირებული ქცევა ქართულ საზოგადოებაში. მასწავლებლების უმეტესობა აცხადებს, რომ ქალებმა ოჯახის შენარჩუნების მოტივით არ უნდა ითმინონ ძალადობა, ოჯახში ძალადობა მხოლოდ ოჯახის საქმე არ არის და ასეთ შემთხვევაში სხვები უნდა ჩაერიონ. თუმცა, თვისებრივი მონაცემები საპირისპიროზე მეტყველებს. ეს მიუთითებს, რომ სოციალური ნორმების აღქმა და რეალურად არსებული სოციალური ნორმები ერთმანეთს არ შეესაბამება. ამ ტენდენციის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, რომ:

**2.3. მასწავლებლებისადმი მიმართული საკომუნიკაციო კამპანია შეტყობინების ნახალისების მიზნით სოციალური ნორმირების გზავნილებს იყენებდეს.**

მიუხედავად სოციალური ნორმირების გზავნილის დიდი პოტენციალისა, მონაცემები აჩვენებს, რომ სხვადასხვა ზემოქმედებას განსხვავებული ეფექტი აქვს სხვადასხვა ჯგუფზე. მაგალითად, ზოგიერთი რელიგანტური ინდიკატორის შემთხვევაში, კაცები პასუხობდნენ ზემოქმედებას, რომელიც სამართლებრივ ინფორმაციას შეიცავდა, ქალები კი - არა. ამის საპირისპიროდ, კლასის დამრიგებლები, სხვა მასწავლებლებთან შედარებით, უარყოფითად რეაგირებდნენ ზემოქმედებაზე, რომელიც სამართლებრივ ინფორმაციას შეიცავდა. სკოლებში,

რომლებშიც უკეთესი გარემო იყო, მასწავლებლები საინფორმაციო ზემოქმედების უმეტესობას სრულიად განსხვავებულად პასუხობდნენ იმ მასწავლებლებთან შედარებით, რომელთა სკოლებშიც შედარებით ცუდი გარემო იყო. ამ ფაქტების გათვალისწინებით, რესურსების არსებობის შემთხვევაში, რეკომენდებულია, რომ:

**2.4. ამ საკითხის გარშემო დაგეგმილი საკომუნიკაციო კამპანიები დაეფუძნოს მონაცემების ანალიზის შედეგად შემუშავებულ სტრატეგიებს, რომლებიც სამიზნე აუდიტორიებისთვის შესაფერის გზავნილებს გამოიყენებს.**

მიუხედავად იმისა, რომ საკომუნიკაციო კამპანიების წარმოება ბევრი არხის მეშვეობით შეიძლება, მონაცემები აჩვენებს, რომ მასწავლებლები, რომლებიც ინტერნეტს მოიხმარენ, როგორც ჩანს, უფრო მიდრეკილნი არიან შეტყობინებისკენ. საშუალოდ, მათ თვითეფექტურობის უფრო მაღალი მაჩვენებელი აქვთ და, ზოგადად, ნაკლებად არიან უარყოფითი დამოკიდებულებების მატარებლები. ეს მიუთითებს, რომ ინტერნეტი შესაძლოა, შესაფერისი არხი იყოს ცნობიერების ამაღლებაზე მიმართული ღონისძიებების გასატარებლად. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**2.5. ინტერნეტი გამოიყენონ საკომუნიკაციო კამპანიების გასატარებლად.**

ეს რეკომენდაცია რიგ დამკვეთებს ეფუძნება. პირველ რიგში, იგულისხმება, რომ საკომუნიკაციო კამპანიები შეტყობინების წახალისებაზე იქნება მიმართული. ამასთან, იგულისხმება, რომ სამიზნე აუდიტორია იქნება არა შეტყობინების წინააღმდეგ განწყობილი მასწავლებლები, არამედ მასწავლებლები, რომლებიც ისედაც მიდრეკილნი არიან შეტყობინებისკენ და უნდა გადადგან საბოლოო ნაბიჯი მოქმედებისკენ. მესამე: იგულისხმება, რომ, პარალელურად, არ იქნება გამოყენებული პირად კომუნიკაციაზე დაფუძნებული კამპანიები. ეს მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან ლიტერატურა პოლიტიკური კომუნიკაციის შესახებ აჩვენებს, რომ პირადი კომუნიკაცია უფრო ეფექტურია, ვიდრე კომუნიკაცია სხვა საშუალებებით. შესაბამისად, პირადი კომუნიკაცია, დიდი ალბათობით, უფრო ეფექტური იქნება, ვიდრე ონლაინ კამპანიები.

მასწავლებლებისა და მანდატურების ფოკუსჯგუფები აჩვენებს, რომ შეტყობინებით გამოწვეული უარყოფითი შედეგების შიში მნიშვნელოვანი ბარიერია იმ მასწავლებლებისთვის, რომლებსაც მყარი

პოზიცია არ აქვთ. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**2.6. ფართო აუდიტორიას რეგულარულად მიუწოდოს შეტყობინების წარმატებული შემთხვევების შესახებ.**

ამ მხრივ, დანაკარგის შიში მნიშვნელოვანი ცნებაა. ხაზგასმამ იმაზე, რომ „ნაკლებად მძიმე“ ძალადობა ოჯახში შეიძლება, სწრაფად იქცეს „მძიმე“ შემთხვევად, შესაძლოა, წაახალისოს მასწავლებლები, რომ იმოქმედონ მანამ, სანამ სიტუაცია კრიტიკული გახდება. დანაკარგის შიშის გამოყენება იმის ხაზგასასმელად, რომ ოჯახში ძალადობა გამოუსწორებელ ზიანს აყენებს ქალებსა და ბავშვებს, შესაძლოა განსაკუთრებულად ეფექტური იყოს. თუმცა, მნიშვნელოვანი იქნება გზავნილების წინასწარ ტესტირება. ამ მხრივ, რეკომენდებულია, რომ:

**2.7. მასწავლებლებზე მიმართული გზავნილები შეტყობინების შესახებ კარგად წარმოაჩენდნენ ოჯახში ძალადობასთან ასოცირებულ დანაკარგებს.**

**6.3. სკოლის დირექტორებთან მუშაობა**

**რეკომენდაციები**

- 3.1. ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების თემაზე ტრენინგების ძირითად სამიზნე ჯგუფს სკოლის დირექტორები წარმოადგენდნენ;
- 3.2. განათლების სამინისტრომ დააწესოს არაფინანსური ჯილდოები (მაგალითად, მაღალი თანამდებობის პირის მიერ შექცება), რათა დირექტორებმა შექმნან ხელსაყრელი გარემო ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისთვის.

ზოგადად, ლიტერატურა განათლების შესახებ აჩვენებს, რომ სკოლის გარემო მჭიდრო კავშირშია სკოლის ხელმძღვანელობასთან, ანუ დირექტორთან. როგორც აღმოჩნდა, სკოლის გარემო ამ კვლევისთვის რელევანტურ სხვადასხვა შედეგს უკავშირდება. მასწავლებლები იმ სკოლებში, სადაც უკეთესი გარემოა, შეტყობინებისადმი უკეთეს დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. ეს კავშირი კვლევის განმავლობაში არაერთხელ შეგვხვდა; ასევე, მას მნიშვნელოვანი ეფექტი ჰქონდა დამოკიდებულებებზე. მაგალითად, მასწავლებლები, რომლებსაც გავლილი ჰქონდათ ტრენინგი ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებზე, აჩვენებდნენ 0.34 ერთეულით უფრო მაღალ თვითეფექტურობას შეტყობინებასთან მიმართებით. ამის საპირისპიროდ,

მასწავლებლები, რომლებიც, კვლევის მიხედვით, საუკეთესო გარემოს მქონე სკოლებში მუშაობენ, აჩვენებდნენ 5.34 ერთეულით უფრო მაღალ შედეგს ყველაზე უარესი გარემოს მქონე სკოლების მასწავლებლებთან შედარებით. ანუ, სკოლის გარემოს ეფექტის ზომა თვითეფექტურობაზე 16-ჯერ უფრო დიდია, ვიდრე ტრენინგის ეფექტის ზომა. ეს გვაჩვენებს, რომ სკოლის გარემო მნიშვნელოვანი ფაქტორია მასწავლებლების წასახალისებლად, განახორციელონ შეტყობინება და რომ შეტყობინების ჯაჭვში დირექტორი წამყვანი სუბიექტია. კვლევისას შეგროვებული თვისებრივი მონაცემები ამყარებს დასკვნას, რომ დირექტორების როლი შეტყობინების წახალისებაში საკვანძოა. მანდატურებმა განაცხადეს, რომ თუ დირექტორი შეტყობინებას მხარს უჭერს, მაშინ შემთხვევის შესახებ გაცხადდება, ხოლო თუ ის მას მხარს არ უჭერს, მაშინ ინფორმაცია არ გავრცელდება, თუ შემთხვევა ძალიან მძიმე არაა. ამ ყველაფერს მივყავართ რეკომენდაციამდე, რომ შეტყობინებასთან დაკავშირებული ქცევის ცვლილებაზე მიმართული მოქმედებები, პირველ რიგში, დირექტორებზე უნდა ფოკუსირდეს. ტრენინგების კუთხით, რეკომენდაციაა, რომ:

**3.1. ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების თემაზე ტრენინგების ძირითად სამიზნე ჯგუფს სკოლის დირექტორები წარმოადგენდნენ;**

გარდა იმისა, რომ დირექტორები საკვანძო სუბიექტებს წარმოადგენენ, ისინი მასწავლებლებზე უფრო ცოტანიც არიან. შესაბამისად, ფართო მასშტაბის ტრენინგის ღირებულება მნიშვნელოვნად ნაკლები იქნება, ვიდრე მასწავლებლების შემთხვევაში.

დირექტორების მხარდაჭერა, შექმნან პოზიტიური გარემო შეტყობინებისთვის, მრავალი გზით შეიძლება, დაწყებული მესიჯებით და დამთავრებული ტრენინგებით. თუმცა, თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ დირექტორებს ეშინიათ იმ ზიანის, რასაც შეტყობინება სკოლის რეპუტაციას მიაყენებს. კარგი იქნებოდა, ცვლილება დაინწყოს იმ დამკვიდრებული ნორმის შეცვლით, რომ ძალადობის შესახებ შეტყობინება სკოლაზე ცუდად მეთყვევებს. მასწავლებლების დამოკიდებულებების ცვლილებაზე მუშაობა სხვადასხვა, ძირითადად, დაბალბიუჯეტური ჩარევის მეშვეობით შეიძლება. მაგალითად, იმ სკოლების დირექტორებს, რომლებსაც შეტყობინების მაღალი მაჩვენებელი აქვს, შე-

საძლოა, დაურეკოს მაღალი თანამდებობის პირმა (მაგალითად, მინისტრის მოადგილემ) და მაღლობა გადაუხადოს სკოლაში შეტყობინებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნისთვის. ამან შეიძლება, წაახალისოს დირექტორები, რომ განაგრძონ იმავე მიმართულებით საქმიანობა. სკოლის ხელმძღვანელობისადმი სამადლობელ წერილებსაც შეუძლია, წაახალისოს დირექტორები, შეტყობინებისთვის ხელსაყრელი გარემო შექმნან. შეტყობინების შესახებ საჯარო კამპანია ან დაჯილდოება (არა ფინანსური) ასევე შეიძლება, დაგვეხმაროს სკოლის დირექტორების დამოკიდებულებების შეცვლაში ოჯახში ძალადობასთან მიმართებით და უბიძგოს მათ მოქმედებისკენ. თუმცა, ამ შემთხვევაში, გედმინევიითი ყურადღება და მზრუნველობა უნდა გამოიჩინონ ძალადობის მსხვერპლების მიმართ.

**3.2. განათლების სამინისტრომ დაანუსოს არაფინანსური ჯილდოები (მაგალითად, მაღალი თანამდებობის პირის მიერ შექება), რათა დირექტორებმა შექმნან ხელსაყრელი გარემო ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისთვის.**

**6.4. მასწავლებლების ტრენინგი**

**რეკომენდაციები**

- 4.1. განათლების სამინისტრომ შექმნას ტრენინგის მოდული, რომელიც ოჯახში ძალადობის ყველა რელევანტურ ასპექტს მოიცავს;
- 4.2. განათლების სამინისტრომ შესაბამის სუბიექტებთან კოორდინაციის შედეგად (საჭიროების მიხედვით) უზრუნველყოს, რომ საქართველოში მასწავლებლები ტრენინგს სწორედ ამ მოდულის მიხედვით გადიან;
- 4.3. ჩატარდეს საპილოტე ტრენინგები და მოხდეს მათი შეფასება, რათა მათი გავლენა საფუძვლიანად გამოიკვლიონ;
- 4.4. მასწავლებლებს მიენოდოს ელექტრონული და დაბეჭდილი მასალები, რომლებიც ნათლად და მარტივად აღწერს შეტყობინების სისტემას სკოლებში. ეს მასალები ტრენინგის ნაწილი გახდეს;
- 4.5. ტრენინგის ფარგლებში მასწავლებლებს მიანოდონ შეტყობინების პროცესის სქემა, რომელიც პროცესის თითოეულ ეტაპს წარმოაჩენს და მოკლედ და მარტივად აღწერს მათ.
- 4.6. მასწავლებლებს მიანოდონ ინფორმაცია, თუ რა ზიანი მოაქვს ბავშვებისთვის ძალადობის ყველა ფორმას;



4.7. ტრენინგების ფარგლებში განიმარტოს, თუ რა წარმოადგენს საფუძვლიან ეჭვს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, მასწავლებელმა უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს, მიუხედავად პირდაპირი მტკიცებულების არარსებობისა. ამასთან, მასწავლებლებს უნდა განემარტოთ, რომ თუ ისინი წესების და რეგულაციების ფარგლებში იმოქმედებენ, არ დაისჯებიან იმის გამო, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ძალადობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი.

4.8. ტრენინგები იყენებდეს სიმულაციის მეთოდს, რათა დაეხმაროს მასწავლებლებს თვითთავიქმედების განვითარებაში.

მიუხედავად იმისა, რომ დირექტორები ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინების წახალისების მხრივ საკვანძო სუბიექტები არიან, ბავშვების ოჯახურ მდგომარეობას ყველაზე კარგად მასწავლებლები იცნობენ და მათ უკეთ იციან, რამდენად შესაძლებელია, რომ ბავშვი, პირდაპირ ან ირიბად, ძალადობის მსხვერპლი იყოს. ამიტომ, შეტყობინების წახალისებაზე მიმართული ღონისძიებები მასწავლებლებზე უნდა ფოკუსირდეს.

თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ ტრენინგის მიმწოდებლები არაკოორდინირებულად მოქმედებენ. ბევრი დაინტერესებული მხარე ატარებს ტრენინგს სხვადასხვა მოდულის შესახებ. ერთი ჩაატარებს ტრენინგს ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციაზე, ხოლო მეორე - ბავშვების მიმართ ძალადობის შემთხვევების შეტყობინებაზე. ამ სფეროში არავინ ეწევა სისტემატურ მონიტორინგსა და შეფასებას და არავინ ზრუნავს ღონისძიებების კოორდინაციაზე. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**4.1. განათლების სამინისტრომ შექმნას ტრენინგის მოდული, რომელიც ოჯახში ძალადობის ყველა რელევანტურ ასპექტს მოიცავს;**

**4.2. განათლების სამინისტრომ შესაბამის სუბიექტებთან კოორდინაციის შედეგად (საჭიროების მიხედვით) უზრუნველყოს, რომ საქართველოში მასწავლებლები ტრენინგს სწორედ ამ მოდულის მიხედვით გადიან;**

**4.3. ჩატარდეს საპილოტე ტრენინგები და მოხდეს მათი შეფასება, რათა მათი გავლენა საფუძვლიანად გამოიკვლიონ;**

თვისებრივი მონაცემები მიუთითებს, რომ მასწავ-

ლებლებმა იციან შეტყობინების ვალდებულების შესახებ, თუმცა, ეს არ ნიშნავს, რომ მათ შეტყობინების გაკეთების მექანიზმი ესმით. ექსპერტებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ირკვევა, რომ ბავშვთა დაცვის რეფერირების პროცედურების შემუშავებაში ყველა შესატყვისი ორგანო არ მონაწილეობდა. განათლების სამინისტრომ შეიმუშავა პროცედურები სკოლებისთვის, მაგრამ გაურკვეველია, არის თუ არა ეს პროცედურები რეფერირების პროცედურებზე უფრო დეტალური. სკოლებისთვის კონკრეტული პროცედურების შემუშავებისა და ცხადი და მარტივი ინსტრუქციების გაცემის შედეგად, სავარაუდოდ, გაიზრდება მიმართვიანობის პროცედურების გამოყენება. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**4.4. მასწავლებლებს მიენოდოს ელექტრონული და დაბეჭდილი მასალები, რომლებიც ნათლად და მარტივად აღწერს შეტყობინების სისტემას სკოლებში. ეს მასალები ტრენინგის ნაწილი გახდეს;**

**4.5. ტრენინგის ფარგლებში მასწავლებლებს მიანოდონ შეტყობინების პროცესის სქემა, რომელიც პროცესის თითოეულ ეტაპს წარმოაჩენს და მოკლედ და მარტივად აღწერს მათ.**

ბევრ მოყვანილი მონაცემები და მათი ანალიზი ზოგადად აჩვენებს, რომ მასწავლებლებს აქვთ ინფორმაცია ძალადობის სხვადასხვა ფორმისა და ნიშნის შესახებ. თუმცა, ისინი ფიქრობენ, რომ ძალადობის „ნაკლებად მძიმე“ ფორმების შესახებ შეტყობინება არ ღირს და მხოლოდ სექსუალური ძალადობა, ან განმეორებადი და „მძიმე“ ძალადობა წარმოადგენს საკმარისად სერიოზულ მიზეზს შეტყობინებისთვის. ამ მხრივ რეკომენდებულია, რომ:

**4.6. მასწავლებლებს მიანოდონ ინფორმაცია, თუ რა ზიანი მოაქვს ბავშვებისთვის ძალადობის ყველა ფორმას;**

კვლევა ასევე აჩვენებს, რომ როდესაც მასწავლებლებს ოჯახში ძალადობის მტკიცებულება არ აქვთ, ისინი ორჭოფობენ, მიმართონ თუ არა შესაბამის ორგანოებს მხოლოდ ეჭვის საფუძველზე. ისინი შიშობენ, რომ შესაძლოა, უნებურად, ცრუ ბრალდება წარადგინონ. ზოგიერთი ფიქრობს იმ სამართლებრივ შედეგებზე, რაც შეიძლება ოჯახში ძალადობის დაუდასტურებელი შემთხვევის შესახებ შეტყობინებას მოყვას. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**4.7. ტრენინგების ფარგლებში განიმარტოს, თუ რა წარმოადგენს საფუძვლიან ექვს, რომლის არსებობის შემთხვევაშიც, მასწავლებელმა უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს, მიუხედავად პირდაპირი მტკიცებულების არარსებობისა. ამასთან, მასწავლებლებს უნდა განემარტოს, რომ თუ ისინი წესების და რეგულაციების ფარგლებში იმოქმედებენ, არ დაისჯებიან იმის გამო, თუ ვერ დაამტკიცებენ, რომ ძალადობას ნამდვილად ჰქონდა ადგილი.**

მონაცემები მიუთითებს, რომ მასწავლებლების თვითფექტურობის მაჩვენებელი ცალსახად და პოზიტიურად უკავშირდება შეტყობინებასთან დაკავშირებულ ქცევას. აქედან გამომდინარე, მასწავლებლების ტრენინგი უნდა ფოკუსირდებოდეს არა მხოლოდ პროცედურების ცოდნაზე, არამედ თვითფექტურობის განვითარებაზეც. რეკომენდებულია, რომ:

**4.8. ტრენინგები იყენებდეს სიმულაციის მეთოდს, რათა დაეხმაროს მასწავლებლებს თვითფექტურობის განვითარებაში.**

## 6.5. პრევენცია

### რეკომენდაციები

5.1. განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს ძალადობის პრევენციის მოდულები და ის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სახელმძღვანელოებში შეიტანოს.

5.2. შესაბამისმა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მშობლებს შესთავაზონ ტრენინგი ბავშვის აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ სკოლებშივე ან მათ გარეთ.

5.3. საუნივერსიტეტო პროგრამები, რომლებიც მომავალ მასწავლებლებს ამზადებს, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ თემებს მოიცავდეს;

5.4. განათლების სამინისტრომ ახალ მასწავლებლებთან და დირექტორებთან გასაუბრებისას შეჩვენოს კრიტერიუმად განსაზღვროს და დაამატოს შეკითხვები მათი დამოკიდებულებების შესახებ ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე.

5.5. ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე (და პრევენციაზე) მიმართული ღონისძიებები ფოკუსირდეს სოფლის ტიპის დასახლებებზე და რეგიონებზე, რომლებშიც ემიგრაციის მაჩვენებელი მაღალია.

პრევენცია, გარკვეულწილად, ამ კვლევის ფარგლებს სცდება. თუმცა, ზემოთ მოყვანილი რეკომენდაციები, ოჯახში ძალადობის პრევენციისთვის,

ზოგადად, გათვალისწინებული უნდა იყოს იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკის საბოლოო მიზანი ოჯახში ძალადობის აღმოფხვრა უნდა იყოს და არა მხოლოდ მასზე ეფექტური რეაგირება. ექსპერტებთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა ოჯახში ძალადობის შესახებ საკმარის მასალებს არ შეიცავს. სწორედ განათლების მეშვეობითაა შესაძლებელი იმის უზრუნველყოფა, რომ მომავალ თაობებს ჰქონდეთ ინფორმაცია ოჯახში ძალადობის შესახებ და კარგად იაზრებდნენ ამ პრობლემის არსს. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**5.1. განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს ძალადობის პრევენციის მოდულები და ის ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სახელმძღვანელოებში შეიტანოს.**

პრევენციასთან მიმართებით, სამუშაო ჯგუფმა აღნიშნა, რომ მშობლებს ესაჭიროებათ შემდგომი განათლება ბავშვებზე ოჯახში ძალადობის სხვადასხვა ფორმის გავლენის შესახებ. ჯგუფში გამოითქვა მოსაზრება, რომ ოჯახში ძალადობის პრევენციის რეალისტური მიდგომა მშობლების განათლებასაც უნდა მოიცავდეს. თუმცა, საუბარი მხოლოდ ძალადობის უარყოფით ეფექტებზე საკმარისი არ არის. მშობლებს ასევე უნდა მიანოდონ ინფორმაცია ბავშვის აღზრდის უკეთესი მიდგომების შესახებ. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**5.2. შესაბამისმა სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მშობლებს შესთავაზონ ტრენინგი ბავშვის აღზრდის პოზიტიური მეთოდების შესახებ სკოლებშივე ან მათ გარეთ.**

დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ცვლილება ისევე, როგორც ქცევის ცვლილება, დროს მოითხოვს. ამიტომ, ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მასწავლებლები მასიურად შეიცვლიან შეხედულებებსა და მოქმედებებს ერთი კონკრეტული პოლიტიკის ან პროგრამის გატარების შედეგად. თუმცა, მასწავლებლების ტრენინგის სისტემის გაუმჯობესების გზით შესაძლებელია უკეთესი პრაქტიკის პოპულარიზაცია. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**5.3. საუნივერსიტეტო პროგრამები, რომლებიც მომავალ მასწავლებლებს ამზადებს, ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებულ თემებს მოიცავდეს;**

ამასთან, სამუშაო ჯგუფმა წარმოადგინა რეკომენდაცია, რომ განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ახალი მასწავლებლების და დირექტორების

შერჩევის პროცესს. სამუშაო ჯგუფის მოსაზრებით, შეტყობინების პრაქტიკაზე პოზიტიური გავლენა შეიძლება იქონიოს მასწავლებლებთან გასაუბრებისას კითხვების დასმამ შეტყობინებასთან დაკავშირებულ დამოკიდებულებებზე; მიღებული პასუხები შერჩევის კრიტერიუმად უნდა გამოიყენონ. შესაბამისად, გარდა საგანთან და სწავლებასთან დაკავშირებული კრიტერიუმებისა:

**5.4. განათლების სამინისტრომ ახალ მასწავლებლებთან და დირექტორებთან გასაუბრებისას შერჩევის კრიტერიუმად განსაზღვროს და დაამატოს შეკითხვები მათი დამოკიდებულებების შესახებ ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე.**

მონაცემები მასწავლებლების მხრიდან შეტყობინების შესახებ აჩვენებს, რომ, როგორც ჩანს, სოფლის ტიპის დასახლებაში მომუშავე მასწავლებლები ნაკლები ალბათობით განაცხადებენ ძალადობის შესახებ. თუმცა, არაფერი მიანიშნებს, რომ სოფლებში ოჯახში ძალადობა ნაკლებადაა გავრცელებული. და მართლაც, სოფლებში მომუშავე მასწავლებლები, ქალაქში მომუშავე მასწავლებლებთან შედარებით, ორჯერ უფრო მაღალი ალბათობით აცხადებდნენ, რომ სმენიათ თავიანთ თემში ოჯახში ძალადობის შემთხვევის შესახებ ბოლო თორმეტი თვის განმავლობაში. ეს, შესაძლოა, იმაზე მიანიშნებდეს, რომ მჭიდრო სასოფლო ტიპის დასახლებაში ოჯახში ძალადობის თითოეული შემთხვევა უფრო თვალშისაცემია. თუმცა, ეს მიგნება მაინც მიუთითებს, რომ სოფლებში შესაძლოა, ოჯახში ძალადობა უფრო ხშირი იყოს. გარდა ამისა, თვისებრივ მონაცემებში გავრცელებული იყო მოსაზრება, რომ მიგრანტი ქალების შვილები ხშირად ხდებიან ოჯახში ძალადობის მსხვერპლები. ამ ფაქტების გათვალისწინებით რეკომენდებულია, რომ:

**5.5. ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე (და პრევენციაზე) მიმართული ღონისძიებები ფოკუსირდეს სოფლის ტიპის დასახლებებზე და რეგიონებზე, რომლებშიც ემიგრაციის მაჩვენებელი მაღალია.**

**6.6. შეტყობინებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა**

**ძირითადი მიგნება:**

მასწავლებლების მხრიდან შეტყობინების ნახალისებაზე მიმართული ღონისძიებების პარალელურად, სახელმწიფომ უნდა გააუმჯობესოს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმი.

**რეკომენდაციები**

6.1. უზრუნველყოს შემტყობინებლების კონფიდენციალობის დაცვა.

6.2. პოლიციელებს ქვეყნის მასშტაბით ჩაუტარდეთ უფრო მეტი და გაუმჯობესებული ტრენინგი ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მიმართულებით. ტრენინგები უნდა ფოკუსირდეს შედარებით „მსუბუქ“ ძალადობაზე რეაგირების მნიშვნელობაზე;

6.3. პოლიციელების დახმარება ოჯახში ძალადობის შემცველი შემთხვევებისას მათთვის სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების ჩართვის შესაძლებლობის მიცემის გზით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების გამოკითხვისას.

6.4 უფრო მეტი სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დაქირავება მომსახურების სააგენტოსა და მანდატურის სამსახურში; მათთვის სიღრმისეული ტრენინგის ჩატარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობის მიმართულებით.

6.5. შეძლებისდაგვარად შემცირდეს შეტყობინებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ტვირთი; შემტყობინებლებისთვის ხელმისაწვდომი იყოს მოქნილი გრაფიკი პოლიციაში გამოსაცხადებლად.

6.6. შეიქმნას ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მასწავლებლები კონსულტაციას გაივლიან და რჩევებს მიიღებენ ოჯახში ძალადობის ნიშნებისა და შეტყობინების შესახებ. ამ მიზნისთვის შესაძლებელია დღეს არსებული ცხელი ხაზის (116006) გამოყენება.

ამ კვლევის ძირითადი ფოკუსი ოჯახში ძალადობის შეტყობინებასთან დაკავშირებით მასწავლებლების ქცევაა. ძალადობის შემთხვევების შესახებ ცოტა მასწავლებელს შეუტყობინებია, თუმცა, მარვენებელი იზრდება. კვლევის ერთ-ერთი მთავარი მიგნებაა, რომ მასწავლებლები შეტყობინებისგან თავს იკავებენ, რადგან შიშობენ, რომ ეს უფრო მეტ ზიანს მოიტანს, ვიდრე სარგებელს. ეს შიში გამომდინარეობს იმ სისტემური პრობლემებიდან, რაც საქართველოში ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებას ახლავს თან.

მასწავლებლების დაურწმუნებლობა იმაში, რომ შესაბამისი ინსტიტუტები ეფექტურ რეაგირებას მოახდენენ ოჯახში ძალადობის შეტყობინებაზე, გამოკითხვაში მასწავლებლების მიერ დასახელებული სამი მთავარი ბარიერიდან ერთ-ერთია. ეს ნუხილი

არსებული გამოცდილებიდან გამომდინარეობს. იყო შემთხვევები, როდესაც პოლიციამ და სოციალურმა მუშაკებმა ისე იმოქმედეს, რომ მსხვერპლი უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვიდრე შეტყობინების გარეშე იქნებოდა.

ინსტიტუციურ ეფექტურობასთან დაკავშირებული უარყოფითი აღქმების შედეგად, დაბალია ნდობა მიმართვიანობის სისტემის სხვადასხვა სუბიექტს შორის. მასწავლებლები არ ენდობიან მანდატურებს, პოლიციას და სოციალურ მუშაკებს. მანდატურები ფიქრობენ, რომ მასწავლებლები მათ ძალადობის შემთხვევების შესახებ ინფორმაციას უმაღლავენ. ასევე, მანდატურებს უჭირთ პოლიციის მოყვანა სკოლაში და ფიქრობენ, რომ დირექტორები მასწავლებლების მხრიდან შეტყობინებას მხარს არ უჭერენ. სოციალური მუშაკები არაეფექტურად აღიქმებიან. სუბიექტებს შორის უნდობლობა, სავარაუდოდ, აბრკოლებს შეტყობინებას.

შეტყობინებაზე რეაგირების საკითხი პრობლემურია არა მარტო მსხვერპლებისთვის, არამედ მასწავლებლებისთვისაც. სისტემა არ იცავს კონფიდენციალობას, რაც ნიშნავს, რომ ის, ვინც შეტყობინებას აკეთებს, საფრთხის წინაშე დგება. საფრთხის შიში, გამოკითხვის ფარგლებში, შეტყობინების სამ ყველაზე ხშირად დასახელებულ ბარიერს შორის აღმოჩნდა. კონფიდენციალობის დაუცველობის გარდა, შეტყობინებას ასევე ხელს უშლის შეტყობინების თანმხლები ბიუროკრატია.

შეტყობინებას ასევე აფერხებს ის ეკონომიკური შედეგები, რაც მის შედეგად დგება მსხვერპლისთვის, რომელიც ფინანსურად მოძალადეზე დამოკიდებული. მასწავლებლებმა იციან, თუ რა ეკონომიკურ დანაკარგთანაა დაკავშირებული მოძალადის დაპატიმრება და ხედავენ იმ სირთულეებს, რომლებსაც ეს დაპატიმრება მათ მოსწავლეებს უქმნის.

გემოთ მოყვანილი მიგნებები ქცევითი მეცნიერების ჩარჩოში რომ მოვაქციოთ, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანებს დანაკარგის შიში აქვთ. ეს ნიშნავს, რომ დანაკარგის თავიდან არიდების სურვილი პოზიტიური შედეგების მიღწევის სურვილზე უფრო დიდია. ეს პრინციპი ოჯახში ძალადობის შეტყობინებას რომ მივუსადაგოთ, შეტყობინების პოტენციური სარგებელი მნიშვნელოვნად უნდა აღემატებოდეს დანაკარგს. ეს, როგორც ჩანს, ნაკლებადაა მოსალოდნელი, თუ გემოთ აღწერილ შედეგებს გავითვალისწინებთ. ამ ვითარებაში, მასწავლებლები, რომლებიც ოჯახში ძალადობაზე ღელავენ,

ფიქრობენ, რომ მოძალადესთან დალაპარაკების გარდა, მათ, ფაქტობრივად, არაფერი შეუძლიათ. მათი მოსაზრებით, შეტყობინებაზე თანახმა თავად ძალადობის მსხვერპლი უნდა იყოს.

ამ ანალიზს კვლევის მთავარ მიგნებამდე მივყავართ:

**მასწავლებლების მხრიდან შეტყობინების ნახალისებაზე მიმართული ღონისძიებების პარალელურად, სახელმწიფომ უნდა გააუმჯობესოს ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების მექანიზმი.**

თუ ინსტიტუტების მუშაობა არ გაუმჯობესდა, დიდი ალბათობით, მასწავლებლების მხრიდან შეტყობინების მაჩვენებელი დაბალი დარჩება. ისეთი ღონისძიებების გატარების გარეშე, რომლებიც შეტყობინების მექანიზმის საფუძველში არსებულ პრობლემებს მოაგვარებს, შეტყობინების შედეგად, მასწავლებლებმა შესაძლოა, წარუმატებელი რეაგირების გამოცდილება მიიღონ და შესაბამის ორგანოებს განმეორებით აღარ მიმართონ. შეტყობინებას კიდევ უფრო შეაფერხებს დემონსტრირების ეფექტი, რაც ერთი მასწავლებლის წარუმატებელ გამოცდილებას მოყვება. პირველ რიგში, უნდა მოხდეს შეტყობინებისა და რეაგირების სისტემების გაუმჯობესება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასწავლებლები კიდევ უფრო შეიკავებენ თავს ოჯახში ძალადობის შემთხვევების შეტყობინებისგან.

კვლევის შედეგად მიღებული დასკვნები მიუთითებს საკმაოდ ცალსახა, მაგრამ არც ისე მარტივად დასანერგი რეფორმების საჭიროებაზე შეტყობინების თანმხლებ პროცესებთან დაკავშირებით. პირველ რიგში, რეკომენდებულია, რომ ხელისუფლებამ:

**6.1. უზრუნველყოს შეტყობინებლების კონფიდენციალობის დაცვა.**

კონფიდენციალობის უზრუნველყოფის შედეგად მასწავლებლები ნაკლებად იღელვებენ შესაძლო უარყოფით შედეგებზე საკუთარი თავისთვის და ოჯახისთვის. ამის მიღწევა სხვადასხვა მექანიზმის მეშვეობით შეიძლება. ანონიმურობის დასაცავად შესაძლოა, დაინერგოს შეტყობინების ონლაინ ფორმა; ასევე, ცხელი ხაზის ოპერატორებს მიეცეთ ინსტრუქცია, განუმარტონ განმცხადებლებს, რომ მათი ტელეფონის ნომრები არ იწერება, თუ მათ თავად არ აქვთ სურვილი შესაბამის ორგანოებს საკუთარი ტელეფონის ნომერი შეატყობინონ. ამის მსგავსად, შეტყობინებებისთვის სკოლებში შე-

იძლება განთავსდეს სპეციალური ყუთი. ბევრი სხვა ვარიანტის განხილვაც შესაძლებელია.

იმისთვის, რომ მასწავლებლებში შეტყობინების პრაქტიკა გავრცელდეს, მათ უნდა სჯეროდეთ, რომ შეტყობინების შედეგად ოჯახში ძალადობის მსხვერპლების მდგომარეობა მნიშვნელოვნად და უფრო დიდი ალბათობით გაუჯობებს, ვიდრე გაუარესდება. ამის მისაღწევად, აუცილებელია ინსტიტუტების ეფექტური რეაგირება. მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესისა, რაც ოჯახში ძალადობაზე ფოკუსირებული განყოფილების, ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის შექმნაში გამოიხატა, ზემოთ მოყვანილი მონაცემები აჩვენებს, რომ საჭიროა მეტი მუშაობა, რათა პოლიცია ოჯახში ძალადობას სერიოზულად მოეკიდოს. პოლიციას ასევე სჭირდება დამატებითი დახმარება, რათა ოჯახში ძალადობაზე რეაგირება მოახდინოს, განსაკურებით კი ბავშვების გამოკითხვისას სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგების დახმარება. პოლიციის მიერ უფრო ადეკვატური რეაგირების წასახალისებლად რეკომენდებულია, რომ:

**6.2. პოლიციელებს ქვეყნის მასშტაბით ჩაუტარდეთ უფრო მეტი და გაუმჯობესებული ტრენინგი ოჯახში ძალადობის იდენტიფიკაციისა და მასზე რეაგირების მიმართულებით. ტრენინგები უნდა ფოკუსირდეს შედარებით „მსუბუქ“ ძალადობაზე რეაგირების მნიშვნელობაზე;**

**6.3. პოლიციელების დახმარება ოჯახში ძალადობის შემცველი შემთხვევებისას მათთვის სოციალური მუშაკების და ფსიქოლოგების ჩართვის შესაძლებლობის მიცემის გზით. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბავშვების გამოკითხვისას.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს გარდა, ოჯახში ძალადობის შეტყობინების სისტემის წამყვანი სუბიექტები სოციალური მომსახურების სააგენტო და მანდატურის სამსახური არიან. თუმცა, სისტემაში არ არის საკმარისი ოდენობის სოციალური მუშაკი და ფსიქოლოგი ადეკვატური რეაგირების უზრუნველსაყოფად. ამის გათვალისწინებით, რეკომენდებულია:

**6.4 უფრო მეტი სოციალური მუშაკისა და ფსიქოლოგის დაქირავება მომსახურების სააგენტოსა და მანდატურის სამსახურში; მათთვის სიღრმისეული ტრენინგის ჩატარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლებთან მუშაობის მიმართულებით.**

მანდატურებმა და მასწავლებლებმა ასევე განაცხადეს, რომ ოჯახში ძალადობის შეტყობინების პროცესი მოუხერხებელია. ხანგრძლივი პროცედურების გარდა, უხერხულობას სამუშაო საათების გაცდენის საჭიროება ქმნის. თავისთავად, როცა საქმე სამართლებრივ საკითხებს ეხება, ბიუროკრატიის შემცირება პრობლემურია. თუმცა, განაცხადის შევსებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ტვირთის შემსუბუქების შედეგად, უფრო მეტი მასწავლებელი გაიმეორებდა შეტყობინებას პირველი შეტყობინების შემდეგ. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**6.5. შეძლებისდაგვარად შემცირდეს შეტყობინებასთან დაკავშირებული ბიუროკრატიული ტვირთი; შემტყობინებლებისთვის ხელმისაწვდომი იყოს მოქნილი გრაფიკი პოლიციაში გამოსაცხადებლად.**

მნიშვნელოვანია იმ მასწავლებლების დახმარება, რომლებმაც ზუსტად არ იციან, შეატყობინონ თუ არა ოჯახში ძალადობის შემთხვევების შესახებ, ან არ იციან, როგორ გააკეთონ ეს. მიუხედავად იმისა, რომ რესურსცენტრები მსგავსი კონსულტაციებისთვის კარგი რესურსია (იხილეთ რეკომენდაცია 1.2), მათი მჭიდრო კავშირი დირექტორებთან რისკს უქმნის კონფიდენციალობას, განსაკუთრებით მცირე ზომის დასახლებებში. მასწავლებლების ნახალისება შეტყობინებისკენ შეიძლება ცხელი ხაზის მეშვეობით, რომლის საშუალებით მასწავლებლები მიიღებენ კონსულტაციას ოჯახში ძალადობის ნიშნებთან და შეტყობინების პროცედურებთან დაკავშირებით. ახალი ცხელი ხაზის შექმნის ნაცვლად, უმჯობესი იქნება ამ მომსახურების დამატება ოჯახში ძალადობის უკვე არსებულ ცხელ ხაზზე (116-006). თუ ცხელი ხაზის სახით სხვაგვარად შეფუთული პროდუქტის დანერგვა უფრო სასურველია, რესურსების დაზოგვის მიზნით შესაძლებელია, რომ ახალ ცხელ ხაზზეც იმავე თანამშრომლებმა იმუშაონ, რომლებიც უკვე მუშაობენ არსებულ ცხელ ხაზზე. ამგვარად, ამ თემაზე მასწავლებლებისთვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერისა და კონსულტაციის შეთავაზების მიზნით რეკომენდებულია, რომ:

**6.6. შეიქმნას ცხელი ხაზი, რომლის მეშვეობითაც მასწავლებლები კონსულტაციას გაივლიან და რჩევებს მიიღებენ ოჯახში ძალადობის ნიშნებისა და შეტყობინების შესახებ. ამ მიზნისთვის შესაძლებელია დღეს არსებული ცხელი ხაზის (116006) გამოყენება.**

## 6.7. მომსახურების გაფართოება, გაუმჯობესება და მათ შესახებ ცნობიერების გაზრდა

### რეკომენდაციები:

7.1. მიზნად ისახავდეს მსხვერპლების მყისიერი ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას;

7.2. საშუალოვადიან პერიოდში მიზნად ისახავდეს მსხვერპლების ეკონომიკურ გაძლიერებას.

7.3. უზრუნველყონ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მომსახურებების დროული ხელმისაწვდომობა (ფსიქოთერაპიისა და ფსიქიატრის კონსულტაციის ჩათვლით) ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლისთვის ქვეყნის მასშტაბით.

7.4. სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის შეთავაზებული მომსახურებების აღწერა რუკაზე გეოგრაფიული დისტრიბუციის, მანდატის, სამიზნე ჯგუფებისა და რესურსების მიხედვით.

7.5. სკოლების მეშვეობით მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის მომსახურებების რუკების მიწოდება. ეს მასალები მასწავლებლების ტრენინგისთვისაც უნდა გამოიყენონ.

იმ შემთხვევაშიც კი, თუ საკმარისი ოდენობის კარგად მომზადებული სოციალური მუშაკი გვეყოლება, ისინი ვერ იქნებიან ეფექტურები, თუ არ ექნებათ შესაძლებლობა, ოჯახში ძალადობის მსხვერპლები გადაამისამართონ სხვადასხვა ტიპის მხარდაჭერის მომსახურებებზე. თვისებრივი მონაცემები აჩვენებს, რომ ზოგ შემთხვევაში მომსახურებების შესახებ ან ცოდნა არასაკმარისი, ან საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი ხარისხიანი მხარდაჭერის მომსახურებები ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის.

მომსახურების მხრივ, პირველ რიგში, იკვეთება ოჯახში ძალადობის მსხვერპლების ეკონომიკური რეაბილიტაციის საჭიროება. არსებული მომსახურებები საკმარისი არ არის მასწავლებლების დასარწმუნებლად, რომ, ფინანსურად, შეტყობინება უფრო მეტ სიკეთეს მოიტანს, ვიდრე ზიანს. ამის გამომწვევი მიზეზი მოძალადეებზე მსხვერპლების ეკონომიკური დამოკიდებულებაა. პატიმრობის შემთხვევაში, მოძალადე აღარ იქნება ოჯახში შემომტანი, რაც გააუარესებს მსხვერპლის ფინანსურ მდგომარეობას. ამ პრობლემის გადაწყვეტის მართივი გზა არ არსებობს. თუმცა, უფრო მეტი მომსახურების მიწოდება, პოტენციურად, შეამცირებს ეკონომიკური ზიანს, რომელიც, პატიმრობის შედეგად შინამეურნეობის შემოსავლის დაკარგვიდან

მომდინარეობს. მხარდაჭერა სხვადასხვა ფორმითაა შესაძლებელი. ერთი ფორმა შეიძლება, იყოს მსხვერპლისთვის ფინანსური დახმარების გაცემა გარკვეული პირობებით ან პირობების გარეშე, რაც მას გარდამავალი პერიოდის გადალახვაში დაეხმარება. მხარდაჭერა შესაძლებელია განათლების გაგრძელების მიმართულებით, ან ბავშვებისთვის უფასო სახელმძღვანელოების გადაცემით. როგორც არ უნდა იყოს მომსახურების ფორმა თუ შინაარსი, რეკომენდებულია, რომ შეთავაზებული მომსახურებები:

**7.1. მიზნად ისახავდეს მსხვერპლების მყისიერი ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას;**

**7.2. საშუალოვადიან პერიოდში მიზნად ისახავდეს მსხვერპლების ეკონომიკურ გაძლიერებას.**

მასწავლებლებმა, მანდატურებმა და ექსპერტებმა აღნიშნეს, რომ ფსიქოლოგებისა და ფსიქიატრების მომსახურება ხშირად ხელმისაწვდომი არ არის ან დაგვიანებულია. მანდატურის სამსახურსა და სოციალური მომსახურების სააგენტოში მომუშავე ფსიქოლოგების რაოდენობა მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის. გარდა ამისა, მათი სამუშაოს მოცულობა შეზღუდულია. ფსიქოლოგები კონსულტაციას უწევენ ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს, თუმცა, არ უტარებენ თერაპიას, რაც ხშირად საჭიროა. გარდა ამისა, მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგები არ მუშაობენ ოჯახებთან, მაგალითად, დედებთან, რომლებსაც, უმეტეს შემთხვევაში, ასევე ესაჭიროებათ ფსიქოლოგიური დახმარება. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ საქართველოს თითო რეგიონზე ერთი ფსიქოლოგია გამოყოფილი. ამ ფსიქოლოგის მანდატიც უკიდურესად ზოგადია და საზოგადოებაში გავრცელებული ფსიქოლოგიური პრობლემების ფართო სპექტრს მოიცავს. ასეთი ზოგადი მანდატი მომსახურების დროულად მიღებას ხელს უშლის. შედეგად, სამუშაოს დიდი მოცულობისა და შეზღუდული ადამიანური რესურსების გამო, ფსიქოლოგების სამუშაოს ხარისხი ეჭვქვეშ დგება. უფრო მეტიც, სოციალური მუშაკები და ფსიქოლოგები, რომლებიც ერთი ოჯახის სხვადასხვა წევრებთან მუშაობენ, ერთმანეთთან კოორდინაციას არ ახდენენ. რომ შევაჯამოთ, ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მომსახურებები ფრაგმენტულია. იმისათვის, რომ სოციალური მომსახურების სააგენტო ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისას უფრო ეფექტური გახდეს, რეკომენდებულია, რომ მათ მიეცეთ შესაძლებლობა:

**7.3. უზრუნველყონ ფსიქოლოგიური მხარდაჭერის მომსახურებების დროული ხელმისაწვდომობა (ფსიქოთერაპიისა და ფსიქიატრიის კონსულტაციის ჩათვლით) ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლისთვის ქვეყნის მასშტაბით.**

არსებული რესურსების შეფასება ამ კვლევის ფარგლებს სცდება. თუმცა, კვლევის ფარგლებში გაწეული სამუშაო და ინტერდისციპლინურ სამუშაო ჯგუფში შემდგომი დისკუსია მიუთითებს შემდეგ საჭიროებებზე:

**7.4. სახელმწიფო და არასახელმწიფო სუბიექტების მიერ ოჯახში ძალადობის მსხვერპლებისთვის შეთავაზებული მომსახურებების აღწერა რუკაზე გეოგრაფიული დისტრიბუციის, მანდატის, სამიზნე ჯგუფებისა და რესურსების მიხედვით.**

**7.5. სკოლების მეშვეობით მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის მომსახურებების რუკების მიწოდება. ეს მასალები მასწავლებლების ტრენინგისთვისაც უნდა გამოიყენონ.**

რუკაზე აღწერა პირველი ნაბიჯია საჭიროებების იდენტიფიცირებისა და შევსებისკენ. ამ კვლევის შედეგები მიუთითებს, რომ აღწერა ხელს შეუწყობს მასწავლებლების მიერ შეტყობინების გაზრდას, რადგან ხელმისაწვდომ მომსახურებებს წარმოაჩენს. მასწავლებლებისთვის სხვადასხვა ხელმისაწვდომი მომსახურების ჩვენებამ შესაძლოა, წინააღმდეგობა გაუწიოს აღქმას, რომ სახელმწიფო ჩარევის შედეგები უარყოფითია. ამის მსგავსად, იმის გათვალისწინებით, თუ რა როლს ანიჭებენ მასწავლებლები ოჯახში ძალადობის მსხვერპლებს შეტყობინების პროცესში, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვის ხელმისაწვდომი მომსახურებების ჩვენებამ შესაძლოა, წაახალისოს შეტყობინება. გარდა ამისა, აღწერა დაეხმარება სისტემას გაზრდილ შეტყობინებებზე ეფექტური რეაგირებისთვის მომზადებაში.

**6.8. ადმინისტრაციული მონაცემების შემოროვნებისა და ანალიზის გაუმჯობესება**

**რეკომენდაციები:**

8.1. შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სოციალური მომსახურების სააგენტომ იმუშაონ მანდატურის სამსახურთან მონაცემთა შეგროვებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით;

8.2. მონაცემები გაანალიზდეს პოლიტიკის ინფორმირების მიზნით.

ზემოთ მოყვანილი დასკვნები ეყრდნობა გამოკითხვის, თვისებრივი კვლევისა და საჯარო მონაცემებს. საჯარო ინფორმაცია მანდატურის სამსახურმა მოგვანოდა. ეს მონაცემები ძალიან კარგად იყო წარმოდებული. შედარებისთვის, სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემები ნაკლებად ორგანიზებული იყო, შინაგან საქმეთა სამინისტროში კი ოჯახში ძალადობის შესახებ არ იყო დაცული ისეთი მონაცემები, რომელთა დაკავშირებაც შესაძლებელი იქნებოდა სკოლებთან. ეს ხელს უშლის პოტენციურად ღირებულ მონაცემთა ანალიზს. მაგალითად, სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემები იგივე ფორმით რომ ყოფილიყო წარმოდებული, როგორც მანდატურის სამსახურის მონაცემები, შედარებით უფრო ცალსახად იქნებოდა შესაძლებელი სკოლების იდენტიფიკაცია, რომლებიც ნაკლებად ატყობინებენ შესაბამის ორგანოებს ძალადობის შესახებ. შედეგად, შესაძლებელი იქნებოდა მაქსიმალურად კარგად გამიზნული ღონისძიებების გატარება. მონაცემების არარსებობის პირობებში პრობლემურია სკოლების დონეზე გამიზნული ღონისძიებების გატარება. ამის მსგავსად, შესაძლებელი იქნებოდა ისეთი სკოლების იდენტიფიკაცია, რომლებსაც შეტყობინების მოსალოდნელზე მაღალი მაჩვენებელი აქვთ. ამ ინფორმაციის მეშვეობით მოხდებოდა იმ სკოლების და თემების იდენტიფიკაცია, რომლებსაც უფრო მეტად სჭირდება მხარდაჭერა. შესაბამისად, რეკომენდებულია, რომ:

**8.1. შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სოციალური მომსახურების სააგენტომ იმუშაონ მანდატურის სამსახურთან მონაცემთა შეგროვებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით;**

**8.2. მონაცემები გაანალიზდეს პოლიტიკის ინფორმირების მიზნით.**

ერთ-ერთი მიმართულება, თუ როგორ შეუძლია მონაცემებს პოლიტიკის ინფორმირებას შეუწყოს ხელი, ტრენინგების ჩატარებაა გამიზნულად მათთვის, ვისაც ეს ყველაზე მეტად სჭირდება. მაგალითად, მანდატურის სამსახურისა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ CRRC-საქართველოსთვის მიწოდებული მონაცემების თანახმად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში სკოლების მაქსიმუმ 60%-მა წარადგინა შეტყობინება ოჯახში ძალადობის შესახებ. სკოლები, რომლებსაც შეტყობინება არ წარუდგენიათ, შეიძლება, გახდნენ ტრენინგისა და ცნობიერების ამაღლებამდე მიმართული ღონისძიების სამიზნეები.

# ბიბლიოგრაფია

- აბრაჰამსი, ნადინი, ქეთლინ კეისი და დებორა დარო. 1992. "მასწავლებლების ცოდნა, დამოკიდებულება და რწმენა ბავშვთა მიმართ ძალადობის და მისი პრევენციის შესახებ". ბავშვთა მიმართ ძალადობა და უგულბეღყოფა 16 (2): 229-238.
- ალმეიდა, სარა რ, ჯონანა ს. ლორენცო, ფრანსუა ჯ. და ემანუელ ცირილო. " ბიჰევიორისტული მეცნიერება ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრისთვის: ლიტერატურის მიხილვა." ერთობლივი კვლევების ცენტრი, 2016 <http://publications.jrc.ec.europa.eu/repository/bitstream/JRC103975/lbna28235enn.pdf>.
- ბანიარდი, ვიქტორია ლ., მერი მ. მონინიჰანი და ელიზაბეთ ჯ. პლანტე. 2007. "სექსუალური ძალადობის პრევენცია შემსწრის ინტერვენციის გზით: ექსპერიმენტული შეფასება." ჟურნალი თემის ფსიქოლოგიის შესახებ, 35 (4): 463-481.
- BIT. 2012. "ბიჰევიორისტული მიდგომების გამოყენება თაღლითობის, ხარვეზებისა და ვალის შესამცირებლად". ტექნიკური ანგარიში, ბიჰევიორისტული მიდგომების გუნდი, მთავრობის ადმინისტრაცია, დიდი ბრიტანეთი
- BIT. 2018. "ბიჰევიორისტული მიდგომების გამოყენება ინტიმურ პარტნიორზე ძალადობის წინააღმდეგ შემსწრეების წასახალისებლად". ტექნიკური ანგარიში, ბიჰევიორისტული მიდგომების გუნდი, დიდი ბრიტანეთი.
- ბური, კრისტინი, უიტნი უილიამსი, ერინ ელიზაბეთ ბერნშტეინი და რობ სტეფსონი. 2015. "დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებში ინტიმური პარტნიორის მხრიდან ძალადობის სტრუქტურული ინტერვენციების სისტემური მიმოხილვა: მტკიცებულებების ორგანიზება პრევენციისთვის"
- BMC საჯარო ჯანმრთელობა 15 (1): 1165.
- ბაკლი, ნოა, ტიმოტი ფრაი, სკოტ გეილბახი და ლორენ ა. მაკარტი. 2016 "თანამშრომლობა სახელმწიფოსთან: მტკიცებულება წესრიგის დაცვის შესახებ გამოკითხვის ექსპერიმენტიდან". ექსპერიმენტული პოლიტიკური მეცნიერების ჟურნალი 3 (2): 124-139.
- ჩიტაშვილი მარინე, ნინო ჯავახიშვილი, ლუიზა არუთინოვი, ლია წულაძე და სოფიო ჩანანიძე. 2010 "ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში".
- CRRC საქართველო 2019. რაოდენობრივი კვლევა მოსამართლის როლზე სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. CRRC საქართველო. იხილეთ აქ: <http://crrc.ge/project/facilitating-implementation-of-reforms-in-the-judiciary-fair/101/5d1350da8c5b3>.
- დარლეი, ჯონ მ. და ბიბ ლატანე. 1968. " შემსწრეთა ჩართულობა გადაუდებელ შემთხვევებში: პასუხისმგებლობის დიფუზია". ჟურნალი პიროვნებისა და სოციალური ფსიქოლოგიის შესახებ 1968. 8 (4): 377-383.
- ფელდმანი, იუვალი და ორლი ლობელი. 2010. "წახალისებების მატრიცა: ჯილდოების, ვალდებულებების, მოვალეობების და თავდაცვის მექანიზმების შედარებითი ეფექტურობა დანაშაულის შესახებ შეტყობინებისას". ტეხასის სამართლის მიმოხილვა. 88:1151-1211.
- ფერგიუსონი, კლერ ე. და ჯონ მ მაღუფი. 2016 "სექსუალური ძალადობის შესახებ პოლიციის ანგარიშების კლასიფიკაციის შეფასება: ცრუ შეტყობინებების მაჩვენებლის მეტა ანალიზი". სექსუალური ქცევის არქივები 45 (5): 1185-1193.



- ფიშერი, პიტერი, იოაკიმე ი. კრუგერი, ტობიას გრიტემეიერი, კლაუდია ვოგრინჩიკი, ანდრეას კასტენმულერი, დიტერ ფრეი, მორიც ჰენი, მაგდალენა ვიჩერი და მარტინა კაინბახერი. 2011. "შემსწრის ეფექტი: სახიფათო და არასახიფათო გადაუდებელ შემთხვევებში შემსწრეთა ჩარევის მეთა ანალიტიკური მიმოხილვა". ფსიქოლოგიური ბიულეტენი 137 (4): 517.
- ფულუ, ემა და ალისა კერ-ვილსონი. 2015. "რა მუშაობს ქალთა და გოგონების მიმართ ძალადობის თავიდან ასაცილებლად, მტკიცებულებათა მიმოხილვა: ანგარიში 2 - ქალთა და გოგონათა მიმართ ძალადობის პრევენციის ღონისძიებები".
- გრინი, დონალდ პ., ანა ვაილკი და ჯასპერ კუპერი. "ძალადობა იწყება სიჩუმით: ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციის მედია ექსპერიმენტი უგანდის სოფლებში." სამუშაო დოკუმენტი იანვარი 2018
- პოლსვორთი, მაიკლი და ლისთი, ჯონ ა. და მეტკალფი, რობერტ დ. და ვლაევი, ივო, 2017. "ბიჰევიორისტი, როგორც გადასახადების შემგროვებელი: ბუნებრივი ექსპერიმენტის გამოყენება გადასახადების ამოღების გასაუმჯობესებლად", საზოგადოებრივი ეკონომიკის ჟურნალი ელსევიერ, გამოცემა 148(C), გვ. 14-31
- ჯონსი, რიზე, ემილიე გ. ფლაჰერტი, ჰელენ ჯ. ბინსი, ლორი ლინ პრაისი, ერიკ სლორა, დაიანა აბნი, დონა ლ. ჰარისი, კეტრინ კაუფერ კრისტოფელი და რობერტ დ. სიჯი. 2008. "კლინიკური ექიმების მიერ იმ ფაქტორების აღწერები, რომლებიც გავლენას ახდენს ბავშვის მიმართ სავარაუდო ძალადობის შეტყობინებაზე: ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინების გამოცდილების შემსწავლელი კვლევითი ჯგუფის ანგარიში". პედიატრია 122 (2): 259-266.
- კენი, მაურენი, 2001. "ბავშვის მიმართ ძალადობის შეტყობინება: მასწავლებლების მიერ აღქმული შემადფერხებელი ფაქტორები". ბავშვთა მიმართ ძალადობა და უგულებელყოფა 25: 81-92.
- კენი, მაურენი ს. 2004. "მასწავლებლების დამოკიდებულება და ცოდნა ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ". ბავშვთა მიმართ ძალადობა და უგულებელყოფა, 28 (12): 1311-1319.
- მარკსტრომი, ენ-მარი და ენ-შარლოტა მიუნგერი. 2017. "განახორციელებ თუ არა ბავშვის მიმართ ოჯახში ძალადობის შესახებ შეტყობინებას: მასწავლებლების და სკოლის ჯანდაცვის პერსონალის აღქმები და გამოცდილებები". ნორდიკული სოციალური სამუშაოს კვლევა 8(1): 22-35.
- მაკკარტი, ლორენ ა., სკოტ გელბახი, ტიმოტი ფრაი და ნოა ბაკლი. "ვინ აკეთებს შეტყობინებას? კვლევით ექსპერიმენტების გამოყენება საქართველოსა და რუსეთის სახელმწიფოებს შორის თანამშრომლობის დასადგენად. სამუშაო დოკუმენტი, ივლისი, 2015.
- პერკინსი, პ. უესლი, 2003. სოციალური ნორმირების მიდგომის გამოყენება სკოლისა და კოლეჯის ასაკში მავნე ნივთიერების გამოყენების პრევენციისათვის: სახელმძღვანელო პედაგოგებისთვის, ფსიქოლოგებისთვის და ექიმებისთვის. ნიუ ჯერსი, უაილი.
- რესთი, ჯ. მნეობრივი განვითარება პროფესიებში: ფსიქოლოგია და გამოყენებითი ეთიკა. ჯ.რესთი და დ. ნარვაგი (Eds.) ნიუ ჯერსი, ლორენს ელბრაუმი ესოშიეთს, ინკ.
- სტრაუსი, მ., ჰამბი, ს., ფინკელორი, დ., მორი, დ. და რანიანი, დ. 1998 "ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირება მშობლებსა და ბავშვებს შორის კონფლიქტის ტაქტიკის შკალებზე: ამერიკელი მშობლების განვითარების და ფსიქომეტრიული მონაცემები ეროვნული შერჩევის დონეზე". ბავშვის მიმართ ძალადობა და უგულებელყოფა, 22(4), pp.249-270.
- სტრაუსი, მ., ჰამბი, ს., ფინკელორი, დ., მორი, დ. და რანიანი, დ. 1998 "ბავშვთა მიმართ ძალადობის იდენტიფიცირება მშობლებსა და ბავშვებს შორის კონფლიქტის ტაქტიკის სკალებზე: ამერიკელი მშობლების განვითარების და ფსიქომეტრიული მონაცემები ეროვნული შერჩევის დონეზე". ბავშვის მიმართ ძალადობა და უგულებელყოფა, 22, no. 4 (1998): 249-70. [https://doi.org/10.1016/S0145-2134\(97\)00174-9](https://doi.org/10.1016/S0145-2134(97)00174-9).

- ტურკპაიძე, დებორა. 2017. "საოცარი ქალები: სექსუალური ძალადობა - სარწმუნოების სიმწირე". პენსილვანიის უნივერსიტეტის სამართლის მიმოხილვა 166 (1): 1.
- გაეროს ბავშვთა ფონდი. 2013. ბავშვთა მიმართ ძალადობა საქართველოში: ეროვნული კვლევა არსებული ცოდნის, დამოკიდებულებებისა და პრაქტიკის შესახებ, თბილისი, გაეროს ბავშვთა ფონდი. იხილეთ აქ: [https://www.unicef.org/eca/sites/unicef.org.eca/files/2017-11/VAC\\_in\\_georgia.pdf](https://www.unicef.org/eca/sites/unicef.org.eca/files/2017-11/VAC_in_georgia.pdf).
- გაეროს ქალთა ორგანიზაცია და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). 2018. ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა 2017. შეჯამება [ონლაინ] თბილისი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია. იხილეთ აქ: <http://www2.unwomen.org/-/media/field%20office%20georgia/attachments/publications/2018/national%20study%20on%20violence%20against%20women%202017.pdf?la=en&vs=2932>
- ვესელი, გორდონ გ. 1998. პერსონაჟი და თემის განვითარება. სკოლის დაგეგმვისა და მასწავლებლის ტრენინგის სახელმძღვანელო. გრინვუდის გამომცემლობის ჯგუფი.
- უოლში, კერიანი, მეკდი რასაფიანი, ბენ მათეუსი, ენ ფარელი და დეს ბატლერი. 2010. "მასწავლებელთა დამოკიდებულებები ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შეტყობინებისადმი: არსებული კვლევების პრობლემებს ახალი მასშტაბის მოვლენებისაკენ მივყავართ. ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ჟურნალი 19(3): 310-336.
- მსოფლიო ბანკი. 2017. სქესზე დაფუძნებული ძალადობა საქართველოში: კავშირები კონფლიქტს, ეკონომიკურ შესაძლებლობებსა და მომსახურებებს შორის. [ონლაინ] ვაშინგტონი, მსოფლიო ბანკი. ხელმისაწვდომია აქ: <https://openknowledge.worldbank.org/handle/10986/29108?locale-attribute=en>.
- ვითქროფტი, ჟაკლინ მ, და სანდრა ვოლკლეითი. 2014. "განსხვავებულად ფიქრი "ცრუ ბრალდებებზე" გაუპატიურების შემთხვევებში: სიმართლის ძიება." კრიმინოლოგიისა და სოციოლოგიის საერთაშორისო ჟურნალი 3: 239-248.
- ზელმანი, გაილ ლ. 1990. "ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინება და შეუტყობინებლობა ვალდებულების მქონე პირების მიერ პრევალენტობა, გავლენა, და მიზეზები." ინტერპერსონალური ძალადობის ჟურნალი 5(1): 3-22.
- ზელმანი, გაილ ლ. 1992. "შემთხვევების მახასიათებლების გავლენა ბავშვთა მიმართ ძალადობის შეტყობინების გადაწყვეტილებაზე." ბავშვის მიმართ ძალადობა და უგულვებელყოფა 16 (1): 57-74





United Nations Entity for Gender Equality  
and the Empowerment of Women

გაეროს ქალთა ორგანიზაციის (UN Women)  
საქართველოს წარმომადგენლობა  
კავსადის ქ. #3, ოფისი #11, 0179  
თბილისი, საქართველო  
ტელ: (995 32) 222 06 04  
(995 32) 222 08 70

[www.unwomen.org](http://www.unwomen.org)  
[www.georgia.unwomen.org](http://www.georgia.unwomen.org)